ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

www.ilori.ge

№120 (181) 24-31 მაისი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი



## 15 მაისს დაიბადა ქართული კლასიკური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი

# დიდი კონსტანტინე გამსახურდია



იგი 1893 წლის 15 მაისს დაიბადა სოფელ ძველ აბაშაში.

"მე დავიბადე მსოფლიოს უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირას. მას ჰქვია სახელად ზანა. მე მომიხდა რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლა ლენინგრადში, კენიგსბერგში, ლაიპციგში, მიუნჰენში, პარიზში, ბოლოს ბერლინში. ყველგან და ყოველთვის მე მიხდებოდა გაჯიბრება გერმანელებთან, ებრაელებთან, პოლონელებთან, ამერიკელებთან და ფრანგებთან. არავის ვუმხელდი, მაგრამ ჩემს თავს ვეუბნებოდი: "შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა" – წერდა შემდეგ ბატონი კონსტანტინე.

1911 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. სწავლობდა პეტერბურგის, კენიგსბერგის, ლაიფციგის, მიუნჰენის, ბერლინის უნივერსიტეტებში. 1919 წელს დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით. აქტიურად მონაწილეობდა ევროპაში ჩამოყალიბებული „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" მუშაობაში. 1918 წლიდან დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბერლინის საელჩოს ატაშედ.

საქართველო გასაბჭოების მერე არაერთხელ იქნა რეპრესირებული ბოლშევიკების მიერ. ამონაწერი 1931 წლის 17 მაისის მწერალთა ფედერაციის სხდომის ოქმიდან, რომელზეც გარიცხეს: "კონსტანტინე გამსახურდია ცნობილია, როგორც რეაქციონერი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის იდეოლოგიის შოვინიზმის და "შავი ჩოხის" ტრადიციის დასაცავად, თავისი გამოსვლებით მან არაერთხელ საბჭოთა საზოგადოებრიობის ზიზღი და სიძულვილი დაიმსახურა. ხსენებული რეაქციონერი მწერალი თანადროულობისათვის პოლიტიკურად მავნე მხატვრულ ნაწარმოებს აქვეყნებს და თავის პოლიტიკური მავნებლობით ამაყობს მწერლობაში და საბჭოთა საზოგადოების წინაშე".

ლექსებს აქვეყნებდა 1909 წლიდან. ავტორია რომანებისა: "დიონისოს ღიმილი", "მთვარის მოტაცება", "გოეტეს ცხოვრების რომანი", "დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა", "დავით აღმაშენებელ", "ვაზის ყვავილობა"... წერდა და აქვეყნებდა ნოველებს, ნარკვევებსა და ესეებს. თარგმნა უკვდავი გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი", დანტეს „ღვთაებრივი კომედია" და სხვა. მოგვიანებით იგი უკვე იდევნებოდა კომუნისტური ხელისუფლების მიერ, მისი შვილის, მომავალში საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დისიდენტური მოღვაწეობის გამო.

მის კალამს ეკუთვნის ეპოქის უტყუარი დოკუმენტი "მთვარის მოტაცება". "ერგეაშვას მღერის კაც ზვამბაია..." – ასე იწყება რომანი. "ერგეაშვა" მიქელგაბრიელის სიმღერაა. მას მღერიან "მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წყალში გაჭირვებულთა გასაგონად". იგი დაღუპვის წინ აღმოხდება გულს, როგორც მოახლოებული განსაცდელის ამონაკვნესი. მაგრამ, თურმე, ეს გოდება მთელი ეპოქის კატასტროფის სიგნალიც ყოფილა, არა მხოლოდ ერთი თაობისა ან წოდების.

1933-1934 წლებში არავინ იცოდა საბოლოოდ თუ რა სახეს მიიღებდა რევოლუცია. მაგრამ ველური ვაკჰანალია, ფანატიზმი, ძველის ნგრევა, განახლების პათოსი და სისხლიანი ექსპერიმენტები თუ ერთის მხრივ ჰეროიკას აღვივებდა, მეორეს მხრივ იწვევდა შიშსა და დეპრესიას პატიოსან ადამიანებში. დიდი კონსტანტინეს შთაგონება გახლდათ იანუსივით ორსახოვანი დრო, საქართველოს ბედი, ეპოქის სულის გამოკვეთა ადამიანის სახეებად. ამიტომ არის "მთვარის მოტაცება" არა მხოლოდ დიდი ნაწარმოები, არამედ უსასტიკესი სინამდვილის უტყუარი დოკუმენტიც.

1944 წელს კონსტანტინე გამსახურდია აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად. 1965 წ. ტეტრალოგიისათვის „დავით აღმაშენებელი", მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

"ამიერიდან საქართველო არ იქნება არც კურორტი და არც რესტორანი, რომელშიც უცხოელები მოვლენ, დატკბებიან ჩვენის ამაგითა და სტუმართმოყვარეობით და წავლენ!" – ეს სიტყვები ქართული ლიტერატურის კლასიკოს კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის (ალბათ ვერ წარმოიდგენდა, რომ საქართველოს სათავეში როდისმე მიკირტუმა-დახლიდარები მოვიდოდნენ და ქვეყანას ერთ დიდ რესტორნად გადააკეთებდნენ!).

კონსტანტინე გამსახურდია ეპოქათა ჭიდილისა და მსხვრევის მიჯნაზე ცხოვრობდა და მისი ქმნილებები, ისევე როგორც იავარქმნილი კოლხური კოშკი, დღემდე რჩება გაუტეხელი ქართული სულის სიმბოლოდ. "ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი",– ამბობდა მწერალი და მთელი ცხოვრება ხელოვანთა უკვდავყოფას შეალია, რომელიც მართლაც ითხოვს "გულის სისხლს".

კონსტანტინე გამსახურდია გარდაიცვალა 1975 წლის 17 ივლისს. დაკრძალულია თბილისში, საკუთარი სახლის, "კოლხური კოშკის" ეზოში.

უსასრულოდ შეიძლება საუბარი დიდი კონსტანტინეს შემოქმედებაზე და მის საზოგადოებრივ თუ მეცნიერულ საქმიანობაზე. დღეს მხოლოდ ამ ღმერთკაცის რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველებს.

### ტფილისური საღამო

ცას გაეკრა ღრუბელი, ვით შუბლს ფიქრი ფარული,
ჩამორეცხა წვიმამ ცას ლაწვით ფერუმარული;
ნისლის რუხი ზოლები მძინარ სახურავიდან
მიიწევენ ცისაკენ გაწეწილი კავითა.
სულიც ისე ისწრაფვის, ცისკენ მზეგადასული,
როგორც კვამლი საღამოს, საკმეველად ასული.
მოიბურა მთაწმინდა ნისლის სამოსელითა,
ღმერთმა ცისკენ დაუშვა ოქროს ჯაჭვი ხელითა.
ფიქრი მოვა საღამოს, ფიქრი შავნაღვლიანი,
შემოაღებს ჩემს კარებს, როგორც მგზავრი გვიანი.
ბნელ ქუჩებში უმიზნოდ, დავალ დავეხეტები
ვნახო მტკვარში ვითა კრთის სინათლისა სვეტები.
დაეხატა მტკვარს მკერდზე საფირონის ციონი.
"მოკვდა ბაგრატიონი, მოკვდა ბაგრატიონი", -
აგუგუნდნენ ზარები, აქვითინდა სიონი...

(1917)

### არ მიყვარს ვარდი

არ მიყვარს ვარდი, აღარც მთვარე, მოგვი ციური,
ძველ პოეტებმა რომ გასთელეს და შემაძაგეს.
ბულბულს ორკესტრი მირჩევნია სიმფონიური,
ღიმილის ნაცვლად სიძულვილი მატყვია ბაგეს.
არ მიყვარს ღამე, სერენადა, შელლის მიმოზა,
არც უკვდავება - კაცთა მოდგმა გულმავიწყია;
სულმდაბალ ბრბომ თუ შუბლი დაფნით არ შემიმოსა,
ჯერ სახელისთვის მათხოვრობა არ დამიწყია.
თავს არ ვიტყუებ არც ოცნებით, არც მოჩვენებით,
თუ ცის მნათობიც მომიძულებს და გამიმეტებს,
– ელექტროს შუქი აღსავსეა ახალ მშვენებით,
როს წინწკლებს აფრქვევს ძილმორეულ ღამის პლანეტებს.
მე თქვენთვის დამაქვს, კაცუნებო, ნიღაბი შავი,
აპოლოს რჩეულს თქვენ სალამიც არ გამიბედოთ,
გვერდს ჩაგიარეთ და მიტომაც დავხარე თავი,
შურით არეულ სახეებში რომ არ შეგხედოთ.
იდუმალ კოშკში ფანტაზია დავსვი დედოფლად,
მას ჩემი ლანდი სასიძოდ ჰყავს, მისივ მხლებელი,
ვიცი გავირბენ შეუმჩნევლად ამ წუთისოფლად,
ვით მძინარ ტყეში შუა ღამის მატარებელი.

(1918)

### მგლოვიარე ასულისადმი

რად მგლოვიარობს შენი სული ღმერთდალეული,
ბადახშის ლაწვი ბნელის ჩრდილით ვინ შეგიმოსა?!
ვაგლახ, მთოვარე გველს უპყრია იჭვით სნეული,
მწუხარე ცრემლებს დაუსეტყვავს ბაღჩის მიმოზა.
როს მთვარე მკრთალობს, იბინდება ვარსკვლავთ კრებული,
გაძვირდა ჩემთვის შენი ნახვა ვით თვალი ნატვრის,
აჰ, რისთვის არ ხარ დედოფალი შენ სავიატრის,
მე კიდევ – პაჟი, შენს აჩრდილზე შეყვარებული!
შენს სასახლეში მგოსანს მხლებლად თუ ამიყვანდი,
ჩემ შორი-ახლოს ყოფნას თუ არ დაიზარებდი,
თან გსდევდი მუდამ, ვით შენივე ფერმკრთალი ლანდი,
შლეიფზე მაინც მთრთოლვარ თითებს მოგაკარებდი.
როს მთვარე მკრთალობს, იბინდება ვარსკვლავთ კრებული,
გაძვირდა ჩემთვის შენი ნახვა ვით თვალი ნატვრის,
აჰ, რისთვის არ ხარ დედოფალი შენ სავიატრის,
მე კიდევ - პაჟი, შენს აჩრდილზე შეყვარებული!

(1918)

სერგეი კრემლიოვი
ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი
4
თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

დაგვასვენეთ ამ პოლიტიკური გვამი–შევარდნაძისგან! 11

10 როგორ მოვიგოთ არჩევნები

7 რობერტ სტურუა: ხალხმა ვიცით სიმართლე, მაგრამ ხელისუფლება სირაქლემასავით ოსტატურად მალავს სიცრუის ქვიშაში თავს!



როგორ აღნიშნა მსოფლიო ჩემპიონმა პრეზიდენტის სიკვდილი 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესენინი საქართველოში: მე თქვენი ჩრდილოელი მეგობარი და ძმა ვარ!

## ბრძოლაში მამიდები ჩაებნენ

**„სტუმრები, სტუმრები, სტუმრები... ნეტავ ვინმე მიხსნიდეს მათგან. და, რაც მთავარია, მუშაობაში ხელს მიშლიან“**, – წუხდა ესენინი. არადა, მუშაობა სურდა. დასასრულებელი იყო **„სპარსული მოტივები“**, დროისა და განწყობის დაკარგვა არ შეიძლებოდა. და 6 დეკებერს ესენინი ნიკოლაი ვერჟბიცკისთან ერთად ბათუმში გაემგზავრა, რამდენიმე დღის შემდეგ კი გაზეთმა **„Трудовой Батум“ „სპარსული მოტივების“** პირველი ორი ლექსი დაბეჭდა.

ესენინს განმარტოება ენატრებოდა, ალიაქოთს გაურბოდა, მაგრამ საკუთარ თავს – ვერა. არ სჭირდებოდა ეს მარტოობა, არ შეეძლო ადამიანებისგან გარიყულად ცხოვრება, ის კაცი არ იყო, ვინც ოთხ კედელშუა გამოიკეტებოდა და მთლიანად მუშაობაში ჩაეფლობოდა.

რა თქმა უნდა, ესენინის ბათუმში ჩასვლამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია, ყურადღებაც მიიპყრო. ქუჩაში აჩერებდნენ, ეცნობოდნენ, რესტორანში ეპატიჟებოდნენ. მთელი დღეები მხიარული თანამესუფრეებით იყო გარშემორტყმული.

ჩემს ბათუმელ მამიდებს მათმა ნაცნობმა მხატვარმა საიდუმლო და საპასუხისმგებლო მისია აკისრებინა: პოეტი ბოჰემისა და გაჭიანურებული ქეიფისგან დაეცვათ. და მამიდებიც გაბედულად ჩაებნენ ფხიზელი ცხოვრების წესის დასამკვიდრებელ ბრძოლაში.

ამ მხრივ განსაკუთრებით უფროსი და ანა ალექსის ასული ჩაჩუა ბეჯითობდა, გათხოვების შემდეგ – ლაპასტარჟენეცკაია. შუათანა და – მხატვარი ოლღა, ქმრის გვარით – სელეზნიოვა, მისი საიმედო დამხმარე გახლდათ; ხოლო ჩემს უმცროს მამიდა ქსენიას დამკვირვებლის პოზიცია ეკავა, რადგან მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, თუმცა დების კეთილშობილურ აღმაფრენას ხელს არ უშლიდა. რა იცი, რა ხდება!

თავდაპირველად საჭირო იყო ესენინის გაცნობა და საკუთარი შესაძლებლობების შეფასება. ამის გაკეთება კი ძნელი არ იყო: პატარა ქალაქში მთელი ინტელიგენცია ხელისგულზე მოჩანდა. მამიდა ანა სერგეი ესენინის მეგობარსა და მასპინძელს – ლევ პოვიცკის ესტუმრა.

შინ იყვნენ. სუფრასთან ისხდნენ და ჩაის მიირთმევდნენ. როგორც მამიდა ანამ მიამბო, ესენინი გულღიად შეხვდა, ჩაი შესთავაზა. ვერ ვიტყვი, რომ ანას დანახვისთანავე მოეწონა ესენინი: ჩვეულებრივი ბიჭი, რომელსაც ლამაზი ოქროსფერი კულულები და სევდიანი ცისფერი თვალები ჰქონდა. **„თუმცაღა, როგორც კი ჩვენი თხოვნით თავისი ლექსების კითხვა დაიწყო, მაშინვე მომხიბლა თავისი უშუალობით, სითბოთი, ოდნავ ყრუ ხმის ტემბრით. ამდენი წელი გავიდა, მე კი მისი ხმა ვერ დავივიწყე“.**

მამიდამ დიდი საიდუმლო გამანდო და მაცნობა, რომ მშვენიერი ლექსები იყო, თუმცა... მისი პირველი ქმარი ამაზე ურიგო ლექსებს როდი წერდა. რა გაეწყობოდა, სიყვარული ალაპარაკებდა.

გამომშვიდობების დრომ რომ მოაწია, მამიდა ანამ სერგეი ესენინი სტუმრად მიიპატიჟა. მადლობა ღმერთს, იქვე ცხოვრობდა.

სერიოჟკა, როგორც მამიდა ანა ეძახდა, დაუმეგობრდა და, ჩვეულებრივ, მცირე ხნით შემოივლიდა ხოლმე. **„დაჯდებოდა. დაჟინებით სადღაც შორეთში იცქირებოდა, თითქოს იქ რაღაცას ხედავდა, მაგრამ არა იმას, რაც ცხვირწინ ჰქონდა. გისმენდა, თუმცა ისე, თითქოს შენი არ ესმოდა. „თქვენთან ისე მოვდივარ, თითქოს ჩემს დებთან“**, – ასე ამბობდა. მართლაც, გული მოუწევდა ჩვენკენ, რადგან მუდამ თბილად, გულღიად და გულითადად ვხვდებოდით. რაც მთავარია, ახალგაზრდობის მიუხედავად, მისი გულის მონადირებას არ ვცდილობდით“.

ყოველ ხუთშაბათს დები ჩაჩუების სახლში მუსიკალური საღამოები ეწყობოდა, სადაც ბათუმის ბომონდი იყრიდა თავს. მამიდა ოლღას დედამთილის, პიანისტ ელენა სელეზნიოვას მიერ ორგანიზებულ საშინაო კონცერტებში მისი სიძე, მევიოლინე დ. ლეგკერი, პიანისტი ნეიშტადტი და სხვებიც მონაწილეობდნენ. კონცერტებზე ესენინსაც იწვევდნენ. თუმცა, ანას აზრით, ის მოწყენილი იყო – კლასიკა მის გულს ვერ ეხმიანებოდა. **„თვალწინ მიდგას დივანის კიდეზე ჩამომჯდარი მისი დაძაბული ფიგურა და კარისკენ მიმართული მზერა. ნახევარსაათიანი მდუმარე ჯდომის შემდეგ ის შეუმჩნევლად უჩინარდებოდა. ეტყობა, მშობლიური ტალიანკის ხმები უფრო იზიდავდა, – ამბობდა მამიდა, – სამუდამოდ დამამახსოვრდა, ვისაც უნდა შეხვედროდა, სადაც უნდა ყოფილიყო, მუდამ საკუთარ თავში იყო ჩაკეტილი, ნაღვლიანი და იქ არმყოფი...“**

ერთხელ ერთ ასეთ საღამოზე ესენინი ნასვამი მოვიდა, თუმცა გაფრთხილებული იყო, რომ ამ მდგომარეობაში ზღურბლზეც არ გადააბიჯებინებდნენ. ბოთლიც კი წამოეღო თან. კაკუნის ხმაზე გამოსულმა მამიდა ქსენიამ ამ უმსგავსობის დანახვაზე მკაცრად მოსთხოვა იქაურობის დატოვება. ისიც დამორჩილდა: აბა კეთილშობილ ოჯახში აყალმაყალს ხომ არ ატეხდა!

მრავალი წლის შემდეგ, როცა უკვე დიდი ვიყავი, მამიდა ქსენიას ვუსაყვედურე იმის გამო, რომ სახელგანთქმული პოეტი ასე უხეშად დაითხოვა სახლიდან. **„რატომ მოვიდა მთვრალი?“** – არ შემეპუა იგი. რაღა უნდა მეთქვა?

ანა ხშირად ხვდებოდა ესენინს. უყვებოდა საკუთარ ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ დატოვა თეთრებთან ერთად სამოქალაქო ომის ალში გახვეული კიევი, გადასახლდა ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი – მშობლიურ ბათუმში. თავსგადახდენილ ამბებს უამბობდა სერგეი ესენინიც...

სხვათაშორის, თავისი ბიოგრაფიის ბევრი ფაქტი მამიდა ანამ შემდეგ ესენინის ცნობილ პოემაში – **„ანა სნეგინა“** – ამოიკითხა. არა, ის არ ირწმუნებოდა, რომ გმირი ქალის პროტოტიპი იყო, მით უფრო, მას შემდეგ, რაც ლიტერატურათმცოდნეებმა გამოიტანეს ვერდიქტი – ეს ორი ქალის – ანა სარდანოვსკაიასა და ლიდია კაშინას ლიტერატურული სახეები იყო.

მამიდა ანა არასოდეს კიცხავდა სერიოჟკას. იცინოდა მის გამოხდომაზე, როცა ის ბულვარზე, ძელსკამზე ჩამომსხდარი კოხტა ქალების დანახვაზე მათკენ გაემართა, ხოლო გზად ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭისგან მისი ყუთი ითხოვა. ქალების წინ მუხლებზე დაეშვა და სთხოვა: **„ნება მომეცით, ქალბატონებო, ფეხსაცმელი გაგიწმინდოთ“.**

ქალებმა იცნეს ესენინი, შეცბნენ, მტკიცე უარი განუცხადეს, პოეტი კი თავისას არ შლიდა. სიტუაცია დროულად გამოჩენილმა ლევ პოვიცკიმ განმუხტა.

**„ასე რომ, არც ისე კარჩაკეტილად და ეულად ცხოვრობდა ესენინი, როგორც ამის შესახებ მოსკოვში ბენისლავსკის სწერდა. მისი მარტოობა შინაგანი იყო და გარეგნული გამოხატულება არ ახლდა. ბათუმში ჩხუბის ატეხის მცდელობები და სხვაგვარი უცნაური შემთხვევებიც ჰქონია“**, – ირწმუნება მამიდა ანა.

მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან, ოლგა კობცოვასთან, გაჩაღებულ მის ბობოქარ რომანსაც უძებნიდა გამართლებას, თუმცა ქალს, რომელსაც ესენინი **„მის ცოლს“** ეძახდა, სხვა **„სიკეთეებთან“** ერთად, მშობლებიც კონტრაბანდისტები ჰყავდა. რა მოხდა მერე, ახალგაზრდობით მოუვიდა, არ უწყოდა, რას სჩადიოდა. შემდეგ დაშორდა ოლგას.

ფხიზელი ცხოვრების წესისთვის ბრძოლა როგორ დამთავრდა? გულწრფელად უნდა ვაღიარო: მამიდა ანამ ეს ბრძოლა წააგო. არ უშველა, მისი თვალსაზრისით, მძლავრმა იარაღმაც – მუქარამ, რომ ესენინთან ერთად სამიკიტნოებში ივლიდა. პოეტმა ხომ იცოდა, რომ ახალგაზრდა ინტელიგენტი ქალი ამას არასოდეს გააკეთებდა.

**„თებერვლის ბოლოს ესენინი ძალზე გახარებული და გამოცოცხლებული ვნახე. ხელი ჩამომართვა და ხალისით მამცნო:**

**– მივემგზავრები, ანა ალექსეევნა, მოსკოვში, შინ მივემგზავრები, მომენატრა იქაურობა!**

**რატომღაც გუნებაში გამიელვა, რომ ბათუმში მისი სტუმრობა იძულებითი იყო. თუმცაღა არაფერი მიკითხავს, გულითადად მივულოცე და ბედნიერი მგზავრობა ვუსურვე“.**

და მაინც, სერგეი ესენინმა მამიდაჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მის შესახებ ანა მრავალი წლის განმავლობაში წერდა რომანს, რომელსაც **„ეკლიანი გზა“** უწოდა. რომანში სიმართლე და გამონაგონი ჰარმონიულად იყო შერწყმული, თუმცა ის არ გამოცემულა. მხოლოდ როსტოვის ერთ-ერთმა გაზეთმა დაბეჭდა მისი რამდენიმე თავი.

გამოხდა დრო. **„ჩვენი ბობოქარი და თამამი ახალგაზრდობა წარსულს ჩაბარდა“, „მოგონებების ჟამი დადგა“** და ცნობილმა ქართველმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ, რომელსაც მეგობრები გოგლას ეძახდნენ, დაწერა: **„სულ უფრო ხშირად ვიფორიაქებ მეხსიერებას და წარსულიდან მეგობრებისა და თანამოძმეების ხატებებს ვუხმობ. მათ შორისაა მომაჯადოებელი ძალისა და განუმეორებელი მომხიბვლელობის მქონე კაცი – დიდი რუსი პოეტი სერგეი ესენინი. თითქოსდა ჩამესმის მისი ხმა, 40-ზე მეტი წლის წინათ რომ ჟღერდა...**

**მტკიცე სიყვარულის აღელვებული გამოძახილით ვპასუხობდით მას – პოეტს, ჩვენი დროისა და ახალგაზრდობის მუსიკა რომ მოიცვა. თეთრი არყისხის შეურყვნელი სიქათქათით წარმომიდგება თვალწინ – ნათელი, ცისფერთვალა, ჩემი კეთილი მეგობარი და თანამოკალმე.**

**...ქართული პოეზიის ნიმუშების თარგმნა ჰქონდა ჩაფიქრებული... საქართველოს შესახებ ლექსების ცალკე ციკლის შექმნა სურდა... თუმცა მანაც, მაიაკოვსკივით, „ვალში რომ დარჩა ბაღდათის ზეცას“, ვერ შეძლო ბევრი დიდი გეგმის განხორციელება, პირველმა თავად რომ ჩაიფიქრა და შემდეგ რუსი საბჭოთა პოეტების დიდი ოჯახის წევრებმა რომ განახორციელეს“.**

სერგეი ესენინის წერილიდან ტიციან ტაბიძისადმი:

**„ჩემო მეგობარო ტიციან! უკვე მოსკოვში ვარ. ძალიან მიხარია, რომ მეგობრებს ვხედავ, ვიხსენებ და ტფილისზე ვუყვები. ჩვენი თავგადასავლები აქ უკვე იციან იმის ჩათვლით, პაოლოს კეპს ხაშში როგორ ვხარშავდით.**

**საქართველომ მომაჯადოვა. როგორც კი მოსკოვსა და პიტერში ჩემს კუთვნილ ჰაერს შევსვამ – უკანვე, თქვენკენ გამოვეშურები, რომ გიხილოთ და მოგეხვიოთ. ამ გაზაფხულზე ტბილისში, ალბათ, მოსკოველთა ნამდვილი შემოსევა იქნება. მანდ ჩამოსვლას აპირებენ კაჩალოვი, პილნიაკი, ტოლსტაია და ვს. ივანოვი. ბაბელი უფრო ადრეც გეწვევათ. გულღიად შეხვდით. კარგი ყმაწვილია და სტუმართმოყვარეობას იმსახურებს. ჰკითხე პაოლოს, რომელი თოფი ვიყიდო ტახებზე სანადიროდ. ნომერი მომწეროს.**

**მომიკითხე ყველა ჩემი მეგობარი – პაოლო, რობაქიძე, ლეონიძე და გაფრინდაშვილი. ხელზე ემთხვიე შენს მეუღლესა და ქალიშვილს და თუ არ დაიზარებ, ორიოდ სიტყვით მიპასუხე.**

**20 მარტი, 1925 წ. მოსკოვი“**

დეკემბერი. ტიციან ტაბიძე **„ზარია ვოსტოკას“** რედაქციის წინ მიდის. იქიდან დაუძახეს:

– ტიციან, ტიციან! სერგეი ესენინმა ლენინგრადში თავი ჩამოიხრჩო!

ქართველ პოეტებს თავზარი დაეცათ, მწუხარებამ მოიცვა. მათ ხომ ძმა დაეღუპათ!

ელენე ჩაჩუა
საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“

# სიტყვისა და საქმის კაცი



*ნომრის სტუმარია საზოგადოება “რუსთაველის” თავმჯდომარე, აკადემიკოსი* **ანზორ შონია**

ამა თუ იმ პიროვნების შესამკობად ადამიანები შესაბამის ეპითეტებს იშველიებენ. რუსთაველთათვის მხოლოდ ანზორ შონიას სახელისა და გვარის ხსენებაც კი საკმარისია. კაცური კაციაო – ასე ამბობენ მასზე. არავის ახსოვს ვინმესთვის ცუდი გაეკეთებინოს, რადგან მარტო სიკეთის მთესველია. მის ქველმოქმედებაზე ხომ, მთელი საქართველო ლაპარაკობს.

მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში და შრომითი საქმიანობა მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყო. მუშაობდა ზეინკლად, უფროს ოსტატად, საამქროს უფროსად, მთავარი ინჟინრის მოადგილედ. ისე გამოიჩინა თავი თავისი საქმიანობით, რომ უკვე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ნიშნავდნენ. იყო საწარმოო გაერთიანება **“ქიმბოჭკოს”** პარტიული კომიტეტის მდივანი, შსს რუსთავის ქვეგანყოფილების უფროსი, №1 მშენებლობის ტრესტის შემკეთებელ-მექანიკური ქარხნის დირექტორი, ლუდისა და ალაო-წყლების კომბინატის დირექტორი.

1986 წელს დაინიშნა საწარმოო გაერთიანება **“ბორჯომის”** გენერალურ დირექტორად, მაგრამ იქ დიდხანს ვერ გაუძლო გულმა, ისევ მშობლიურ რუსთავს დაუბრუნდა, კვლავ ლუდისა და ხილეული წყლების კომბინატის დირექტორად დაიწყო მუშაობა.

1992-2002 წლებში ანზორ შონია მრეწველთა კავშირის თავმჯდომარედ ინიშნება.

ანზორ შონიას პიროვნული კრედო მის ეროვნულობაშია. ამიტომაც არის, რომ მისი წერილები და ნარკვევები ქართულ ენას, ქართველ ერს, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ეხება. გული ეწვის თავისი ერის სატკივარზე და უხარია მისი ყოველი წარმატება. მტკივნეულად განიცდის სამშობლოში მიმდინარე ბოლოდროინდელ პროცესებს, მაგრამ იმედი არასოდეს დაუკარგავს. ამიტომაც არის, რომ ბატონი ანზორი თავის თითოეულ წერილში გვმოძღვრავს – გავუფრთხილდეთ ყოველივე ქართულს – ენა იქნება ეს, ტერიტორია თუ სარწმუნოება.

ანზორ შონია მრავალი ნარკვევის, პუბლიცისტური წერილის, წიგნის ავტორია. საყურადღებოა წერილები: **“რამდენიმე შენიშვნა რამაზ პატარიძის წიგნზე “ქართული ასომთავრული”**. საქებარი წერილი აქვს მიძღვნილი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისადმი. ჭეშმარიტი მამულიშვილი შეძრა აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ. სამეგრელო-აფხაზეთში გაზრდილმა კარგად იცოდა იქ მიმდინარე ანტიქართული ვითარება. ერთ-ერთმა პირველმა გააფრთხილა კიდეც საზოგადოება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. სწორედ ამ თემას ეხება მისი ნარკვევი **“ერის დიდი სატკივარი”**. 1989 წელს გამოაქვეყნა აფხაზი შონიებისადმი მიძღვნილი წერილი **“ვაი, ჩვენს თავს”**, სადაც აფრთხილებდა თავის მოგვარეებს დაბრუნებოდნენ მშობლიურ ერს. ამ მიზნით 1990 წელს შეკრიბა შონიების საგვარეულო, რის შემდეგაც ოცამდე გააფხაზებულმა შონიამ აღიდგინა ეროვნება.

პერიოდულ პრესაში დაიბეჭდა მისი წერილები: **“ეროვნული მნიშვნელობის საბედისწერო შეცდომა”, “გვარები მეტყველებენ”, “საქართველოს დიდი ტრაგედია”**. 1998 წელს რუსულ ენაზე გამოიცა ბროშურა **“სიმართლე აფხაზეთზე”**, 2003 წელს კი წიგნი **“ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა”**. შარშან მკითხველმა მიიღო ანზორ შონიას კიდევ ერთი წიგნი **“კოლხები – ქართველების წინაპრები”**, სადაც თავმოყრილია მთელი რიგი ძველი და ახალი წერილები.

**“ბატონი ანზორი – ინჟინერი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორი, დიდი ერუდიტი, ღირსეული მამულიშვილი, ქველმოქმედი, მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე. ათეული წლები უანგაროდ, ამოუწურავი ენერგიით ემსახურება მისთვის სიცოცხლეზე უფრო საყვარელ სამშობლოს, ქართველი ერის ინტერესებს”** – ასე ახასიათებს მას ისტორიკოსი, პროფესორი კლიმენტი შელია.

**ვუსურვებთ ბატონ ანზორ შონიას დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებებს მის მრავალმხრივ მოღვაწეობაში საყვარელი სამშობლოს სასიკეთოდ.**

ალმარ ლომიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩატეხილი ხიდი

*"ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,*
*მძინარეც ამას ვდუდუნებ"*
ვაჟა ფშაველა.
*"ერთ მშვენიერ დღეს ფეხს დავკრავ და*
*აფხაზეთს გავალ... ღია დამხვდება*
*ქართველების კარები, მჯერა".*
*... "აფხაზეთში დავესახლე და ქართულად*
*ვლაპარაკობ"...*
შირვან ხაკანი,
მე-XII საუკ. სპარსი პოეტი)

**..."რატომ ვწერ? ის რაც გულში მაქვს, უნდა გამოვიდეს; აი ამიტომ ვწერ"** – მახსენდება ბეთჰოვენის ცნობილი ფრაზა და უნებურად ვგრძნობ როგორ მიჩქარდება გულისცემა....

გარეთ სუსხია, ჩემი ფანჯრიდან ფუნიკულიორს ვხედავ; მთაწმინდა დუმს... ფიქრები სადღაც გაურკვეველ სივრცეში იკარგებიან... იმ სივრცეში, სადაც საქართველოს ისტორია ძალიან ცუდად იწყება; მემატიანეს ალბათ გაუმრუდდა კალამი.

წარსულზე ფიქრმა იძალა...

აფხაზეთი. სასაზღვრო ზონა. ჩემი სოფელი ოტობაია. 1996 წელი. მაშინ, რამოდენიმე ქართულმა ოჯახმა შეძლო დამკვიდრება მშობლიურ მიწაზე შიშის და რისკის ფასად. მათ შორის ჩემმა ოჯახმაც.

გადაწყვეტილება მივიღე აფხაზეთში გადასვლის... იქ მშობლები და მეზობლები მეგულებოდა. ეგრეთწოდებულ საზღვარს ჩატეხილი ხიდის გავლით მივადექი.

მშობლიურთან პირდაპირ შეხვედრა ძალიან მძიმე იყო. მესაზღვრეებმა ერთსაათიანი ახსნა-განმარტება მოანდომეს, რომ აქ სახელმწიფო საზღვარია და ყოველ შესვლა-გამოსვლაზე თანხაა გადასახდელი... ან არ გამატარებენ; და საერთოდ ჩემი შეხვედრა მესაზღვრეებთან ყოველთვის მთავრდებოდა კონფლიქტით; ერთმანეთს გულში ვუგინებდით ოჯახს, მშობლებს, და-ძმას, წინაპრებს. კამათის დროს მავიწყდება რომ ისინი შეიარაღებული არიან (მათაც ავიწყდებათ); ვგრძნობ არანორმალურად მოზღვავებულ ძალას... ქრება შიშის შეგრძნება და მაინც, აცახცახებული ვუხსნი, რომ მე, სადაც დავიბადე და გავიზარდე იქ ყოველთვის შევიდოდი; რომ მიწა, რომელზეც ვიდექი ჩემი მშობლიური მიწა-წყალია... არ ვიცი როგორ, მაგრამ ხშირად მიმართლებს, მატარებენ: – გამწარებული და აღელვებული, ატირებული და დამცირებული მივუყვები სახლისკენ მიმავალ გზას. სოფლის შარა-გზაზე მიმავალი ვხედავ მიტოვებულ ეზოებს, სახლის სიმაღლეზე აბიბინებულ ბალახებს, გადამწვარ სახლ-კარს მეზობლებისას... მიტოვებულ საფლავებს.

უამრავი მსხვერპლი მოითხოვა ამ ომმა ორივე მხრიდან. უამრავი ადამიანი დაიკარგა უგზოუკლოდ და უამრავი ადამიანი გახდა დევნილი საკუთარ ქვეყანაშივე. ენგურზე გადებული ჩატეხილი ხიდი ჩემს სამშობლოს დღემდე ორად ჰყოფს: ხიდს გაღმა აფხაზეთია, გამოღმა საქართველო. ხიდს გაღმაც ჩემი სამშობლოა და ხიდს გამოღმაც... სამშობლო კი მოგეხსენებათ ერთია დედამიწის ზურგზე.

მახსენდება მოხუცი მამის ნაამბობი: **"ეგზეკუციასავით ჩამოივლიდნენ ბოევიკები: მიჰქონდათ და გაჰქონდათ ყველაფერი; წინააღმდეგობის შემთხვევაში ადამიანებს ხოცავდნენ, სახლებს წვავდნენ, მიერეკებოდნენ საქონელს, ფრინველს"**... მძიმეა, ძალიან მძიმეა წარსულის გახსენება.

აფხაზეთის ომის დაწყებიდან გავიდა დარდიანი, ტკივილიანი და გაყინული წლები... თითქოს სამუდამო გადასახლება გვერგოო... ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი ხელმეორედ სამაჩაბლოს ომს და კოდორის ხეობისა და ახალგორის რაიონის დაკარგვას.

მხოლოდ საქართველოს სხეულში ჩაბუდებული ბოროტი ძალა და მტერი თუ გაუკეთებდა ამას ქართველ ხალხს!

...ისევ ახალი დევნილები. მსხვერპლი, ისევ დარდი და ისევ ცრემლები... თბილისში გაჩნდა ძმათა სასაფლაო ბულდოზერით გაჭრილი და გათხრილი; სადაც ქართველი ვაჟკაცების **"ცხელი გული"** ასვენია, ხოლო მეორე სასაფლაო დევნილთა – ივსება მიცვალებულებით; იქ დამკვიდრებულმა ადამიანებმა თან ჩაიყოლიეს აუხდენელი ოცნება. ოცნება აფხაზეთში დაბრუნებისა და საკუთარი სახლ-კარის ხილვისა... ეს ტრაგედიაა, სულისშემძვრელი...

აფხაზეთი და სამაჩაბლო მთლიანი საქართველოს ტკივილია საზღვარს იქით: – მე ხშირად ჩავდივარ აფხაზეთში. უფრო მძიმეა ჩემთვის თბილისში მობრუნება; დეპრესირებული, დაბერებული, ცრემლიანი და ტკივილიანი... მტკივა მამული, მტკივა ჩატეხილ ხიდს მიღმა ყველასგან მიტოვებული ქართველობა. **"ყველას დავავიწყდითო"** – ამბობენ გულაწყვეტილები და დიდი შრომისა და წვალების შედეგად უწევთ ოჯახების რჩენა. სკოლა სანახევროდ ფუნქციონირებს; მესაზღვრეები ჩატეხილ ხიდზე ხშირად არ ატარებენ ხალხს საზღვრის იქით მდებარე სკოლებში. სოფლის მოსახლეობა, რომელიც ზუგდიდში ახერხებს ჩასვლას, უკანმობრუნებულები, ჩატეხილ ხიდთან საათობით დგანან და ელოდებიან როდის წავლენ მესაზღვრეები სასადილოდ, რათა ეს დრო გამოიყენონ და თავიანთ ოჯახებში დროულად მიიტანონ პურის ფქვილი, ქატო თუ პროდუქტები... დღითი დღე გაუსაძლისი ხდება იქ ცხოვრება. გზები ხშირად გადათხრილია, ჭირს ტრანსპორტირება. ჩვენი საერთო მტრის ოცნებაა სრული იზოლაცია საქართველოსთან. იყო შემთხვევები, მავთულხლართებიც გაავლეს, მაგრამ სოფლის ახალგაზრდებმა ღამე რამდენჯერმე აყარეს და ენგურს გაატანეს მათი ოცნების ხლართები. ბევრჯერ გამჭირვებია შემოვლითი გზით განმუხურიდან საკუთარ სახლში მისვლა. მიკროავტობუსით მინდორ-მინდორ, ტყე-ტყე, სიმინდის ყანების გავლით. მძიმე სურათია და არავინ არ იცის სანამდე გაგრძელდება ეს ცხოვრება...

საზღვარს აქეთ: – შელახული ღირსებები, დარღვეული უფლებები, სამარცხვინო შემწეობები, გასახლებები საცხოვრებელი ადგილიდან დროისა თუ ამინდის მიუხედავად, დედაქალაქში დევნილთა და არადევნილთა ახალი კატეგორია **"შეჭრილები"**, ვინ არიან ისინი?!... შეიძლება გარკვეული ჯგუფები ადამიანებისა შეჭრილია, მაგრამ მათ შორის არიან **"პირველი"** დევნილებიც, რომლებიც ქირით ცხოვრობდნენ, ვერ უძლებდნენ საყოფაცხოვრებო და კომუნალურ გადასახადებს და თავი შეაფარეს იმ შენობებს. ისინი ისევ ბედის ანაბარად რჩებიან.

თურმე დევნილებმა არანაირი ილუზია არ უნდა შევიქმნათ თბილისში ცხოვრებაზე... მართალია დედაქალაქში მოზღვავდა ხალხი, მაგრამ ეს მარტო დევნილები როდია. ქართველი ერი პოლიტიკურმა ყოფამ დიდიხანია მოხეტიალე და მორბენალ ერად აქცია; პირველნი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან მოედინება ხალხი სამუშაოს საძებნელად დედაქალაქში, ხოლო მეორენი დედაქალაქიდან, რეგიონებიდან გაედინებიან ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში.

საით მივდივართ?!... ჩვენს სულებში დიდი ხანია მზე გარდაიცვალა. მზე გამარჯვებისა, გამართლებისა, გაერთიანებისა... სიღარიბე უკვე ჩვენი ოჯახის კარებთან აკაკუნებს... ყოველ ნაბიჯზე შევხვდებით ადამიანთა ცივ, დაღლილ, უიმედო თუ დარდიან სახეებს... ეს ჩვენ ვართ, საქართველოს მოსახლეობის თითქმის სამოცდაათი, ოთხმოცი პროცენტი; დიახ ეს ჩვენა ვართ ბინძური პოლიტიკის ნაშთი, რომელთა მორალურ და ფიზიკურ ყოფაზე მთავრობა დამამცირებლად, რომ **"ზრუნავს"**

... ადამიანი წუთისოფლის სტუმარია და უკან მომდევნო მგზავრზეც უნდა იფიქროსო, უთქვამთ და მე არ ვიცი ვის მივადგე, ვის მივეფარო, ვის დავუთმო ტკივილი, რამეთუ თავადაც მოფერება ძალიან მჭირდება...

ქართველებო და არაქართველობო! ერთმანეთს გვერდით თუ არ დავუდექით სამშობლოს დავკარგავთ...

მთავრობები მიდიან და მოდიან. ვრჩებით ჩვენ ერი. ერი რომელმაც თითქმის ყოველ ეპოქაში იბრძოლა ენის, მამულის და სარწმუნოებისათვის. ერთად დგომამ, ერთად ბრძოლამ შეგვანარჩუნებინა ეს უდიდესი ღირებულებები. როდესაც სამაჩაბლოს ომი მიმდინარეობდა თბილისის ერთ ქუჩაზე, ჩემი დროებითი საცხოვრებლისკენ მიმავალი დარდიანი და ცრემლიანი, ვხედავდი კაფე-ბარები და რესტორნები სავსე იყო მოქეიფე და დროს მატარებელი ხალხით... და რა გასაკვირია თუ ჩვენს მთავრობას თავისი ხალხი არ უყვარდეს... და რა გასაკვირია გაუყვედრიდეს ელექტროენერგიას, ბუნებრივ აირს, წყალს... გზებს და ასე შემდეგ. ძალიან მინდოდა უამრავ თემას შევხებოდი: სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, ჯანდაცვა, განათლება, სასამართლო, მაგრამ ჩემი ანალიზით ვერავის გავაკვირვებ, ვინაიდან ქართულმა თუ არაქართულმა ოჯახებმა მშვენივრად უწყიან რა პრობლემების წინაშეა ქვეყანა, ერი, თითოეული ჩვენგანი.

უბრალოდ, ერთი რიგითი ქართველის ტკივილი იგრძნობა ამ სტრიქონებში. მე მაფორიაქებს ჩემი დარდიანი საქართველო, მტკივა ბევრჯერ მოტყუებული ქართველობა, მტკივა რეგიონებში ჩამკვდარი სული...

მთავრობა აკეთებს, აშენებს იმას რასაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ. ბევრი კარგი საქმეც გაუკეთებიათ და ნამდვილად გამხარებია. ეს კარგი თავისთავად უნდა მივიღოთ, გავუფრთხილდეთ.

როდესმე ხომ უნდა ვისწავლოთ ერმა, ჩვენი უფლებებისა და ღირსების დაცვა?.. ძნელია უყურო, როდესაც სიღარიბის ქვემოთ მყოფი ადამიანები სარეიტინგო ქულებს კარგავენ და ცხარე ცრემლით ტირიან. სიღარიბე ვინატროთ, რომ ის მიზერული თანხაც არ დაიკარგოს? ასეთ ცხოვრებას...

დევნილთათვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარებები სარდაფებსა თუ საწყობებში გაფუჭებული და დაობებული დევს..

... ბოლო თვეებია ჩემი ციცქნა ოთახის (რვა კვადრატულია ჩემი ყოფის არეალი) ერთადერთ ფანჯარასთან მტრედები ნისკარტით მიკაკუნებენ... მათ შიათ და მე ვაპურებ; ისინი მაინც არ მიფრინავენ, ღუღუნებენ... და მე ბედნიერი ვარ; როცა არაფერი მაქვს ძალიან, ძალიან ვდარდობ... მშიერის დაპურება, ეს ხომ დიდი მადლია...

ვოცნებობ, რომ საქართველოში ყველა დაპურებული დაიარებოდეს... ვნახო ღიმილიანი, დასაქმებული და ბედნიერი ერი. მინდა ვნახო გაერთიანებული ძლიერი, დემოკრატიული სამართლიანი ქვეყანაა...

ცხოვრობდე შენს ქვეყანაში დევნილის სტატუსით და გრძნობდე მძაფრად შენი ქვეყნის სიყვარულს – ეს დიადის შეგრძნებაა... და ასე გაგრძელდება ჩემი სიყვარული ერისა და ქვეყნის წინაშე ბოლო ამოსუნთქვამდე.

მე მივმართავ თბილისელთა კატეგორიას, რომელთაც დევნილები მობეზრდათ დედაქალაქში, სანთლები აანთონ და ილოცონ ქვეყნის გაერთიანებაზე, ერის გაძლიერებაზე.

ეტყობა, ქართველებმა კიდევ ვერ ვისწავლეთ ერთმანეთის სიყვარული.

უღრმესი მოკრძალება და პატივისცემა დედაქალაქს, რეგიონებს, ჩვენგან, დევნილებისგან იმ ადამიანებს, ვინაც საკუთარი ოჯახების ლუკმაპური გაგვიყო; მოგვეფერა და წლების განმავლობაში შეგვიფარა... თუ რამე შეგვეშალა მოგვიტევეთ...

ჩემი წერილი მინდა დავამთავრო ერთი პატარა ამბით: მოსკოვიდან ჩამოსულ რუსებს მიადგა ჩემი მოხუცი ნაბახუსევი მამა. ჩუმად გავყევი. მივუახლოვდი იმ დროს, როცა გულანთებული ეუბნებოდა: – ჩვენ ახალგაზრდა პრეზიდენტი გვყავს, აფხაზეთს დაგვიბრუნებს და თქვენი დუხი არ იქნება საქართველოშიო. პირდაღებული რუსების შემხედვარეს ღიმილი მომერია და მამა რუსებს გამოვარიდე... სახლისკენ მიმავალნი, გზად მეუბნება: შვილო ამ ცუდს არ ვალაპარაკებ თუნდაც ჩვენს ცუდ პრეზიდენტზეო; გაიგონ რომ დღეს თუ ხვალ, ჩვენს კუთხეს მაინც დავიბრუნებთ, მე ვერ მოვესწრები, აი შენ კი მოესწრები, ჩემს საფლავზე მოდი და ჩამომძახეო. მოხუცს ხმაში სისუსტე შევამჩნიე. მე კი გულისცემა ამიჩქარდა; ყელში ცრემლი მომეძალა, მაგრამ მამისთვის არაფერი მითქვამს.

ბოლოს აფხაზეთიდან მიწა წამოვიღე, როცა მშობლიურის შეგრძნება მაკლია, მიწას ვეფერები. ცოტაც სოხუმელ მეგობარს ვუწილადე, ცოტაც ყვავილებს ჩავუყარე ქოთანში... ჩემს ოთახში აფხაზეთის სურნელი და სიყვარული ტრიალებს. მთელი ქვეყნის სიყვარული ტრიალებს... ძალიან მინდა მემატიანემ საქართველოს ისტორია ცუდად არ დაწეროს. კალამი გაუმრუდდეს... და ყოველი წუთი ისტორიის ათვლისა იყოს ჭეშმარიტება.

ნინო შონია,
ოტობაია-თბილისი

---

გთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნისა და ლიტერატორის, ბატონ გივი ბოჯგუას მიერ შედგენილი წიგნიდან "მეგრული ხალხური პოეზია – 100 ლექსი".

## ქორძირუნქინი, გური მაჭუ

ქორძირუნქინი, გური მაჭუ,
ვარძირუნქინი – უფურაში.
შურ(ი) დო გურით ვიჭუუქი,
მუდა დრაშა ვორდა თაში?
ჩქიმი გური სქანწკუმა რე,
სქანი გური შხვაწკუმა რე,
ჩქიმ დო სქანი გოჯოგაფა
ნტერიშ(ი) აკუნაწყ(უ)ა რე.
ჩქიმი გური თეში იჭუ,
ობედი ვაჭვე საკვეცის,
ჩქიმი გური თეშ მიკობუ,
მუჭოთი ჩხომი ანკესის.
ბედინერო დუს ვორწყედი,
თურმე მიჭოფუნო ჭირი,
სქანი ნათხორა სამარეს
კისერიშა გობძუ კირი.
მეურქია, შიივტყვი დო
მუშ იმედის დომიჩინანქ,
თი ზომაშა ქომიყორქი,
გურსუ ჭლექის გომირჩქინანქ.
სერით ლურსუ ვამარძენს,
სიზიმარი მაფოცეწნსი,
ჩქიმი დო სქანი ყოროფა
ღურადღაშახ ვაკოცენსი.
ხეს მიკებუნი – ვარდი რე,
გურსუ მიღუნი – დარდი რე,
ჩქიმ დო სქანი ართო რინი,
ნანა, მუჭომი მარდი რე!

## რომ დაგინახავ, გული მტკივა

რომ დაგინახავ, გული მტკივა
რომ არ გნახავ – უარესი.
სულითა და გულით ვიწვი,
სანამ (რა დღემდე) ვიყო
ასე?
ჩემი გული შენთანაა,
ჩემი და შენი შეძულება
მტრის მოწყობილია.
ჩემი გული ისე იწვის,
აბედს ვერ დაწვავს კვესი,
ჩემი გული ისე ჰკიდია,
როგორც თევზი ანკესზე.
ბედნიერად თავს ვთვლიდი
(ვხედავდი),
თურმე დამიჭერია ჭირი,
შენს მიერ გათხრილ საფლავში
ყელამდე მაკრავს კირი.
მოვდივარო, შევიტყვე და
რა იმედს დამიბარებ
იმ ზომამდე მიყვარხარ,
გულში ჭლექს გამიჩენ..
ღამე ძილს არ მაძლევს,
სიზმარი მაკრთობს,
ჩემი და შენი სიყვარული
სიკვდილამდე არ დაირღვევა.
ხელში რომ მიჭირავს – ვარდია,
გულში რომ მაქვს – დარდია,
ჩემი და შენი ერთად ყოფნა,
დედა, რა მადლია!

---

# ზუგდიდელ მღვდელს ადგილობრივმა სამართალდამცველმა ესროლა

როგორც **Livepress.ge** იუწყება, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა პოლიციის თანამშრომელმა გიორგი ფონიამ ეკლესიის სტიქაროსნის ავტომანქანის მიმართულებით სამჯერ გაისროლა. ფონიასთან ერთად შემთხვევის ადგილზე პოლიციელი ვინმე ქარჩავაც იმყოფებოდა.

ინციდენტი ზუგდიდში, წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის ეზოში, მიმდინარე წლის 11 მაისს, საღამოს ლოცვის დასრულების შემდეგ, დაახლოებით, 17:20 საათზე, მას შემდეგ მოხდა, როცა ეკლესიიდან გამოსულმა მოძღვარმა ანდრია ლიპარტიამ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირებს სიმშვიდისკენ მოუწოდა. სააგენტოს წყაროს ცნობით, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა პოლიციის თანამშრომელმა გიორგი ფონიამ სტიქაროსნის ავტომანქანის მიმართულებით სამჯერ გაისროლა. შემთხვევის დროს მანქანაში მამა ანდრიას გარდა, მისი მცირეწლოვანი შვილი და მძღოლი ისხდნენ, თუმცა, საბედნიეროდ, ინციდენტის დროს არავინ დაშავებულა.

ეკლესიის წინამძღვარი სროლის ფაქტს ადასტურებს, თუმცა დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს. ხუთშაბათს დილის ქადაგებაზე მოძღვარმა მრევლს მომხდარის შესახებ შეატყობინა და სიმშვიდისკენ მოუწოდა.

ამასთან, თვითმხილველების ინფორმაციით, ტაძრის ეზოში მომხდარ ინციდენტამდე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პოლიციელები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხვიჩა ჩუხუას იარაღის მუქარით სიმღერას აიძულებდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

ინციდენტის შესახებ კომენტარს არ აკეთებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თენგიზ გუნავა. ჟურნალისტების კითხვებს არც ზუგდიდის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი რუსლან შომახია პასუხობს.

**გაზეთ "ილორის" კომენტარი** – აღნიშნული ფაქტი, რა თქმა უნდა, დასაძრახია, მაგრამ რა უნდა გაგვიკვირდეს უბრალო გაუნათლებელი და შინაგან კულტურას მოკლებული (კულტურული ადამიანი ხომ ამგვარ უმსგავსოებას არასოდეს ჩაიდენს) პოლიციელის ანტიქრისტიანული საქციელისა, როცა **"ნაციონალთა"** ანტიქრისტე ხელისუფლებამ ქვეყნის სათავეში მოსვლისთავანე მანქანით შეანგრია გლდანის ეკლესიის კარი და მრევლი დააწიოკა. ფაშისტებიც კი არ სჩადიოდნენ ამგვარ უმსგავსობას!

განა ტყვიის სროლაზე უარესი არ არის ის აღვირახსნილი კამპანია, რომელსაც სატანის გულგვამიდან ჭინკად ნაშობი ვიღაც თუთბერიძე ეწევა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ? ეს რელიგიური დივერსანტი ახლა მეუფე დიმიტრის აცხადებს **"კრემლის აგენტად"**, რადგან მისნაირმა უჯიშოებმა კარგად იციან, რომ მეუფე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ქართველ საეკლესიო მამათა შორის.

ჩვენ კი ის გვიკვირს, რომ ალკოჰოლით თავგახურებულმა ვიღაც ფონიამ, ეკლესიის ეზოში, სტიქაროსნის მანქანას, რომელშიც მოძღვარი და მისი მცირეწლოვანი შვილი ისხდნენ, ტყვია ესროლა!

უარესიც მოხდება, თუ დროზე არ გადავუდექით წინ ამგვარ რელიგიურ დივერსანტებს!

ილორი
ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

კურჩატოვი, სლავსკი, ხარიტონი, შჩოლკინი და ზელდოვიჩი მოგვიანებით სამგზის სოციალისტური შრომის გმირები გახდებიან, ზავენიაგინი და ჟერნოვი კი – ორგზის გმირები. სოციალისტური შრომის გმირის წოდების ორგზის მინიჭების პრეცენდენტი პირველად 1949 წელს შეიქმნა. იოსებ სტალინის წინადადებით სოციალისტური შრომის გმირობა მეორეჯერ მიენიჭათ ვანნიკოვს, მუზრუკოვს და დუხოვს (ნიკოლოზ ლეონიდეს ძე დუხოვი, ისევე, როგორც ვანნიკოვი, შემდგომში მესამედაც გახდება სოციალისტური შრომის გმირი).

მაგრამ, როგორ აღინიშნა ლავრენტი ბერიას დამსახურებები?

1949 წლის 29 ოქტომბერს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება ბერიას დაჯილდოების თაობაზე.

**"ატომური ენერგიის მიღების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის და ატომური იარაღის წარმატებით გამოცდისათვის"**, ბერიამ დაიმსახურა **ა) მადლობა; ბ) საპატიო სიგელი; გ) ლენინის ორდენი; დ) პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია.**

სულ ეს იყო!

მაგრამ მისი დამსახურებათა ამგვარი ფორმულირება გახლავთ იმის ფაქტიური აღიარება, რომ საბჭოთა კავშირის ატომური ენერგიის წარმოების (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – საბჭოთა კავშირის ატომური დარგის შექმნის) ორგანიზატორი გახლდათ სწორედ იგი – ლავრენტი პავლეს ძე ბერია. მისი ზრუნვა, ძალისხმევა და დახარჯული ვეებერთელა ენერგია იმაშიც გამოიხატება, რომ, 1945 წლიდან (როცა შეიქმნა სსრკ ატომური კომისია), პირველი ბირთვული იარაღის გამოცდის დღემდე, გამოიცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, სსრკ სახკომსაბჭოს და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1000-ზე მეტი დადგენილება! ყოველ თვეში – დაახლოებით 20 სერიოზული დოკუმენტი. და ყოველი მათგანი გახლდათ არა უფერული და არაფრისმთქმელი საკანცელარიო ქაღალდი, არამედ იმ საკითხების სერიოზულად გათვლის ოპტიმალური შედეგი, რომელსაც ეხებოდნენ აღნიშნული კონკრეტული დადგენილებები. და ყოველ ამ დადგენილებასთან ბერიას გააჩნდა უშუალო კავშირი.

1000 მაორგანიზებელი დოკუმენტი, შექმნილი მხოლოდ უმაღლეს სამთავრობო დონეზე! გარდა ამისა, ყოველდღიურად მის ხელში გადიოდა უამრავი სხვა დოკუმენტიც, რომელიც მოიცავდა დიდ და მცირე პრობლემებს.

გეკითხებით, ამგვარი დატვირთვის მქონე ადამიანს დარჩებოდა თავისუფალი დრო იმისათვის, რომ მოსკოვის ბნელ მოსახვევებში მოსწავლე გოგონები მოეხელთებინა მათთან დროის სატარებლად?

ახლანდელმა **"დემოკრატიულმა"** რეფორმატორებმა საბოლოოდ დაასამარეს საქმე, რომელსაც სათავე დაუდეს **"ტოტალიტარული"** რეჟიმის შემოქმედებმა და პირადად ლავრენტი ბერიამ, რომელიც, აკადემიკოს ხარიტონის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო **"ზრდილი, თავაზიანი, ტაქტიანი და, უბრალოდ, კარგი ადამიანი"**. მაშინ კი, ორმოციანი წლების მიწურულს, ეს საქმე, პირველი წარმატების შემდეგ, თავბრუდამხვევი ტემპებით ვითარდებოდა.

ამიტომ, მასზე თხრობა უნდა გავაგრძელოთ.

## თავი 19
## სპეცკომიტეტის ყოველდღიურობა და მასთან დაკავშირებული ჭორები...

ყოველ დიდ საქმეს თან ლეგენდები ახლავს. როცა 1981 წლის ივლისის ადრიან დილით მე ჩავედი ქალაქ სემიპალატინსკში და მდინარე ირტიშის სამზერი მოედნის ბალუსტრადაზე დაყრდნობილმა გადავხედე პოლიგონის შტაბის შენობას, მე მითხრეს, რომ ლავრენტი ბერია სწორედ აქედან ადევნებდა თვალს საჰაერო ბირთვულ აფეთქებას.

ეს უწყინარი ლეგენდაა.

მაგრამ ის ლეგენდა, რომ თითქოს პატიმრობაში მყოფი საბჭოთა მეატომეები მუშაობდნენ სსრკ შინსახკომის **"შავბნელი"** მე-9 სამმართველოს თანამშრომლების მეთვალყურეობის ქვეშ – საკმაოდ ბოროტი კარიკატურა გახლავთ. 1946 წლის დასაწყისში სსრკ შინსახკომის სტრუქტურაში (სახალხო კომისარი ს.ნ. კრუგლოვი) მართლაც შეიქმნა მე-9 სამმართველო (სპეციალურ ინსტიტუტთა სამმართველო), რომელსაც სათავეში ჩაუდგა სახალხო კომისრის მოადგილე ა.პ. ზავენიაგინი (სსრკ შინსახკომის 1946 წლის 26 იანვრის №0081 ბრძანებით).

1946 წლის 15 მარტს კი, როგორც ყველა სხვა სახალხო კომისარიატი, შინსახკომიც გადაკეთდა სამინისტროდ. და ამის შემდეგ მე-9 სამმართველოს შემადგენლობაში დარჩნენ:

– სოხუმის ინსტიტუტი **"ა"**, რომელიც სანატორიუმ **"სინოპის"** შენობაში იყო განთავსებული და ხელმძღვანელობდა ელექტრონული მიკროსკოპის შემქმნელი გერმანელი პროფესორი არდენე;

– სოხუმთან ახლოს მდებარე ინსტიტუტი **"გ"**, რომელიც განთავსებული იყო სანატორიულ **"აგუძერას"** შენობაში და მას ხელმძღვანელობდა ნობელის პრემიის ლაურეატი, სახელგანთქმული გერმანელი პროფესორი ჰერცი;

– ლაბორატორია **"ბ"** (ობიექტი **"ტბები"**), რომელიც მდებარეობდა ჩელიაბინსკის ოლქში, სანატორიუმ **"სუნგულის"** ბაზაზე, სადაც ტარდებოდა იონიზირებული დასხივებისაგან დაცვის საშუალებათა შესწავლა. აქ რადიოლოგიური განყოფილების უფროსი გახლდათ **"ზუბრი"** (ყოველნირ ქარ-ცეცხლში გამოვლილი) ნ.ვ. ტიმოფეევ-რესოვსკი, რომელიც აქ იმ გერმანელ კოლეგა-მეცნიერებთან ერთად საქმიანობდა, რომელთან ერთადაც მესამე რეიხის დავალებით მუშაობდა ზეადამიანების რასის შექმნის საკითხებზე,– ამიტომაც მიიღო საბჭოთა კავშირში სანატორიუმ **"სუნგულის" "საგზური"**;

– ლაბორატორია **"ვ"**, კალუგის ოლქში, სადგურ ობნინსკოეს სიახლოვეს, რომელიც ესპანელი ბავშვების ყოფილ ბანაკში იყო განთავსებული და სათავე დაუდო სსრკ ფიზიკო-ენერგეტიკულ ინსტიტუტს. 1947-1949 წლებში ლაბორატორია **"ვ"**-ს ამოქმედების პროცესებს ხელმძღვანელობდა ისეთი **"ბნელი და გაუნათლებელი"** ადამიანი, როგორიც იყო ***მე-9 სამმართველოდან წარმოგზავნილი***, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა.ი. ლეიპუნსკი.

როგორც ვხედავთ, საპატიმრო პირობებში (მაგრამ, სანატორიულ რეჟიმში), მუშაობდნენ მხოლოდ გერმანელები და ჩვენი სპეციალისტების ნაწილი, რომლებიც სავსებით ანგარიშგასაწევი შეცოდებებისათვის იყვნენ გასამართლებულები. და, ბერიას სტილის საილუსტრაციოდ, ასევე ეპოქის სულისკვეთების სრულად გადმოსაცემად, სასურველი იქნება მკითხველს გავაცნოთ მონაკვეთი ბერიას მიერ 1946 წლის 16 აგვისტოს გამოცემული მითითებიდან:

**"ამხანაგებმა პერვუხინმა და ზავენიაგინმა ადგილზე შეამოწმონ "ა" და "გ" ინსტიტუტებში არსებული მდგომარეობა (თან იახლონ ამხ. ლეიპუნსკი), მიიღონ აუცილებელი ზომები და 2-კვირიან ვადაში წარმომიდგინონ გერმანელ სპეციალისტთა მაქსიმალურად გამოყენების ღონისძიებათა გეგმა.**

**ამასთან, მკაცრი კონტროლი დააწესონ გერმანელების მიერ დავალებათა შესრულებაზე (როგორც ხარისხზე, ასევე – ვადებზე).**

**ის პირები, რომლებიც პირნათლად შეასრულებენ დავალებებს წარდგენილ უნდა იქნენ პრემიებზე, ხოლო რომლებიც მუშაობენ ხარვეზებით, გამოყვანილ უნდა იქნენ ინსტიტუტებიდან და დაბრუნდნენ ბანაკებში.**

**ლ.ბერია"**

მართალია, მითითებაში მოხსენიებულია სიტყვა **"ბანაკი"** (სადაც ინსტიტუტებიდან არცერთი გერმანელი არ იქნა გადაგზავნილი), მაგრამ აქაც არსად ჩანს პატიმრობის მუქარა და რეპრესია.

1948 წლის მარტში კრუგლოვმა და ზავენიაგინმა მიმართეს თხოვნით ბერიას, რომ ეს **"სანატორიუმები"** გამოეყვანათ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობიდან და გადაეცათ პირველი მთავარი სამმართველოსათვის, რადგან ინსტიტუტებთან დაკავშირებული მთელი საკითხები ამ უწყებაში წყდებოდა. ბერია დაუკავშირდა პერვუხინს, იგი მოელაპარაკა პირველი მთავარი სამმართველოს უფროსს ვანნიკოვს და 1948 წლის 27 მარტს მოახსენა ბერიას, რომ **"ვანნიკოვი კატეგორიულად წინააღმდეგია ინსტიტუტების მისი უწყების დაქვემდებარებისა"**.

მხოლოდ 1948 წლის 15 აგვისტოს იხილა მზის შუქი სტალინის მიერ ხელმოწერილმა სსრკ მინისტრთა საბჭოს **№30-91-1248სს/ოპ** დადგენილებამ, მე-9 სამმართველოს ყველა ობიექტის პირველი მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში გადაცემის თაობაზე. ამ დადგენილების მე-6 პუნქტი ავალებდა შს მინისტრ კრუგლოვს:

**"...ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედ რეზერვში ჩაირიცხოს მე-9 სამმართველოს გენერლები და ოფიცრები და მის გამგებლობაში არსებული ინსტიტუტები, ლაბორატორიები და ობიექტები;**

**ბ) მოხდეს მათი უზრუნველყოფა საჭირო ტანსაცმლით;**

**გ) მათ შეუნარჩუნდეთ საცხოვრებელი ბინები".**

ამ პუნქტსაც გააჩნდა თავისი წინაისტორია... 1947 წლის 28 ივლისს პირველი მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ პავლე იაკობის ძე მეშჩიკმა წერილით მიმართა ბერიას. კადრის ჩეკისტი (დაიბადა 1910 წელს, 1932 წელს დაამთავრა შინსახკომის ცენტრალური სკოლა), პირველ მთავარ სამმართველოში კურირებდა კადრებსა და რეჟიმს. მასზეც არანაკლებ გულისამრევი პასქვილებია დაბეჭდილი მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლების მიერ, მაგალითად, ამბობდნენ, რომ იგი სასტიკი, მაგრამ სამართლიანი ადამიანი იყო, მაგრამ ობიექტური შეფასებით ირკვევა, რომ იგი კეთილი პიროვნება გახლდათ. 1953 წელს იგი ბერიასთან ერთად დააპატიმრეს და იმავე წლის მიწურულს დახვრიტეს.

მაშინ მეშჩიკი წერდა:

**"ამხანაგ ლავრენტი ბერიას.**

**სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პირველ მთავარ სამმართველოში მუშაობს თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების ოფიცერთა შემადგენლობის დიდი ნაწილი.**

**(...)**

**სსრკ სახკომსაბჭოს 1945 წლის 5 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად პირველ მთავარ სამმართველოში მოვლინებულ გენერლებსა და ოფიცერთა შემადგენლობას შეუნარჩუნდათ მათთვის განკუთვნილი ყველა შეღავათები და უფლებები და პირველ მთავარ სამმართველოში მუშაობის მანძილზე ირიცხებიან მოქმედ კადრებში.**

**(...)**

**მაგრამ სსრკ სახკომსაბჭოს პირველი მთავარი სამმართველოს ოფიცერთა შემადგენლობა ვერ სარგებლობს მათზე მინიჭებული შეღავათებით, არ იღებენ სახელფასო დანამატებს სამხედრო წოდებებზე, დაგვიანებით იღებენ მორიგ სამხედრო წოდებებს, მათ არ წარადგენენ სახელმწიფო ჯილდოებზე ნამსახურები წლებისათვის და სრულიად არ არიან უზრუნველყოფილი სანატორიული მომსახურეობებით.**

**(...)**

**გთხოვთ თქვენ, ლავრენტი პავლეს ძევ, დაეხმაროთ სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული პირველი მთავარი სამმართველოს ოფიცრებს, რათა მათ მიიღონ სსრკ სახკომსაბჭოს 1945 წლის 5 ოქტომბრის №2531-678სს განკარგულებით გათვალისწინებული შეღავათები.**

**პ. მეშჩიკოვი".**

პრობლემა უაღრესად სერიოზული გახლდათ – საკუთარი ბედის გაურკვევლობის გამო ბევრნი ცდილობდნენ რომ პირველი მთავარი სამმართველოს **"საპატიო"** უწყებიდან თავი დაეხსნათ და უწინდელ სამსახურებში დაბრუნებულიყვნენ. და ბერია თავდაცვის უწყებიდან შემოსულ წერილს უგზავნის ბულგანინს შემდეგი ვიზით: **"გთხოვთ სასწრაფოდ განიხილოთ და გადაწყვიტოთ პირველი მთავარი სამმართველოს ოფიცრების კანონიერ უფლებებში აღდგენის საკითხი. ლ. ბერია, 1947 წლის 12 აგვისტო".**

ლავრენტი ბერიასათვის ნიშანდობლივი გახლდათ ადამიანების ბედზე ამგვარი ზრუნვა. იგი ხშირად კოლეგებს აძლევდა მისთვის საშინელედ გამოყოფილ ქსოვილს. ამ მხრივ, იგი, კატეგორიულად განსხვავდებოდა მარშალ ჟუკოვისაგან, რომელსაც კილომეტრობით ჰქონდა სახლში შენახული საფორმე ქსოვილის ნაჭრები.

აი, მაგალითად, 1947 წლის ივლისის დასაწყისში ბერია პირადად ჩავიდა №817 კომბინატის მშენებლობაზე. იგი იქ პირველად ჩავიდა. ის, რომ იგი მესამედაც ჩავიდა ამ ობიექტზე და ჩაატარა სპეციალური კომიტეტის საგანგებო სხდომა **"სოციალური"** საკითხებზე, ჩვენ უკვე შევიტყვეთ. მაგრამ იგი პირველი ჩასვლისთანავე რომ შეწუხებული იყო მშრომელთა სოციალური მდგომარეობით, ეს დოკუმენტალურად მტკიცდება. და მაშინვე მისცა განკარგულება ვანნიკოვს მშრომელთა სოციალური და კომუნალური პირობების გაუმჯობესების თაობაზე. და უკვე 20 აგვისტოს ვანნიკოვი მას წერილობით მოახსენებდა, რომ:

– 1947 წელს დადგენილია საბინაო მშენებლობა, რის შედეგადაც ექსპლოატაციაში შევა 15.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი, მაგრამ **"დამატებით გათვალისწინებულია კიდევ 5.500 კვადრატული მეტრი ხის სტანდარტული ერთოთახიანი და ოროთახიანი ბინების აშენება".**

– ასევე გათვალისწინებულია გეგმის ზევით 4.500 კვადრატული მეტრი ქვისა და ხის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა მშენებელთა დროებით საცხოვრებლად და შემდეგ გადაეცემოდა კომბინატს.

კომბინატის დასახლებაში შენდება და 1947 წელს ექსპლოატაციაში გადაეცემა ათწლიანი საშუალო სკოლის შენობა, აბანო, სამრეცხაო, სასადილო-რესტორანი, საბავშვო ბაღი, ბავშვთა ბაგა, ცენტრალური საქვაბე, ხისაგან შესრულებული დროებითი კინოთეატრის შენობა, 1946 წელს კი გაშვებულ იქნა პურის ქარხანა.

ბოლოს ვანნიკოვი წინადადებას იძლეოდა:

**"№817 კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის დონის შემდგომ ასამაღლებლად აუცილებელია კომერციული მაღაზიების, კაფე-რესტორნების და საჩაიეების ქსელის გახსნა..."**

ამასთან, ეს ღონისძიებები ეხებოდა არა მხოლოდ ჯერ კიდევ მშენებარე **"პლუტონიუმის"** ობიექტებს, არამედ თვით მშენებლებსაც.

*(გაგრძელება იქნება)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეპარატიზმის თეორეტიკოსი და უკანასკნელი მოჰიკანი

*გთავაზობთ ნაწყვეტს პროფესორ ბატონ* **გიორგი ციციშვილისა** *და ცნობილი იურისტის ბატონ* **ვახტანგ გვარამიას** *წიგნიდან* **"მეგრული საკითხი"**.

რაც შეეხება ნამდვილი ავტონომისტ-სეპარატისტების იმ არგუმენტებს, რომლებსაც ისინი სამეგრელოს განსხვავებულობის, მეგრელების ცალკე ეროვნებად წარმოჩენისა და სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნისათვის აყენებდნენ, მათი რაობის სიღრმისეული გაგებისათვის სასურველად და საჭიროდ გვესახება საგნობრივად ჩავწვდეთ გრ. ახალაიას ნააზრევს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ვიმსჯელოთ არა გამოქვეყნებულ-გაგონილ-მოგონილის, არამედ მის მიერ შექმნილი ავტოგრაფების ანუ ორიგინალის მაგალითზე.

სამეგრელოს ავტონომიის მოწინააღმდეგე და ოლქის მომხრე ალ. გეგეჭკორისადმი გრ. ახალაიას პასუხიდან ჩანს, რომ კომუნისტი სეპარატისტი მოითხოვს **"მეგრელი მშრომელების თვითგამორკვევას"**, მეგრული ენის ქართულ ენასთან ნათესაობის მტკიცებას უწოდებს **"აზრის მოწამვლას"**. **"განუყოფელი საქართველო"**, მისი თქმით, **"სისხლის ოკეანისათვის არის მოგონილი"**. ქართულ ენას გრ. ახალაია მეგრელი გლეხებისათვის თვლის იგივე კლასობრივი ფუნქციის შემსრულებლად, როგორც რუსეთში ფრანგული და საეკლესიო სლავური, ევროპაში მკვდარი ლათინური ენა ასრულებდა, რომელთა მიზანი, გრ. ახალაიას აზრით, იყო მშრომელებისაგან გამიჯვნა, მათი უვიცად შენარჩუნება. იგი სიტყვა-სიტყვით იმეორებს 1867 წლის ალექსანდრე მეორის განკარგულების ბუკონია-ბესელიასეულ ახსნას. როგორც ჩანს, სამეგრელოს ისტორიის საკითხში მათ საერთო აზრი აქვთ, ან იქნებ, საერთო კონსულტანტი ჰყავთ. გრ. ახალაია 1804 წელს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას აცხადებს ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის დადებულ **"ტრაქტატად"**. იგი ალ. გეგეჭკორს უწოდებს **"ისტორიის ჟონგლიორს"**, **"ფილისტერული შედარების"** მომყვანს და აბსოლუტურად არც ერთ მის მიერ ჩამოყალიბებულ საკითხში არ ეთანხმება.

გრ. ახალაიას საეჭვოდ მიაჩნია ქართული კულტურის ღირებულებითი მნიშვნელობა. ქართული ინტელიგენციის კორიფეებზე ამბობს: ჩვენ ამ **"ფეოდალურ-ფილისტერულ"** ინტელიგენციას **"წყვილი წუღა"** გვირჩევნიაო. გრ. ახალაიას ვერ წარმოუდგენია ლენინიზმზე უფრო ახალი იდეალები და ღირებულებები. **"ლენინიზმის საფუძველზე ჩვენ ვამბობთ, ვართ ეროვნება,** – წერს გრ. ახალაია, – **ეროვნული ენის! ერთობის, ეკონომიკური ინტერესებით, წესჩვეულებებით, ტანსაცმლით და სხვა – იგი** (ალ. გეგეჭკორი კი – ავტ.) **გვაიძულებს ვიყოთ ქართველებიო"**... **"მეგრული საკითხის"** სწორი გაშუქების ნაცვლად **"ჩხოუშიელი ავტონომისტების"** გალანძღვას გამოეხმაურნენ არა მარტო ავტონომისტები და აშკარად სეპარატისტული შინაარსის საჩივრების ინიციატორები და ხელმომწერები (გრ. ახალაია, ა. კვარაცხელია, ტ. შენგელია, ტ. ზარქუა, ალ. ქობალია, ბ. ხუფენია), არამედ ზოგი სხვა შეურაცხყოფილები, რომლებმაც სამეგრელოს ადმინისტრაციული მოწყობის ერთ-ერთ თანაავტორს, ალ. გეგეჭკორს გაუპროტესტეს გაზეთ **"ზარია ვოსტოკაში"** გამოქვეყნებული წერილი, მათი აზრით, ეს იყო **"კომუნისტისათვის უღირსი, სამეგრელოს მშრომელი მასებისა და მისი ავტონომიისათვის მტრული"** გამოსვლა. ამ კოლექტიურ საპროტესტო წერილს ხელს აწერდნენ პიროვნებები, რომლებსაც სხვა დროს არ გამოუხატავთ თავიანთი უკმაყოფილება საქართველოს ცენტრის წარმომადგენელთა მიმართ. ხელმომწერ 50 პიროვნებას შორის იკითხება: კალისტრატე ქარჩავა, იპოლიტე ფაჟავა, გიორგი დღირია (?-ავტ.), ლიდა ჯიქია, ალექსი ჯაბუა, გერმანე გეგელია, კონსტანტინე ესაკია, ვიქტორ შენგელია, ამბერკი მალაშხია, ბართლომე ბეჭვაია, მიხეილ გვადია, მარენ თორდია, ბესარიონ გრიგოლია, რაჟდენ ჯიქია, იპოლიტე ნარმანია, ალექსანდრე ქარდავა, კ. ძიმისტარაშვილი, რ. ძიმისტარაშვილი, ა. ძიმისტარაშვილი, ვ. ძიმისტარაშვილი, კონდრატე ჯგუშია, კონსტანტინე გეგელია, ნესტორ კილასონია, ვასილი კვარაცხელია, ანდრო ჯიქია, ა. თორდია, ვ. ჩიქავა, ნ. ხვიტია, ი. თურქია, დოროთე იოსავა (?-ავტ.), ს. მარღანია, ვ. ჩემინავა, სოლომონ ჯგერენია, ტერენტი ნაროუშვილი, ივანე კედია, იპოლიტე მელუა, მოსე თვალთვაძე, ვლადიმერ გრიგოლია, მალხაზ ხუბუტია, ფილიპე ხუფენია (იხ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 607, აღ.2, ს. 14, ფურც. 32-33). ეს კარგად გვიჩვენებს, რომ პრობლემები არსებობდა და ამიტომ მათი შეურაცხმყოფელი ტონით მიფუჩეჩება საწინააღმდეგო აზრს ასაზრდოებდა.

მორიგი სეპარატისტული ნააზრევია გრ. ახალაიას, ვალოდია თორდიას, ალეკო კვარაცხელიას ხელმოწერილი 29 დეკემბრის წერილი მოსკოველი ბელადების მიმართ. აქ მწუხარებაა გამოხატული იმის გამო, რომ უმაღლესი ხელისუფლების მიერ მიღებული მათი წერილები საქართველოს ხელისუფლებას გადაეგზავნა, დამოკიდებულება კი ისეთივეა, როგორიც მენშევიკური ხელისუფლებისა: ცდილობენ მიჩქმალონ თვითმყოფადი სახე მეგრელი ხალხისა და აშინებენ სისხლიანი შურისძიებით. თვითგამორკვევის მოთხოვნებს განიხილავენო, როგორც კონტრრევოლუციურს. ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები მონოპოლიზებული აქვთ, არსად აჭაჭანებენ მეგრელების დასაცავ ხმას. ამიტომ, წერილი მოითხოვს, რომ საბჭოების მორიგ ყრილობაზე დაისვას **"მეგრული საკითხი"**, წინააღმდეგობის შემთხვევაში სთავაზობს ავტორიტეტული წარმომადგენლობის მოწვევას და არა მარტო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმედად მიტოვებას.

ამ წერილიდან ჩანს, რომ მისი ავტორის თუ ავტორებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რომ **"მეგრულ საკითხში"** საქართველოს ხელმძღვანელობისა და მენშევიკების პოზიცია ერთგვაროვანია, ორივე მიმართავს მხოლოდ ძალადობას, ადმინისტრირებას და მუქარას. მათ დაუნახავთ, რომ ახალ ხელისუფლებას განხორციელებული აქვს პრესისა და, მაშასადამე, სიტყვის მონოპოლია, მაგრამ ის ვერ გაუგიათ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა აღნიშნული მახასიათებლებით ორიგინალური როდია, და რომ **"მეგრულ საკითხში"** მისი პოზიციაც მოსკოვთან, სტალინთან არის შეთანხმებული და, რომ **"მეგრულ საკითხზე"** არსებობს საქართველოს კომპარტიის 3 სექტემბრის დადგენილება, რომელიც გმობს არა მარტო სამეგრელოს ავტონომიურ მოწყობას და სამეგრელოს ავტონომიას **"რეაქციულ"** მისწრაფებად აცხადებს. ამასთანავე, ავტონომიის მსგავსად მიიჩნევს, აგრეთვე სამეგრელოს კულტურულ-ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნასაც კი და შემდეგში აფერხებს მეგრულ ენაზე იმ რიგი ღონისძიებების გატარებასაც, რომლებსაც დადგენილება საჭიროდ და ცხოვრებაში გასატარებლად სახავს (გაზეთი, გლეხური ბროშურები, საქმის წარმოება, სასამართლო წარმოება).

ზუგდიდელი კომუნისტი **"სეპარატისტების"** შეხედულების შესახებ განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაციებს შეიცავს გრ. ახალაიას ვრცელი წერილი **"სსრკ ცაკ-ს მეგრელი ხალხის მდგომარეობის საკითხისათვის"**. ეს წერილი იმ მხრივადაც არის საყურადღებო, რომ იქ მოხმობილი ავტორისეული რიგი ფაქტი და არგუმენტ ზოგი თანამედროვის მცდარ მსჯელობაშიც აისახება ხოლმე. ძნელია დადგენა, ეს **"ანარეკლი"** თუ **"ასახული"**, სახელდობრ ამ წერილიდან მომდინარეობს, თუ ყველა მათ საერთო საფუძველი გააჩნიათ. ერთი რამ ცხადია, რომ ეს არის **"მეგრული საკითხის"** და ჩვენი ისტორიული წარსულის გარკვეული ხედვისა და ლოგიკის საფუძველზე წარმოჩენა, რომლის დროსაც, ზოგი რამ აშკარად გაუგებრობას და შეცდომებს ეყრდნობა, ზოგი კი აშკარად სწორი და მისაღებია.

გრ. ახალაიას ეს წერილი იწყება სიტყვებით: **"ოდესღაც ებრაელებივით, მეგრელი ხალხი განიცდის დევნას, შევიწროებას, არა აქვს უფლება არა მარტო წეროს, არამედ ილაპარაკოს თავის ვერბალურ უმდიდრეს, ბრწყინვალე მშობლიურ ენაზე"**. ავტორი აქ ებრაელების მაგალითს საკითხის სიმწვავით დაყენების მიზნით, ყალბად იმარჯვებს და ყურადღებას იმ უსამართლობაზე ამახვილებს, რომ დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება არ წარმოებს, დარღვეულია პედაგოგიური პრინციპი: ნაცნობიდან უცნობისაკენ. **"ბავშვებს ასწავლიან კითხვას და წერას მისთვის უსარგებლო ქართულით... თითქმის გადაგდებულია საქმიანი რუსული ენა, რომელიც ამოძრავებს ცხოვრების ნერვს..." სასამართლოში მეგრელი გლეხი მხოლოდ თარჯიმანისაგან გებულობს: "გამართლდი, დაისაჯე, მოიგე, წააგე". ასე იყო მეფის რეჟიმის დროს და ასეა ახლა"**, – წერს იგი, – **გრ. ახალაია ეხება "მაფალუს": 1918 წელს სამეგრელოს სახალხო ინტელიგენციამ იგრძნო, რომ მენშევიკები ღალატობენ რუსეთის პროლეტარიატს... შეჰქმნეს კულტურული საზოგადოება "მაფალუ", იგივე "ზარია ვოსტოკა". მიზანი იყო პარტიებს არ მოეწყვიტა გლეხობა პროლეტარული ცენტრისაგან"...** აქ რეაგირებას მოითხოვს **"მაფალუს"** გრიგოლ ახალაიასებური ხედვა. სათანადო მონოგრაფიულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, **"მაფალუს"** მართლაც პარტიულ-პოლიტიკური მიზანდასახულობისა გამო უსახავდნენ სამეგრელოს კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენას, მაგრამ ეს ხდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ქართველი ერის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში რუსეთის პროლეტარიატის, ან სხვა ანტიეროვნული ინტერესებით.

**გიორგი ციციშვილი,**
**ვახტანგ გვარამია**

# როგორ აღნიშნა მსოფლიო ჩემპიონმა პრეზიდენტის სიკვდილი

ალბათ გეხსომებათ მსოფლიო ჩემპიონი, უძლიერესი მოკრივე გიორგი კანდელაკი, რომელმაც, დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ, მამულეთში, გორში, სწორედ შიდა ქართლის გუბერნიის წინ, აგერ უკვე 2 წელი იქნება, რაც რესტორანი, უფრო სწორად, სპორტული კაფე გახსნა.

საკუთარ **„რესტორანში"** ქეიფობდა მსოფლიო ჩემპიონი იმ ავადსახსენებელ დღეს, იმიტირებული ქრონიკა რომ გავიდა სატელევიზიო მაუწყებლობა **„იმედის"** ეთერში, სადაც მორიგი **"რუსული აგრესიისა"** და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაღუპვის შესახებ ამცნეს მაყურებელს.

მოკლედ, ეს ამბავი ისე გახარებია გიორგი კანდელაკს, მაშინვე წამომხტარა სუფრიდან და პირდაპირ მიკროფონში განუცხადებია – ვენაცვალე მაგის გამკეთებლის მარჯვენასო, და ყველა მაგიდას ახალი ამბის აღსანიშნავად, თავისი ანგარიშით, შამპანურები დაუგზავნა. მოკლედ, ადგილობრივთა თქმით, სწორედ ამ ამბის გამო დაულუქეს სპორტული კაფე სახელგანთქმულ მოკრივეს, რომელიც რამდენიმე დღეში ისევ გაიხსნა და ახლა იქ როცა უნდა შეხვიდე, პოლიციისა თუ პატრულის ჰიმნის ფონზე მოგიწევს მოლხენა. ინფორმაციის შესამოწმებლად ჟურნალისტები თავად გიორგი კანდელაკს დაუკავშირდნენ:

**– გიორგი, მართალია, რომ ტელეარხ "იმედის" ეთერში იმიტირებული ქრონიკის გასვლისას თქვენ იმდენად გაგიხარდათ პრეზიდენტის „ტრაგიკულად დაღუპვა", რომ თქვენსავე კაფეში ქეიფით აღნიშნეთ?**

– არ მახსოვს, იმ დღეს სად ვიქეიფე. ვინ თქვა?

**– ამას გორელები ამბობენ...**

– ტყუილია.

**– აბა რატომ დალუქეს თქვენი კაფე მეორე დღეს?**

– მე ამაზე კომენტარს არ ვაკეთებ...



*რედაქციაში წერილი მოვიდა*

# პიროვნება, რომლისთვისაც სიტყვა და საქმე განუყოფელი მცნებაა

ზუგდიდი ოდითგანვე გამოირჩეოდა თავისი იერსახით, პეწით, რომელიც ყოველთვის ტოვებდა აქ ჩამოსულთათვის თავისებურ მიმზიდველობას, განუმეორებელ შთაბეჭდილებას. საუბედუროდ, ცნობილი (სამოქალაქო ომი, სამეგრელოს დარბევა) მოვლენების შემდეგ ის ფაქტიურად გაპარტახდა და სიცოცხლით სავსე ქალაქი ჩაკვდა. თუმცა, საბედნიეროდ, ეს უკუნეთი დიდხანს არ გაგრძელებულა. ზუგდიდს მოევლინა ასაკით ახალგაზრდა, მაგრამ პასუხისმგებლობით დამძიმებული, თავის ოდაბადეზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება. შედეგად კი მივიღეთ უმოკლეს დროში, მისი თაოსნობითა და ინიციატივით განხორციელებული არაერთი მშვენიერი პროექტის პრაქტიკული რეალიზაცია. ამის შედეგად იცვალა ფერი ქალაქმა და მთლიანად ზუგდიდის რაიონმა. კეთილმოეწყო ქალაქის ქუჩები, თითქმის ყველა ქუჩაზე დამონტაჟდა ღამის განათების ახალი ტიპის ნათურები, ჩატარდა კანალიზაციისა და მათი ქსელის გაფართოების სამუშაოები (რაც ამჟამადაც გრძელდება), დაიწყო და ინტენსიურად გრძელდება მოსახლეობის გაზიფიკაცია, წესრიგში იქნა მოყვანილი ცალკეულ სოფლებთან ქალაქის დამაკავშირებელი გზები. ამჟამად მუშავდება სანიაღვრე წყლების არხების მშენებლობის პროექტი. მთელ რიგ ქუჩებზე ფეხით მოსიარულეთათვის კეთილმოეწყო ტროტუარი და სავალი ნაწილები.

აგრეთვე მისასალმებელია ავტოტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონის **"საგზაო უსაფრთხოების შესახებ"** და **"საგზაო ნიშნებისა და სიგნალების შესახებ"** საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობით ძალიან გადატვირთულ ქუჩებზე ყველა საჭირო საგზაო ნიშნების, ხოლო გზაჯვარედინებზე კი თანამედროვე ტიპის ციფრული მაჩვენებლიანი შუქნიშნების დაყენება.

მთელ რიგ კომუნალურ საცხოვრებელ სახლებს ჩაუტარდათ სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სანამ არ ჩამოვთვალე განხორციელებულ სამუშაოთა ნუსხა, შეგნებულად თავი შევიკავე მისი განმახორციელებლის ვინაობის დაკონკრეტებისაგან. ახლა კი ვასახელებ მას – ეს გახლავთ ზუგდიდის მუნიციპალური გამგეობის თავკაცი, ბატონი **ალექსანდრე ქობალია.** პიროვნება, რომელიც მუდამ მოძრაობაში და ძიებაშია. სად არ ნახავთ მას, ქალაქად თუ სოფლად, როგორც სამუშაოთა მწარმოებელი, მუდამ თავზე ადგას თითოეულ მიმდინარე სამუშაო პროცესს, რათა ისინი განხორციელდეს ხარისხიანად და პროექტით გათვალისწინებულ ვადებში. ის არის სიტყვის კაცი. ცხოვრებაში მისი დევიზია **"სიტყვა და საქმე"**, რომელსაც ის განუხრელად იცავს და, რაც მთავარია, უხმაუროდ აკეთებს საქმეს.

ყველაფერი ამისათვის ზუგდიდელები **ბატონ ალექსანდრეს** ემადლიერებიან, პატივს სცემენ და მისი დიდი იმედი აქვთ მომავალშიც.

ჩემს მიერ ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თქვენი გაზეთის მეშვეობით, შემიძლია თამამად განვაცხადო: საზოგადოება **"ზუგდიდელი"** ღრმადაა დარწმუნებული, რომ ბატონი ალექსანდრე მუნიციპალურ გამგეობასთან ერთად, მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით, კვლავაც არ დაიშურებს ძალასა და ენერგიას ზუგდიდის რეგიონის ეკონომიკის გაჯანსაღების, პირველ რიგში კი აგროსექტორის აღორძინებისა და სოციალური ფონის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

**ოთარ ფაცაცია,**
**საზოგ. "ზუგდიდელის"**
**თავმჯდომარე**

# მეგრული (ადამურ-იაფეტურ-იბერიული) ენა — გლოტოგონიური ფენომენი

მოძალადისათვის შარის მოსადებად საკმარისია სუსტს გამოუნახოს მცირეოდენი მიზეზი. გონიერება, სწორედ, ისაა შარის მოსადები მიზეზი არ დაუტოვოს მოძალადეს, მაგრამ ასეთი მიზეზი, დავუტოვეთ კი არა, თვით იბერთა მემკვიდრეებმა შევუქმენით აგრესიულ ძალებს. ჯერ იყო და ქართებს მიეცათ სეპარატისტულად განწყობის მიზეზი, რაც, ძირითადად, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ იბერებმა დიალექტური მეტყველებაჩასახულ ქართებს ვერ შეუქმნეს იბერიული ენის მშობლიურ ენად მიღებისა და სწავლის საფუძველი. ბუნებრივია, ამას ეფექტურად გამოიყენებდა აგრესიულად განწყობილი გარე ძალა და იყენებდა კიდეც.

სწორედ ეს იყო გარე ძალების წაქეზებით დაჩაგრული (?) ქართების იბერიიდან გამოყოფისა და არმაზის სეპარატისტული სახელმწიფოს შექმნის მიზეზი. სწორედ ამ მიზეზებმა მოუმზადა ნიადაგი 523 წლისათვის იბერიის სახელმწიფოს დაცემას და, საერთოდ, სახელმწიფოებრიობის გაუქმებას.

კაცობრიობის დასაბამიდან არსებული ადამურ-იაფეტურ-იბერიული მოდგმა ისევ აღდგა ფენიქსისებრ და იბერიის დაცემის შემდეგ პირველად შეიქმნა სახელმწიფო ეგრის – ლაზიკის სამეფოს სახელწოდებით, შემდეგ კი ეგრის-აფხაზეთის სახელწოდებით და, უკვე, 899 წლისათვის ქართებმაც მიიღეს პირველად სამეფოს სტატუსი (პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი).

978 წელს ქართლის უფლისწულის ბაგრატ III ბაგრატიონის ეგრის-აფხაზეთის მეფედ კურთხევამ საფუძველი ჩაუყარა სამეფოებად დაშლილი იბერიის ისევ გაერთიანებას. მაგრამ ეს არც ისე ადვილი გამოდგა. ჯერ ბაგრატ III ბაბუამ-ბაგრატ II რეგვენმა, შემდეგ მამამისმა – გურგენ II, ჩვენი უფლებები შეიკვეცებაო და თავიანთ სიცოცხლეში აღარ ინებეს გაერთიანება ეგრის-აფხაზეთთან. მხოლოდ 1008 წელს ,გურგენ II სიკვდილის შემდეგ, შემოიერთა ბაგრატ III მემკვიდრეობით კუთვნილი მამული-ქართლი, მაგრამ ამისთვის, მიუხედავად მამისგან დატოვებული ანდერძისა, სისხლისღვრა დასჭირდა (წინ აღუდგნენ ნათესავები, ვინმე სუმბატი და გურგენი). დავით აღმაშენებელმა ტაო-კლარჯეთიც შემოიერთა და საბოლოოდ დაამთავრა დაშლილი იბერიის გაერთიანება.

ენობრივ-ეთნიკურ-ტომობრივი ნიშნების მიხედვით დაშლილი და შემდეგ გაერთიანებული იბერიის სამართლებრივ და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის ბრძოლის პროცესში, ალბათ, დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო ენის საკითხი.

იბერიულ ენას, როგორც კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე, შეუდარებელი სიმდიდრისა და გამომსახველობითი უნარის მქონე ენას, ბუნებრივია, დიდი უპირატესობა ექნებოდა, მანამდე სამწერლო ლიტერატურული ტრადიციების არმქონე **ქართლურ** ენასთან შედარებით, მაგრამ, ასევე ბუნებრივია, სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად აუცილებელი იყო ქართლელთა და ქართლური ენის ისევ დაჩაგვრის საშიშროების მოხსნა. ცხადია, იბერიული ენის სახელმწიფო ენად ისევ დაკანონების შემთხვევაში, ქართლელთა თანასწორუფლებიანობა ვერ აღდგებოდა. ამიტომ, რამდენადაც ქართლური ენა წარმოადგენდა იბერიული ენის დიალექტს, ქართლური ეროვნული წარმოშობის სიტყვების ძირი და ქართლური ენის გრამატიკა, თითქმის, იბერიული იყო, ამასთან, მეფე ქართლის სამეფო დინასტიიდან იყო, უკეთესი ვარიანტი იბერიული ენის ქართლური შტოს სახელმწიფო ენად დაკანონებისა და განვითარებისა, ალბათ, არ არსებობდა. ამასთან, კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე და უმდიდრესი ენობრივი მონაცემების მქონე ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენა საერთოდ, რომ არ გამქრალიყო და მისი საკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულებები შენახულიყო, უზენაესის ნებით და, ალბათ, გაერთიანებული იბერიის მომავალზე მოფიქრალ მოღვაწეთა წინასწარი შეთანხმებით შენარჩუნებული იქნა იბერიული ენა, რიონსა და კოდორს შორის ტერიტორიაზე.

რა თქმა უნდა, დასაბამიერი, კაცობრიობის პირველი დამწერლობის შემქმნელი ენის დაწუნება და უარყოფა უდიდესი ტრაგედია იყო იბერთა მოდგმისათვის, მაგრამ დაშლილი იბერიის გაერთიანება, თანაც, სამართლიანობის დამყარება სხვაგვარად, როგორც აღვნიშნეთ, შეუძლებელი იყო.

ვფიქრობ, სწორედ ეს ტრაგიკული ფაქტია დაფიქსირებული იოანე ზოსიმეს **„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“**-ში, რომელიც, ჩანს, ნათარგმნია იოანე ზოსიმეს მიერ იბერიული ენიდან და, მაპატიოს მისმა სულმა, მაგრამ არც ისე ნათელგონივრულად აბრალებს იბერიული ენისათვის მისჯილ ტრაგიკულ განაჩენს ქართლურ ენას, რომელიც არავის დაუწუნებია; არსად არ არის ცნობილი, რომ მანამდე ქართების ენა ოდესმე სახელმწიფო ენა ყოფილიყოს, მერე ვინმეს დაეწუნებინოს და მის მაგივრად სხვა ენა დაედგინოთ სახელმწიფო ენად; სინამდვილეში ეს ხვედრი იბერიულს ერგო. მაგრამ მადლობა უზენაესს და გონიერ წინაპართ, რომ მთლად არ გასწირეს და შეუნარჩუნეს არსებობა დღემდე, რადგან მის სიღრმეებში წვდომა ბევრ საიდუმლოებებს მოჰფენს ნათელს და წაადგება ქართველი ერის მომავალს.

ყველაზე დიდი ტრაგედია სწორედ ის არის, რომ პირველი ცივილიზაციის (რომელიც ვრცელდებოდა პირინეიდან ინდოეთამდე ტერიტორიაზე) შემქმნელი ადამურ-იაფეტურ-იბერიული კვალის საბოლოოდ აღგვისათვის იბრძვის მეცნიერთა გარკვეული ნაწილი და პატრიარქიც შეცდომაში შეჰყავთ.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ძვ.წ. აღ-ის 331 წლიდან ახ. წ. აღ-ის 523 წლამდე არსებობდა იბერიის სახელმწიფო, ეს იცის მეუფე ანანია ჯაფარიძემ და იმოწმებს, რომ **„დოსითეოსი და ქრისანთო-ანტიოქიისა და იერუსალემის პატრიარქები XVII ს-ში ბერძნული წყაროების შესწავლის შედეგად აცხადებენ, რომ ეკლესიას, რომელსაც ქართველები „აფხაზეთის საკათოლიკოსოს“ უწოდებენ, ბერძნულ და ბიზანტიურ წყაროებში ეწოდება „ქვემო იბერიის ეკლესია“, „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსო“ ჯერ კიდევ ლევ ისავროსის დროიდან, VIII ს-დან. ვინაიდან იბერიას აქვს ორი გეოგრაფიული მხარე – ერთ, ე.ი. აღმ. საქართველოს ეწოდება „ზემო იბერია“, ხოლო მეორეს – დას. საქართველოს - „ქვემო იბერია“, რომ ერთიან იბერიელ ხალხს გარკვეული დროიდან ორი საკათოლიკოსო ჰქონდა ერთი უზენაესი პატრიარქი“** (ა.ჯაფარიძე, საერთაშ. კონფერენციაზე **„რელიგია და მეცნიერება“** წარმოთქმული მოხსენებიდან, 23.05.05.).

მეუფე ანანია ჯაფარიძემ, როცა იცის „აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა დასავლეთ საქართველოში, რომ გადასახლებულიყო IX-X საუკუნეში, ეს უთუოდ ეცოდინებოდა X ს-ის ქართული ეკლესიის სომეხ მკვლევარს – უხტანესს, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების საკითხს. ის ეხება ქართველთა ეთნიკურ ვინაობას და სწორედ X ს-ში წერს, რომ ივერიელები ის ხალხია, რომელნიც პონტოს ზღვის პირზე (ლაზიკაში) დაასახლა ნაბუქოდონოსორმა, სადაც ეს ხალხი განმრავლდა, გადმოსახლდა აღმ. საქართველოში“ (მივაქციოთ ყურადღება სომეხი მკვლევარის უხტანესის ცნობას და ლეონტი მროველის ცნობის შეთანხმებულებას: „ქ-ცის“ მიხედვით იბერები საერთოდ არ არსებულან, ხოლო უხტანესის მიხედვით ძვ. წ.აღ-ის VI ს-მდე (ნაბუქოდონოსორის ეპოქამდე) იბერები კავკასიაში არ არსებულან და საიდანღაც ნაბუქოდონოსორმა ჩამოასახლა შავი ზღვის პირას, მანამდე კი **„ქართლის ცხოვრების“** მიხედვით, ქართლოსიანთა ენა სომხური იყო] ... **„სწორედ იბერიელებად სახელდებული სვანები, მესხები, ქვემო იბერები, ანუ ლაზები იყვნენ ჯერ კიდევ არადიფერენცირებული ფუძე ქართული (ანუ პროტოქართული, კ.ფ.) ენის მატარებლები, რომელსაც დაეფუძნა ძველი ქართული საეკლესიო ლიტურგიული ენა, რომლის შემუშავებაშიც, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, მეგრელებსაც და სვანებსაც მიუღიათ მონაწილეობა“** (იქვე). საეკლესიო ლიტურგიკული ენის შემქნა შეიძლებოდა XI საუკუნეში იოანე პეტრიწის თაოსნობით.

საინტერესოა მეუფე ანანია ჯაფარიძის აზრის გავითარება. ის თავისი შეხედულების დასადასტურებლად იყენებს ივ. ჯავახიშვილის ავტორიტეტს და მისი შეხედულებების ინტერპრეტირებულ ფორმაში გადმოცემით ცდილობს იბერთა სახელმწიფო ენად ქართლური წარმოადგინოს, მაშინ, როცა ივ. ჯავახიშვილი იბერიელებად — მეგრელ-ლაზ-ჭანებს ასახელებს, მაგრამ ამ ჭეშმარიტებას გვერდით უვლის და არსად არ მოიხსენიებს. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია იბადება კითხვა: განვითარების რა დონეზე იყო ქართლური ენა იბერიული მოდგმის სახელმწიფოების გაერთიანების ხანაში და შეიძლებოდა თუ არა ფარნავაზის ეპოქიდან იგი იბერთა სახელმწიფო ენა ყოფილიყო?

ყველაზე უძველესი და სანდო წყარო, რომელმაც ჩვენს ეპოქამდე მოაღწია დედანში, არის უგანათლებულესი მოღვაწისა და ცნობილი ფილოსოფოსის – იოანე პეტრიწის (1050-1125) **განმარტებანი პროკლე დიოდოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“**. იოანე პეტრიწი აღშფოთებულია იმის გამო, რომ მომრავლდნენ უნიჭო მთარგმნელები და იძულებულია განმეორებით თარგმნოს აღნიშნული წიგნი: „არამედ მიზეზი აწ კუალად გარდმოღებად ჩემს მიერ წიგნისა ამის ესეობს: პირველ რამეთუ განმრავლდეს გარდმომღებელნი და სხუასა აღუჩნდის სხუად; ვინაჲ ესე დაულევნელ უსაზღვრობითა ვერ სადა მიყენებისაჲ და თუ სადაჲთ შემთხუედა ესე რომელნი და უმეცარ იყვნეს და რომელთამე გარემოხუევითა დიდებითისა თნებისაჲთა წარეცონა სამხილი უსწავლელობისაჲ, ვინაჲ და ტომითთა შორის ჩუენთა არ აობს ვინცა ვინ თან მემხილე და მერქუე თუ ვით ესე მოქმედებაჲ ძალითისა სიტყჳსაჲ ვით ვითარვე და სახარებათა შინა განიცხადების და სამოციქულოთა და სხუათა ყოველთა ესე ვითა, თუ დასაბამსა შორის იყო სიტყუაჲ, და უც მართ მრთეულურად, ვითარმედ „პირველიდგან იყო სიტყუაჲ“ (იოანე პეტრიწი, შრომები II. გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა და შ. ნუცუბიძის რედაქციით, 1937, გვ. 219). ძველი ქართული ენის არმცოდნე მკითხველისათვის გაუგებარია აღნიშნულის თხრობის ენა და თანამედროვე ქართველისათვის თარგმნას მოითხოვს: „მაგრამ მიზეზი ამ წიგნის ჩემ მიერ აწ კვლავ გადმოღებისა ესაა: ჯერ ერთი, განმრავლდნენ მთარგმნელნი (გარდმომღებელნი) და სხვადასხვას სხვადასხვაგვარად ესმის. ამიტომ შეუსაბამობათა უსაზღვრობა დაულეველი იყო. და, თუ რატომ ხდებოდა ეს: ზოგი უმეცარი იყო, ზოგს კი დიდების კმაყოფილებით გარსმოხვეული [თავისი] უსწავლელობის მხილების [უნარი] მოუდუნდა (წარეცონა სამხილი უსწავლელობისაჲ). ამიტომაც ჩვენს თანამემამულეთა შორის (ტომითთა შორის ჩუენთა) არ არსებობს (არ აობს) ვინმე მხილველი და მთქმელი, თუ როგორ [ხდება] ძალითი სიტყვის მოქმედება და როგორ გაცხადდება ეს სახარებაში და სამოციქულოში და სხვა ამგვარ [წიგნებში], კერძოდ: „დასაბამსა შორის იყო სიტყვუაჲ....“ გადმოუღიათ ამგვარად: „პირველითგან იყო სიტყუაჲ...“ (იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლე დიოდოხოსის «ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა», დ. მელიქიშვილის რედაქციით, 1999, გვ.213).

იოანე პეტრიწის წიგნის ამ ფრაგმენტის გაცნობის შემდეგ მკითხველს, უეჭველია დაებადება კითხვა: რატომ მომრავლდნენ მაინცდამაინც პეტრიწის მოღვაწეობის წინა წლებში უნიჭო მთარგმნელები?

პეტრიწი შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა XI ს-ის ბოლო მეოთხედში და XII ს-ის პირველ მეოთხედში. ეგრის-აფხაზეთისა და ქართლის გაერთიანება მოხდა 1008 წელს, რომლის შემდეგ ქართლური ენა გახდა საერთო სალიტერატურო ენა, მაგრამ სამწერლო-ლიტერატურულ-მთარგმნელობით ტრადიციების არმქონე ენა რამოდენიმე წელიწადში ვერ გახდებოდა დახვეწილი და სრულყოფილი ენა, ხოლო მსურველები ამისა კი, ბუნებრივია, ბევრი იქნებოდა. ამიტომ, ასევე ბუნებრივია, „შეუსაბამობათა უსაზღვრობა დაულეველი“ იქნებოდა. „შეუსაბამობათა უსაზღვრობის“ მიზეზი იმ ხანად მთარგმნელთა უნიჭობაზე უფრო ქართლური ენის განვითარების დაბალი დონე რომ იყო, დასტურდება წიგნის შემდეგი ფრაგმენტიდანაც: „...ვითარ წერაჲ რაჲთმე და მსგავსი ნაწერთაჲ კითხვაჲ უკანონო წერაჲ და უკანონოჲცა და უჴელოვნო კითხვაჲ. თუ არა რომელმან ნაწერი თქუმისანი, თუ რაჲ სახელი და რაჲ სიტყვაჲ, და ამათვე თანა თუ ვითარ შეწყობაჲ და მორთვაჲ ენისაჲ და ნაღბი და სინანრე გარდაცემისაჲ შეცვალებისაებრ პირთაჲსა არ მოიგოს და ამათ ყოველთა სანთლად დღე ღმრთისმეტყველებითთა ხედვისაჲ და მაუკუდავებელი ნათელი გონებისაჲ. და დართე კუალად მრავალ გამოცდილებაჲ ტომებთა შორის მსხუებათა და განთუსულთა მეთნეობათა რწმუნებათავე თანა. რამეთუ ამას არა მცირედი გულმეჭმეობაჲ მოაქუს თჳს შორის, ვითარვე თან და მეწამვის არისტოტელი, იტყჳს მეთქუე ესთად, ვითარმედ „სასწავლოთა ემხარკოსო“. ვთქუა ჭაბუკი ბრძნად არამედ ცნობილად არღა, რამეთუ ცნობიერებაჲ გამოცდილებათაგან მიიღებს შეკრებასა, ვინაჲ თუ მე ამათ ყოველთა მიუგებელთაგან ვისჯებოდი და რაჲვე ნაქმადი ტკივილთა ჩემთა საბჭოდ მათ წინა დაედებოდის ვითავე ხედვათა ჩემთა მაცხოვნებელი. იტყჳს ჴმაჲ ნუ წინა დაფენად, არამედ იუწყედ პირველ თუთ მათ ეს მეთნეთა, და მერმე ჩუენთა და მეხედეთა სულითა და ტრფიალთა ჩუენისა ამისა დღისითა, ვითარმედ მე კაცი დავხუდი ლმობათა შორის და მამადი ყკივილთა შორის გონებისათა, და არავეც რული სარეცეთა მომდოვრებისათა ჩემისათა, და არცა წამი სასუენთა სულისა ჩემისათა, ვიდრემდის არამომხედნა მე გონებითმან ცისკარმან დღეთადმი, რომელთა ბნელი უმეცრებათაჲ არღ(ა) ენაცვლების; და აღვიშურვე ტომისათვის გუართა ჩემთასა მე მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბრიონთაგან...“ (იქვე, გვ.220).

წარმოდგენილი ტექსტის უკეთ შემეცნებისათვის მოგვაქვს დ. მელიქიშვილისეული თარგმანი: „...რადგანაც როგორიცაა წერა, მსგავსივეა ნაწერთა კითხვაც-უკანონო [თუა] წერა, უკანონო და უხელოვნოა კითხვაც. თუ ვინმე არ გაითვალისწინებს მეტყველების ნაწილებს – თუ რა არის სახელი და რა ზმნა და, ამასთანავე თუ როგორია შეწყობა და მორთვა ენისა და ნაღები და სინარნარე გადმოცემისა მნიშვნელობათა ცვალების შესაბამისად და ამ ყველაფერთან ერთად ვერ მიიღებს სანთლად ღმრთისმეტყველებითი ხედვების დღეს და გონების მაუკვდავებელ ნათელს; და [ამას] კიდევ დაუმატე ტომთა შორის სხვაობათა მრავალგამოცდილება და თან სარწმუნეობასთან ერთად თავისებური შეხედულებანი, რადგანაც ამას არამცირედი ცოდნა (გულმეჭმეობა) მოაქვს თან, რაშიც არისტოტელეც დამემოწმება, რომელიც ასე ამბობს: „სწავლისათვის იზრუნოსო“. ჭაბუკს ბრძნად ვიტყვი, მაგრამ მცოდნედ არა, რადგანაც ცოდნა გამოცდილებით გროვდება – ახლა ყველა ამათ უქონელთა მიერ განვისჯებოდი და ჩემი ტკივილების ნაყოფი (რაჲ ნაქმადი) მათ წინაშე ბჭობისათვის იდებოდა (დაედებოდის). როგორც ჩემი ხედვების მაცხოვნებელი ხმა ამბობს: „წინ ნუ დაუდებთო“. მაგრამ იცოდეთ: ჯერ იმათმა, ვისაც ასეთი შეხედულება აქვს, და მერმე ჩვენი სულის მხედველმა და ჩვენი დღის მოტრფიალეებმა, თუ როგორ დავხვდი მე, კაცი, ჩემს ლმობათ: „არა ვეც რული“ ჩემს სარეცელს და არცა წამი ჩემი სულის მოსასვენებლად, სანამ არ მომხედა მე გონებითმა ცისკარმა დღისაკენ, რომელსაც უმეცრებათა სიბნელე აღარ ენაცვლება და აღვნიშურვე მე, ჩემი გვარ-ტომისათვის შემექმნა ენა სიტყვამდიდარი და განსხვავებული მდაბიოთაგან (მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბრიონთაგან)...“ (იქვე, გვ. 214).

ამ ტექსტის ბოლო სტრიქონიდან ცხადია, რომ ჯერ კიდევ პეტრიწის დროისათვის ქართლური ენა არა იყო განვითარებული და მდაბიოთა ენისაგან განსხვავებული ენა. აქ გონიერ მკითხველს ისევ დაებადება კითხვა: როგორ შეიძლებოდა IV-V საუკუნის მიჯნაზე 6-7 საუკუნის წინათ, ჯერ კიდევ, პეტრიწის დრომდე მდაბიოთა ენად დარჩენილი ქართლურ ენაზე უზადოდ ეთარგმნათ წმინდა სახარება? „როგორც ჩვენი გამოკვლევებიდან ჩანს, პეტრე იბერის აღმზრდელი და მოძღვარი იოანე ლაზი იყო წმ. წერილის ქართველ მთარგმნელთა იმ პლეადის მეთაური, რომელმაც IV-V საუკუნეების მიჯნაზე ქართულ ენაზე უზადოდ გადმოიღო წმინდა სახარება, ძვ. და ახ. აღქმის წიგნები. ამით იყო გამოწვეული, რომ უძველესი ხანიდან, ვიდრე XIX-XX სს-მდე, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთს, სვანეთსა და სამეგრელოში საეკლესიო და სალიტერატურო საჭიროებისათვის მხოლოდ ძვ. ქართული გამოიყენებოდა“ (ა. ჯაფარიძე, იმავე კონფერენციაზე 23.05.05 წარმოთქმული მოხსენებიდან). გამორიცხულია, იბერიის დაცემის შემდეგ, ეთნიკურ-ენობრივი ნიშნის მიხედვით აღდგენილ ეგრის-აფხაზეთისათვის ქართლის შემოერთებამდე, საეკლესიო და სალიტერატურო საჭიროებისათვის შეუდარებელი სიმდიდრისა და გამომსახველობითი უნარის მქონე იბერიული ენის ნაცვლად ქართლური დიალექტი გამოეყენებინათ.

**კუკური ფიფია,**
**ფაზისის აკადემიის წევრი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რობერტ სტურუა: ხალხმა ვიცით სიმართლე, მაგრამ ხელისუფლება სირაქლემასავით ოსტატურად მალავს სიცრუის ქვიშაში თავს!

*საქინფორმის სტუმარია საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტი, გამოჩენილი ქართველი რეჟისორი* **რობერტ სტურუა.**

**– ბატონო რობიკო, ხელოვნებას საზღვრები და ეროვნება არ აქვს. თქვენ ყველა ქვეყანაში მიღებული პიროვნება ბრძანდებით. უყვარხართ რუსეთშიც, რომელთანაც დღეს ჩვენ გაფუჭებული ურთიერთობა გვაქვს, ამერიკული ჯაზიც მოგწონთ და თქვენი შემოქმედებიდანაც ჩანს, რომ დასავლურ კულტურას ნაზიარები ხართ. დღეს საქართველოში ამერიკანიზაციაა აქტუალური. ასეთი ლოზუნგია: „არაფერი რუსული, მხოლოდ ამერიკული“ – თან ინგლისურად...**

– მე ვფიქრობ, რომ ამას წყვეტს ერთი კაცი. მას უნდა და აკეთებს ასე. ლოგიკა ამაში არ არის. სხვა მხარე, კერძოდ, ის, რომ ბევრს განათლებისთვის რუსულად კითხვა სჭირდება, თეატრში რუსული კლასიკის ნიმუშებია, არ აინტერესებს. „ფეისბუკზე“ ვნახე პუტინის ბანაობის ფოტოები დელფინებთან. ორი კვირით ადრეა გადაღებული, ვიდრე ჩვენი პრეზიდენტი დელფინს თავს პირში ჩაუყოფდა. ჩანს, რომ პირდაპირ ბაძავს რუსეთის პრეზიდენტს.

**– ჩვენთან პირიქით აშუქებენ – რუსეთის პრეზიდენტი რომ ბაძავს საქართველოსას. რუსეთის პრეზიდენტი მედვედევია, ბატონო რობიკო, მაგრამ ყველა პუტინს აღიქვამს პრეზიდენტად, მათ შორის, ჩვენი ხელისუფლებაც...**

– შესაძლოა, პოლიციის რეფორმაში მართლაც ასე იყოს, მაგრამ იმდენად საშინელია ეს ყველაფერი... საუბარიც მიჭირს. მკითხეს – რა არის თქვენთვის ყველაზე საშინელი, რაც დღეს ხდებაო... ეს არის ის გამჭვირვალე შენობები, თავისი სარდაფებით, სადაც, ყველამ ვიცით, რაც ხდება; სიცრუე, რამაც დღეს ყველა სფერო გაჟღინთა, მოქცეულია ამ **„ბროლის სასახლეებში“**. ჩვენ უკვე ყველაფერში ერთმანეთს ვატყუებთ. ყველაფერს ეშველება ამ ტყუილის გარდა. რაც მთავარია, ხალხმა ვიცით სიმართლე, მაგრამ ხელისუფლება სირაქლემასავით ოსტატურად მალავს **„სიცრუის ქვიშაში“** თავს! ეს არის ყველაზე დიდი უბედურება. იგივე საბჭოთა კავშირის დროს, თეატრში **„ლენინი“** რომ აგვიკრძალეს... ყველამ იცოდა, რომ არასწორი იყვნენ. მინისტრის მოადგილე პოპოვმა გამომიძახა ერთხელ და მითხრა – რობერტ, ვიცით ყველაფერი, მაგრამ არ შეიძლება ამაზე საუბარიო. ამაში პატიოსნება მეტი იგრძნობოდა... უნდათ სტერეოტიპის დანგრევა, მაგრამ ეშინიათ. ესენი გატყუებენ, რომ ანგრევენ... სჯერათ, რასაც აკეთებენ.

**– არაფრისაც არ სჯერათ. ჩვენ გვატყუებენ, რომ სჯერათ. ბოლო პერიოდის კომუნისტებსაც თუ შევადარებთ, ზნეობაც, მორალიც, კანონიც იქ ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე ახლაა. ყველაფერი რაღაც პარანოიდალობამდეა მისული – ისტორიის ათვლა 2003 წლიდან დავიწყეთ. უნდოდათ რაღაც ახალი წელთაღრიცხვის დაწყება და ეს ბოლო – 9 მაისის 8 მაისს აღნიშვნა... იმიტომ, რომ ევროპამ ომი 8-ში დაასრულაო. ამ დროს, ოფიციალურად უქმეა. ხელისუფლება გამარჯვების დღეს ვეტერანებს ვაკის პარკში ულოცავდა. ჩვენთვის ომი 9 მაისს დასრულდა. ასეთი მიდგომით, ნაციონალები პარლამენტში 22 ნოემბერს შეიჭრნენ, მაგრამ გააფორმეს 23-ში, გიორგობას. ხალხის ამ უბედურების დასაწყისს – 22-ს რატომ არ აღნიშნავენ?**

– 8 მაისს, ხუთ საათზე, ჩვენთან ვეტერანებისთვის სპექტაკლი იყო. მათთვის ბუფეტში ალაფურშეტი მოვაწყვეთ – ძეხვის, ყველის ბუტერბროტებით. ეს საწყალი ხალხი – მთელი დარბაზი გავიდა. ჩვენც სპექტაკლი შევაჩერეთ, მათთვის დანაყრების შესაძლებლობა რომ მიგვეცა. მიწისქვეშა გადასასვლელებში თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენლები დგანან... უკრავენ და საარსებო სახსრებს აგროვებენ. ადრე მათხოვრები იყვნენ, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში საქართველოში ხალხი არასდროს ყოფილა. ამ დროს, ვხედავთ მილიონებიან თვითმფრინავებს, ჩამოჰყავთ ვიღაც **დოტი,** მომღერლები... რეჟისორი რომ იყოთ, უკეთ დაინახავთ. მგონი, ჩვენს პირველ პირს **„როლი“** კარგად აქვს მორგებული. ამ ნიღბით კი იმას ასრულებს, რაც დავალებული აქვს და ფულს უხდიან.

**– ვინ შეიძლება იყოს ეს – ამერიკა? მართალი ხართ... რუსეთიცა და ამერიკაც მონაწილეობდა ამ ხელისუფლების მოყვანაში.**

– ამ ორი ქვეყნიდან რომელიმეს ხალხის მისადმი კარგი განწყობა თუ სურს, ადამიანი, რომელიც აქცევს ქვეყანას, არ უნდა გააჩეროს და გაანეიტრალოს? ამ აგდებულმა, მარაზმამდე მისულმა ამერიკულმა დამოკიდებულებამ გამოწვია ის, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ვინც უნდა გააჩერო, ჩუმად ყველა გეტყვის, რომ მაინც რუსეთი ურჩევნია, გნებავთ, კულტურულად, გნებავთ, მენტალურად, გნებავთ, რელიგიურად... ეს არ არის ბავშვობიდან გამოყოლილი ნოსტალგია. ამაზე უწმინდესის აზრიც ყველამ იცის. რუსეთში მონად ქართველს თავი არასდროს უგრძვნია. დღეს ბევრისგან გაიგებთ, რომ საქართველო ამერიკის შტატი თუ კოლონია უფროა, ვიდრე დამოუკიდებელი, პარტნიორი ქვეყანა. ბათუმში გახლდით. თქვენ გგონიათ, ეს გზები გაკეთებულია? აღმოჩნდა, რომ უკვე გაფუჭებულია ყველაფერი. ავტობანის შემდეგ ყოველგვარი გამაფრთხილებელი ნიშნის გარეშე იწყება გაფუჭებული გზები. კინაღამ ავარიაში მოვყევით. უგემოვნობის გარდა, არაფერია გაკეთებული. ბათუმი **„თურქულ ჩეჩმუსად“** გადააქციეს.

**– ეს დამოკიდებულებაა გასაკვირი, რაღაც სიყვარული შენი ხალხისადმი, რომ შენიანია, არ უნდა ჰქონდეთ?**

– სომეხია და რა ვქნათ... ეს ხომ არ არის დამალული?

**– თავად უარყოფს ამას. ეს გასაგებია, მაგრამ იყოს სომეხი! იყოს შუშანიკი – ფეხებს დავუკოცნით. უდიდესი შანსი ჰქონდა, დიდი პიროვნება გამხდარიყო...**

– მერე ეგ შუშანიკივით ექცევა საქართველოს? – ამიტომ არის ეჭვი, რომ რასაც აკეთებს, დაავალეს. გაჟღერდა **„თავისუფალი ეკონომიკის“** იდეაც. საკუთარი სუფთა პროდუქციით მსოფლიო ბაზარზე გასვლა ქვეყნისთვის კარგია. ასეთი ბაზარი ადრე ჩვენთვის რუსეთში იყო. ეს გაგვიუქმეს. ხელისუფლებისვე ექსპერტები აღიარებენ, რომ ეკონომიკა აღარ არსებობს. ინვესტორი იმ შემთხვევაში შემოვა, თუ იაფ მუშახელს დაინახავს... აქ არის ძაღლის თავი ჩამარხული! ამ გლობალურ ინტერესს ატარებს ამერიკის შეერთებული შტატები ლათინური ქვეყნების მიმართაც. აშკარა ხდება, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებით ჩვენ დასავლეთისთვის **„იაფი მუშახელის“** გაუნათლებელ, გაჭირვებულ რესურსად გვამზადებენ. თავიანთ შვილებს სულ **„ოქსფორდებსა“** და **„კემბრიჯებში“**, კოლუმბიის უნივერსიტეტში ასწავლიან. კოლუმბიის უნივერსიტეტიც 1925 წლიდან ცერეუს **„გავლენის აგენტების“** მომზადების სამჭედლოდ ითვლება. ამათ იქ იწავლეს, მოამზადეს და გამოუშვეს საქართველოში.

**– ე.ი. გამოდის, საქართველოს გასანადგურებლად მოიყვანეს?**

– დღეს ყველასთვის ცნობილია, რომ ამერიკის სომხურმა ლობმა მოიყვანა ესენი. თვითონ აქ ცხოვრებას ესენი აღარ ფიქრობენ – აღარ დაედგომებათ. საქართველოსაც, ალბათ, ამერიკასა და დასავლეთს უმზადებენ გაუნათლებელი და იაფი მუშახელით. ისეთი პირი უჩანს, ამათ მალე მოაშორებენ. ჩვენ კი სამუდამოდ სამტროდ უნდა გადავეკიდოთ რუსეთს? მეჩვენება, რომ ჩვენ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაზე რაღაც არ ვიცით. ადამიანმა, ვისიც მჯერა და იქ იყო, მომიყვა, რომ პირველ შეხვედრაზე პუტინთან მან დააგვიანა და პუტინი ხალათში გამოვიდა. ჩვენმა პრეზიდენტმა მხარზე ხელი დაარტყა, საკმაოდ თავხედურადაც იქცეოდა. შენობით მიმართა: **„Я бы тоже искупался бы с тобой“...** ის დაბნეულა. იქნებ, რაღაც ხდება და ჩვენ არ ვიცით? ჩემი ასეთივე სანდო ინფორმაციით, პრეზიდენტს ნატოზე უარის სანაცვლოდ, პუტინი დროებით დაკარგული მიწების დაბრუნებასაც დაჰპირდა. ნაციონალები ამერიკასთან უკვე ვალში იყვნენ და სააკაშვილისგან უარი მიიღო. პოლიტიკოსები ამბობენ, რომ ეკონომიკური ბერკეტების რუსეთისთვის გადაცემა ამერიკა-რუსეთის გარიგების ნაწილია. თუ რუსეთს ვემხრობით და **„დაგვიპყრო“,** მოსახლეობას **„მოდელირებული ქრონიკებით“** ნერვებს ნუღარ უშლიან და ღიად გვითხრან – იქნებ, ხალხიც დაეთანხმოს ურთიერთობების აღდგენას? ხალხისადმი ასეთი დამოკიდებულებაც სადისტებსა და მანიაკებს აქვთ. დღევანდელ პოლიტიკურ ჯგუფს ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები სოციოპათებს უწოდებენ. იცი, ხალხი რომ იტანჯება და კმაყოფილი ხარ?! ვერ იტყვიან, რომ არ იციან – იციან! თვითკმაყოფილება კი ნიშნავს, რომ ეს შეგნებულად ხდება. ამათი ქცევის შესახებ იცის როგორც შტატების, ისე რუსეთის სპეცსამსახურებმაც. იციან ხელისუფლების დასავლელმა მრჩევლებმაც. ამერიკის მხრიდან ასეთი პოლიტიკის გამიზნულად გატარების ეჭვს სწორედ ეს აჩენს. ბრიტანეთშიც იყო სოციოპათების ხელისუფლებაში მოყვანის მცდელობა. ეს იქაურმა ულტრანაციონალისტურმა ფრთამ აღკვეთა. **„საქართველოს მეგობრებმა“** წაიყვანონ ასეთი ხელისუფლება, ნებისმიერი ფორმით მოგვაცილონ.

**– საქმეც ისაა, რომ ვეღარ წაიყვანენ. წაჰყვება, მაგრამ უკვე კრიმინალია და დაჭერა ემუქრება. ცეერუს პოზიციიდან კი, განადგურება რჩება.**

– ჩვენ რა დავაშავეთ? გლობალურ დასავლეთში ეს პრაქტიკაც არსებობს. თუნდაც, ალდე მოროს შემთხვევაში. ჩვენმა ხელისუფლებამაც საკმაოდ ბევრი იცის. იცის მისმა მეუღლემაც... ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით, განადგურებას სხვა გზას ვარჩევდი. დაასაქმონ უნივერსიტეტში, სკოლაში... ბოლოს და ბოლოს, ციხეში ჯდომაც ჯობს. რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, შენგან – საქართველოსგან – ზურგში რაკეტით, ბაზებით თუ სხვა რამით საფრთხე არ დაემუქროს. ამის გარანტიის შემთხვევაში ის თავს დაგანებებს და ურთიერთობის აღდგენაც შესაძლებელი ხდება. ამათ შემდეგ მაინც, თუნდაც, მიწაწყლის დასაბრუნებლად, რაც რუსეთმაც კარგად იცის, რომ ჩვენია, არ უნდა ვეცადოთ ურთიერთობის მოწესრიგებასაც და ბაზრის დაბრუნებასაც?! გვაქვს კიდევ ამის შანსი? ყველა აღნიშნავს რომ რუსეთს განსაკუთრებულად უყვარს ქართველები...

**– ნამდვილად ასეა. კავკასიაში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. მე ასე პესიმისტურად არ ვუყურებ სიტუაციას. უფრო რაღაც სასწაულის იმედი გვაქვს. უკეთესი იქნება თუ უარესი, ურთიერთობის აღდგენა აუცილებელია. კარის მეზობელთან ურთიერთობა თუ არ აღადგინე, დაღუპული ხარ.**

– ხალხიც, ჩემი თაობაც მართლა დაიღალა გაუთავებელი **„გაუმარ-ჯოს-ჯოს!“** ყვირილით. დღევანდელი პროცესიც – როგორც **„ფერადოვანი რევოლუციების“** – სადღაც დაწერილი და დაგეგმილი ხომ არ არის? ხალხი ისევ იფიქრებს, რომ თვითონ მოახდინა, მაგრამ ისევ ვიღაცის ინტერესით მოხდება... იგივე, რაც მუსლიმანურ სამყაროში ხდება...

– კარგად ვიცით ლათინური ამერიკის ურთიერთობა ამერიკასთან. არგენტინაში ხშირად დავდივარ და ვიცით, რაც მოხდა. ფაქტობრივად, ამერიკამ დაიპყრო სრულად. ჩადო დიდი ფული... გადაარჩინა კოლაფსს, მაგრამ, ფაქტობრივად, არგენტინა, როგორც ქვეყანა, გაქრა. ძალიან მომწონდა ხალხიც და ქვეყანაც...

**– სწორედ ეს ხომ არ არის ამერიკის ის გლობალისტური გეგმა, რომელშიც, პრაქტიკულად, ჩვენც მოგვაქციეს. ხომ არ სურს ამერიკას საქართველოც არგენტინის მსაგავსად „გადაყლაპოს“?**

– მეთ დეიმონის ნათამაშები **„მწვანე ზონა“** თუ გაქვთ ნანახი? ერაყის ომზეა... ეძებენ ჰუსეინის იარაღს. ირკვევა, რომ ვიღაც ჩინოვნიკს ერთი საფეხურით წაწევა მოუნდა – შეადგინა ცრუ რუკები და ამერიკას დააწყებინა ომი. მენიშნა! აქ რომ საშინელი ტიპი – მრჩეველი მეთიუ ბრაიზა იყო, ისიც თითქოს თავისი ინტერესებით მოქმედებდა. ალბათ, ისევ ქართველი ერის გონიერებამ და სიბრძნემ უნდა განსაზღვროს შემდგომი ნაბიჯების ბედი და რუსეთიც შემხვედრ ნაბიჯებზე წამოვიდეს.

**– გასტროლებით პარიზში მიბრძანდებით, შემდეგ ლონდონში და ბოლოს – რუსეთში. წარმატებებს გისურვებთ, ბატონო რობიკო. ისევ კულტურა, ხელოვნება და სულიერად საღი აზრი თუ გვიშველის დღეს ჩვენ.**

**ბაია ამაშუკელი,**
**საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“**

## ლოთი ქობალია: სოფლის მეურნეობის სამინისტრო გლეხებისათვის აღარ არსებობს



საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი სამეგრელოში ზუგდიდიდან იუწყება:

**„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად გამოაცხადა და ამ სფეროში დასაქმებულებს ყოველმხრივ დახმარებას დაჰპირდა, როგორც ყოველთვის, მისი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ დაემთხვა. გლეხობა ბედის ანაბარაა მიტოვებული. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, „ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენელმა ვახტანგ (ლოთი) ქობალიამ, როგორც მეწარმემ, დაუჯერა სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელს, რომელმაც ზუგდიდში ჩასვლისას ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა მას და დანარჩენ მეწარმეებსაც. ამ ხელშეწყობის იმედით ლოთი ქობალიამ საკუთარი სახსრებით ზუგდიდის რაიონის სოფ. ერგეტაში დაამუშავა 20 ჰა მიწის ნაკვეთი, რათა იქ ე.წ. ჰიბრიდული სიმინდი დაეთესა. მან მოითხოვა, მისთვის მიეცათ საჭირო რაოდენობის სიმინდის ძვირადღირებული თესლი. „მე არავითარი სახსრები არ გამაჩნია და გადავწყვიტე, თესლის საყიდელი ფული ბანკიდან გამომეტანა სესხის სახით, რის სანაცვლოდ ვთავაზობდი, ბანკში ჩაედოთ ჩემი სახლი ოდიშში. ბანკში კი განმიცხადეს, რომ სოფლებში არსებული სახლი გარანტია არ არის. გლეხებს სოფლებში აქვთ სახლები. აბა, ვისაც ქალაქში აქვთ სახლები და რესტორნები, ისინი მიწის დასამუშავებლად არ წავლენ ერგეტაში და სხვა სოფლებში. ვერც ის დავადგინე, რა ღირს ერთი კილოგრამი ჰიბრიდული სიმინდი, რადგან კილოგრამობით არ იყიდება – მითხრეს, ერთ ჰექტარს 240 ლარის სიმინდი სჭირდებაო“, – აღნიშნა ლოთი ქობალიამ. დიდი ხვეწნა-მუდარისა და ჩარევის შემდეგ მას მისცეს თანხა, საკმაო პროცენტებით.**

**ლოთი ქობალიას გაანგარიშებით, მიწის დამუშავება, მოსავლის მოყვანა, აღება-დაბინავება 37 000 ლარამდე დაუჯდება და ისიც ამინდის ხელშეწყობის შემთხვევაში. „თუ გვალვა ან წვიმები იქნა და ვერ შევძელი მოსავლის მოყვანა, საკუთარი სახლის დატოვება მომიწევს და ქუჩაში უნდა დავრჩე. ასე მიჰყავს სახელმწიფოს კატასტროფამდე გლეხობა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო გლეხებისათვის აღარ არსებობს. იმათ კი არ ეხმარებიან, ვისაც უჭირს, არამედ იმათ, ვისაც არ უჭირს. მათი დაპირებები არის ცრუ და ბლეფი. ვერცერთი გლეხი ვერ გადაიხდის იმ თანხას – 1 200 ლარამდე, რომელიც ერთი ჰექტარის დამუშავებას სჭირდება“, – აღნიშნა ლოთი ქობალიამ.**

**ასე რომ, გლეხობა ბუნების იმედზე უნდა იყოს და არა – ხელისუფლების“.**

## გარდაიცვალა ნანული სარდიონის ასული ქაჯაია-პაჭკორია

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და გაზეთი “ილორი” მწუხარებით იუწყებიან, რომ 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ჟურნალისტის – თენგიზ პაჭკორიას დედა – ნანული სარდიონის ასული ქაჯაია-პაჭკორია.

1993 წლის 20 თებერვალს სოხუმის საცხოვრებელი კვარტლის ავიადაბომბვის დროს ბომბი პაჭკორიების ოჯახის ეზოში ჩამოვარდა, რის შედეგადაც დაიღუპა ოჯახის უფროსი, 56 წლის ბოჩია ივანეს ძე, თენგიზმა და დედამისმა კი მრავალრიცხოვანი ჭრილობა მიიღეს. რამდენიმე თვის განმავლობაში ჯერ სოხუმში, შემდეგ კი მოსკოვსა და თბილისში მკურნალობდნენ. 1993 წლის აგვისტოდან ისინი თბილისში ცხოვრობენ. მიუხედავად მძიმე ჭრილობებისა და სულიერი ტრავმისა, ნანული სარდიონის ასული სულით არ დაცემულა და მთელი ამ წლების განმავლობაში სოხუმში დაბრუნების მოლოდინში ცხოვრობდა და შრომობდა. ამ ქვეყნიდან წავიდა ქალი, რომელიც თავისი სათნოებით, ყურადღებით, სითბოთი, მტკიცე ხასიათითა და ნებისყოფით სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა როგორც სოხუმელი ლტოლვილების, ისე თბილისის მცხოვრებთა მხრიდან.

ამ მძიმე წუთებში გულითადად თანავუგრძნობთ ჩვენს კოლეგას და მეგობარს – თენგიზ პაჭკორიასა და მის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატანა ხარხარებს



**"ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუძთ. უფრო მეტად გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვა შეუძლია გეენაში და სხეულისაც" (მათე, 10, 28)**

### სპექტაკლის საზოგადოება

ანტიქრისტეს აღსაყდრებისათვის მებრძოლი ძალა უკვე აშკარად, დაუფარავად ლაპარაკობს კაცობრიობის გაერთიანებაზე და ერების მოსპობაზე, ერთი მთავრობის, ერთი ფულის აუცილებლობაზე... ანუ, **მსოფლიო ბატონობაზე!**

მსოფლიო სახელმწიფოს დაარსების შესახებ მიუთითებენ ბიბლიური წინასწარმეტყველები. ამგვარი მსოფლიოს წინამძღვრად მოგვევლინება ანტიქრისტე დანის ტომიდან, რომელიც გველთან არის შედარებული (დაბ. 49, 17).

უძველესი დროიდან ამ იდეის ხორცშესხმას სისხლისმღვრელი ომებითა და რევოლუციებით ცდილობენ.

გავიხსენოთ ასიოდე წლის წინანდელი ამბები. საყოველთაოდ ცნობილია ოქტომბრის რევოლუციის ბელადის ლეიბა ტროცკის დაუოკებელი სწრაფვა რევოლუციის იმპორტზე, პერმანენტულ რევოლუციაზე, პლანეტის გაწითლებაზე, ანუ მასონ-ბოლშევიკთა მსოფლიო ბატონობაზე. სამაგიეროდ, ცოტამ თუ იცის, რას უპირებდა ტროცკი რუსეთს: **"ჩვენ ის უნდა გადავაქციოთ უდაბნოდ, რომელიც დასახლებული იქნება თეთრი ზანგებით...**

**რუსეთს გავჭყლეტთ... მის ნანგრევებზე დავამყარებთ სიონიზმის ძალაუფლებას და ვაქცევთ იმ ძალად, რომლის წინაშეც მსოფლიო დაიჩოქებს... სისხლისღვრით ჩვენ მივიყვანთ რუს ინტელიგენციას სრულ გამოთაყვანებამდე, იდიოტიზმამდე, ცხოველურ მდგომარეობამდე..."** (ნ. დობროლიუბოვი, **"XX საუკუნის ფარული ორგანიზაციები"**, თბ. 2001 წელი, გვ. 59).

ღმერთმა სტალინის ხელით ბოლო მოუღო ტროცკიზმის ბობოქრობას. აღმართა რკინის კარი და რუსეთი (საბჭოთა ხალხები) იხსნა დასავლეთის გამხრწნელი ზემოქმედებისაგან.

იოსებ სტალინის სიკვდილის შემდეგ დემოკრატიის ქურქში გახვეული მასონები არ დაჯერდნენ სტალინის დიად გამარჯვებათა გაბიაბრუებას, მისი პიროვნების ლაფში ამოსვრას. გახსნეს საზღვრები და საბჭოთა კავშირს ნიაღვარივით მოაწყდა ათასგვარი უწმინდურება, რომელიც წალეკვით ემუქრება მართლმადიდებლობას, კულტურას, ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ ნორმებს... ამ მოვლენის შესახებ რუსი სასულიერო მოღვაწე შემდეგს წერს: მხოლოდ ერთ წელიწადში **"ЦРУ потратило 150 млн долларов на духовную агрессию против России и в нашу страну хлынул поток разных антиправославных проповедников, которые стали создавать различные секты, школы..." (Иеромонах Анатолий (Берестов), «Число зверя»**, М. 1996, стр. 7).

არ ვიცი, ტრადიციულ მართლმადიდებლურ საქართველოში რამდენი მილიონი დოლარი დაიხარჯა, მაგრამ ფაქტია, რომ იეღოველებს და ათასგვარ სექტებს მიემატა სატანისტების სექტაც, რომელიც თბილისში უკვე რიტუალებს ატარებს მსხვერპლშეწირვით.

სისხლით და მახვილით გლობალური იმპერიის შექმნის მეთოდს დაემატა ვერაგული, უფრო მოქნილი, უფრო ეფექტური მეთოდები. ბიოქიმიური და გენეტიკური მანიპულაციები, აგრეთვე, ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედების ზემძლავრი საშუალებები: ტელევიზია, კიჩი, პორნოგრაფია, სანახაობა...

გულუხვად დაფინანსებული ათეულობით ინსტიტუტები და სამეცნიერო ცენტრები მუშაობენ ინდივიდის, საზოგადოების, მთელი ერის ფსიქოლოგიური დამუშავების მეთოდებისა და ხერხების შექმნაზე. იხარჯება მილიარდობით დოლარი. ექსპერიმენტების შედეგები ამართლებს გაწეულ ხარჯებს.

გლობალისტთა მთავრი მიზანია ადამიანის, ღვთის ხატის გარდაქმნა უსულო არსებად, რობოტოიდად, ზომბად, რომელიც მორჩილად შეასრულებს ამა ქვეყნის ძლიერთა ბრძანებებს.

ამ არსებისათვის ეროვნული ცნობიერება, სამშობლოს სიყვარული, ღირსება ისეთივე ზედმეტია, როგორც ცირკის გაწვრთნილი მაიმუნისთვის.

ორმოციოდე წლის წინ ფრანგმა სოციოლოგმა გი დებორმა გამოაქვეყნა ნაშრომი **"სპექტაკლის საზოგადოება"** (რუსულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა 2000 წელს). ამ ნაშრომში განხილულია თანამედროვე ადამიანის ტვინის გამორეცხვის ეფექტური საშუალება – **სპექტაკლი!**

სარგებლობენ რა ადამიანის ბუნებრივი ლტოლვით იმ სანახაობისადმი, რომელიც ესთეტიკურ ტკბობას ანიჭებს, უხილავი რეჟისორები დგამენ ისეთ სპექტაკლებს, რომელთა მაყურებელი არამც თუ კათარზისს (სულის განწმენდა) განიცდის, არამედ წყდება რეალობას. **"სპექტაკლში ჩაძირული ადამიანი კარგავს კრიტიკული აზროვნების უნარს... მთლიანად ექცევა სოციალურ იზოლაციაში... განუწყვეტელი ლაქლაქის მოსმენისას ადამიანი აზრობრივ კავშირს ვერ ამყარებს მიღებულ ინფორმაციასთან... სიცრუის გამეორების შედეგად ქრება საზოგადოებრივი. ჯერ ის კარგავს მოსმენის უნარს..."** – წერს გი დებორი.

ერთი სიტყვით, მიმდინარეობს ტვინის გამორეცხვა.

**ტვინგამორეცხილ ადამიანთა მასას, საზოგადოებას დაკარგული აქვს თვითმყოფადობის დაცვის უნარი... ამგვარი საზოგადოების დამონება და ასიმილაცია იოლია და სულაც არ არის საჭირო ძალის გამოყენება,** – წერს ბატონი ელიზბარ ჯაველიძე,– **რომაელებმა, სპარსეთმა, ბიზანტიამ, მონღოლებმა, ოსმალეთმა სისხლისმღვრელი ომების მიუხედავად ვერ შესძლეს ქართველი ერის დამონება და ასიმილაცია, რადგან გვიცავდა სულიერება, მართლმადიდებლობა, მამულის სიყვარული, ტრადიციები, ჩვენი კულტურა და, რაც მთავარია, ვერ გარდაქმნეს ჩვენი ცნობიერების სტრუქტურა, ვერ შეარყიეს ეროვნული მსოფლაღქმა...** (ელიზბარ ჯაველიძე, **"ავაჰმე, ჩემო მამულო!"**... ტბ. 2007 წ. გვ. 179).

### განგრძობადობის პერსპექტივაში, იმედოვნების თვალსაზრისით...

საქართველოში 1992 წლიდან მიმდინარეობს ტვინის გამორეცხვის პროცესი. ეს ოციოდე წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, გადაქცეულიყო ზომბირებულ მასად.

შეგვიძლია გავიხსენოთ გაუთავებელი სანახაობები უცხოეთიდან ჩამოყვანილი მომღერლებისა და მოცეკვავეების მონაწილეობით, რისთვისაც ასეულ ათასობით დოლარი იხარჯება.

ეს მომღერლები და მოცეკვავეები საქართველოში ნერგავენ მასობრივ კულტურას, ფსევდოკულტურას, ერზაცკულტურას, კიჩს. მიმდევრები და მიმბაძველები ბლომად გამოუჩნდათ. ჩვენი ტელევიზია გამუდმებით აჩვენებს ქართულად მოლაპარაკე ზანგთან ერთად, შოუბიზნესში დაკავებულ ე.წ. ცნობად სახეებს ბლანჟეებით, თავზე წაკრული ჭრელი ნაჭრებით, რომლებიც უკანალისა და კიდურების უგვანო ქნევით ვითომ მღერიან, თავიანთ აღტაცებას კი ამერიკული შეძახილით გამოხატავენ: უუუუ! ან ვაუ!

სხვაგვარ ამერიკანიზაციას ვერ წარმოიდგენ!

მათში ქართული წვეთი სისხლი არ დარჩა!

სპექტაკლებად ქცეულმა მასობრივმა კულტურამ, კიჩმა წალეკა ყოველგვარი ეროვნული. ეს ასეც უნდა მოხდეს, რადგან კიჩის დანიშნულება ეროვნულის გარყვნა-გადაგვარება, გაქრობაა.

კიჩი გათვალისწინებულია მათთვის, ვინც სანახაობით გაუმაძღარია, მაგრამ არ შეუძლია აღიქვას ნამდვილი კულტურის ფასეულობა.

**"Кич совершает победоносное шествие по всему свету, уродуя и вытесняя нациоальные культуры в одной неразвитой стране за другой... Кич представляет собой псевдодуховную пищу невежественных масс"** – წერს ამერიკელი სოციოლოგი კ. გრინბერგი (ციტირებულია წიგნიდან **А.В. Кукаркин, «По ту сторону расцвета». М.** 1981. გვ. 261, 263).

თითქოს დღევანდელ საქართველოში ცხოვრობდეს ეს პატიოსანი ამერიკელი სოციოლოგი! თითქოს ჩვენთვის წერდეს!

პოლიტიკური ოპოზიციის მიერ გამართულ საპროტესტო აქციებში შეინიშნება სანახაობის, სპექტაკლის ელემენტები.

გავიხსენოთ მრავალათასიანი მიტინგი, სადაც რეჟისორმა თუ ნარეჟისორალმა ლიდერმა ყელზე თეთრი ნაჭერი მოიხვია და მომიტინგეებსაც მოუწოდა ამის გაკეთება!

გავიხსენოთ მომიტინგეთა სტადიონზე მისვლა თეთრი პერანგებით!

თეთრი პერანგი და თეთრი ყელსახვევი საქმესთან ძალიან შორსაა. უბრალოდ, ეს სანახაობითი ეფექტია!

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპექტაკლი კი ტვინის გამორეცხვას იწვევს, ადამიანი კრიტიკული აზროვნების უნარს კარგავს, წყდება რეალობას...

უხილავი რეჟისორების მიერ დადგმული სპექტაკლები საქართველოს ტელევიზიის მეშვეობით საყოველთაო სანახაობად იქცევა. რუსთაველის პროსპექტზე, ბათუმში, ქუთაისში... დადგმულ სპექტაკლებს მთელი საქართველო უყურებს.

თავად საქართველოს ტელევიზია იქცა კიჩად. საკუთარი ნაცოდვილარი გადაცემები გამოირჩევა უნიჭობით, უხამსობით, პროვინციალიზმით, სნობიზმით, ფამილარობით, უაზრო ლაქლაქით, ლესბოსელობისა და პედარასტობის პროპაგანდით... საქართველოს ტელევიზია ქართველ მაყურებელს წამლავს უცხოური წარმოების გამომათაყვანებელი სერიალებით, პორნოგრაფიით, ფილმებით საზარელ მკვლელობათა შესახებ, სატანისტური კლიპებითა და როკ-მუსიკით... საქართველოს ტელევიზია მთელ ცხოვრებას შოუ-სანახაობად წარმოგვიდგენს, ურთულეს სოციალურ თუ პოლიტიკურ მოვლენებს სასაცილოდ იგდებს, მათ საბედისწერო მნიშვნელობას არად აგდებს, შაყირობს, ლაზღანდარობს, ტაკიმასხარაობს...

ტვინგამორეცხილი მაყურებელი, სპექტაკლის საზოგადოება სატანასთან ერთად გულიანად ხარხარებს!

ფრანგული ჟურნალი **"რეალიტე"** შეშფოთებით წერს: **"ჩვენ სასიკვდილო საფრთხის წინაშე ვდგავართ, თუ დროულად არ დავაღწევთ თავს ტელევიზიას"** (А.В. Кукаркин, გვ.197).

საინტერესოა, რას იტყოდა ფრანგული ჟურნალი საქართველოს ტელევიზიის თაობაზე?

საოცარი ის არის, რომ საქართველოს დღევანდელი ტელევიზიის შემქმნელი, გაოპოზიციონერებული კაცი ქართველი ხალხის გადარჩენას აპირებს!

სპექტაკლის საზოგადოება კი იმედით უყურებს!

რა მოელის საქართველოს **"განგრძობადობის პერსპექტივაში, იმედოვნების თვალსაზრისით"?**

ამგვარი ქართულით მეტყველებს ორგზის მინისტრი ქალბატონი! ასე მეტყველებენ კანონმდებლები და მთავრობის წევრები! ცნობადი სახეები!

ენა მსოფლაღქმაა. წამხდარი ენა წამხდარი მსოფლაღქმაა, ქართული ცნობიერების გაუკუღმართებაა!

რა მოგელის შენ, მშობლიურო ერო, როცა **"შენი მთავრები განდგომილნი არიან და ქურდთა თანამზრახველები; ყველას ქრთამი უყვარს და მოსაკითხებზე ნადირობენ"!**

რისი იმედი უნდა მქონდეს მე, როცა ვხედავ **"როგორ ქცეულა მეძავად ერთგული ქალაქი! სიმართლით სავსე იყო, სიმართლე სუფევდა იქ, ახლა კი კაცისმკვლელები არიან"** (ესაია, 1. 21, 23)!

**თენგიზ კუბლაშვილი**

# კვახაძე და რაზმაძე მსაჯის გინების გამო პოლიციამ დასაჯა

ეროვნული ჩემპიონატის 31-ე ტურის მატჩში რუსთავის **„ოლიმპსა“** და **„ზესტაფონს“** შორის მომხდარი ინციდენტისა და მსაჯის გინების გამო მასპინძელი გუნდის კაპიტანი ალექსანდრე კვახაძე და ფეხბურთელი ლუკა რაზმაძე ესტეკამ 5-5-მატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 600-600 ლარით დასაჯა.

ფეხბურთელებს უქმობა სეზონის ბოლომდე მოუწევთ. საინტერესოა, ფედერაციაში რა კომენტარს გააკეთებენ. როგორც წესი, მინდორზე თამაშის დროს მომხდარ ნებისმიერ ფაქტს ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს და ვერდიქტსაც ის აწესებს, რაც უკვე ზემოთ ვახსენეთ.

ალექსანდრე კვახაძე და ლუკა რაზმაძე რუსთავის პოლიციამ დააკავა. განყოფილებიდან ფეხბურთელები მხოლოდ გვიან ღამით გამოუშვეს. როგორც მათ პოლიციაში განუმარტეს, „ზესტაფონთან“ შეხვედრისას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე მათ გინების გამო პოლიციაში საჩივარი შევიდა, რის შემდეგაც მოხდა ფეხბურთელების დაკავება. მომხდარის გამო ლექსო კვახაძე აღშფოთებას ვერ მალავს და აცხადებს, რომ ამის თაობაზე მედიამ ხმა უნდა ამოიღოს, რადგან მსგავსი შემთხვევას მსოფლიოში პრეცედენტი არ ჰქონია:

**„დღეს დილით დაგვაკავეს როგორც კრიმინალები და მთელი დღის განმავლობაში არ გამოგვიშვეს, ვარჯიშიც კი გაგვაცდენინეს. იქვე მოაწყვეს სასამართლო და გაგვასამართლეს. ან 90 დღე ადმინისტრაციული დარღვევისთვის, ან 100 ლარი... და მოსამართლემ იქვე გამოგვიწერა 100-ლარიანი ჯარიმები ორივეს. მე თუ წესებს ვარღვევ მოედანზე, არსებობს ამის განმსჯელი შესაბამისი ორგანო და მან უკვე გამოგვიტანა განაჩენი. საქართველოში აქამდე არ მომხდარა, რომ მსაჯის გინებისთვის ფეხბურთელი 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაესაჯათ, ჩვენთვის კი ეს მოხდა. არ მგონია, რომ ახლაც გულშემატკივარს დაერეკა პოლიციაში ამის გამო. თუ უნდათ, ფეხბურთს თავი დაგვანებებინონ, თქვან პირდაპირ, ფაქტია, რომ ისეც ფედერაციაში აქ მათი უწყებიდან „აწყობა“ ვიღაცას. ფეხბურთს სულ რომ თავი დავანებო, მაინც ხმამაღლა ვიტყვი და მინდა, ყველამ თქვათ, რომ ის, რაც ხდება, არის მიზანმიმართული ზეწოლა ჩვენ მიმართ. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს?!.“**

საინტერესოა, თავად ფედერაცია რა პასუხს გასცემს ფეხბურთელებს ბრალდებაზე და არის თუ არა, საერთოდ, მომხდარის შესახებ საქმის კურსში.

ისე, მთელ ამ ისტორიაში გასაკვირი უკვე აღარაფერია, რადგან საქართველოს მიკირტუმა-ხელისუფალს ბიუჯეტის შევსების სხვა გზა არ დარჩენია, გარდა საკუთარი ხალხის ყვლეფა-დაჯარიმებისა, სულაც არ გამიკვირდება, რომ ხვალ-ზეგ იგივე საჯარიმო სანქციები დააკისრონ სკოლის მოსწავლეებს გინებისა და **"შატალოებზე"** სიარულისათვის, ხოლო, ხელისუფლებას კიდევ რომ გაუჭირდეს ბიუჯეტის შევსება, შეიძლება სასამართლოების მეშვეობით საჯარიმო სანქციები დააკისრონ ბავშვთა ბაღის მოსწავლე-კონტინგენტს ენის მოჩლექის საუბრისათვის, ან თეატრის მსახიობს – შეცინებისათვის!.

მოკლედ, დიდი მურაბისაა არ იყოს: **"აქ რომ საქმე ხდება, მტრისას"...**

ჩვენ კი ვითმენთ ხელისუფლებისაგან ამგვარ დამამცირებელ ქმედებებს და დროულად თუ არ ავიღებთ ხმა, მალე, ალბათ, სახლებში შემოგვეჭრებიან და კიდევ უამრავ უკადრის რამეს გვაკადრებენ!

ერთი, **"გალაწუნებასავით"** ომახიანი შეძახილი უნდა სააკაშვილის და მის **"ნაციონალურ"** ხელისუფლებას, რომ დამფრთხალებმა უკანმოუხედავად მოკურცხლონ საქართველოდან. მათ მთავარ დასაყრდენს ახლა მხოლოდ პოლიცია და შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ და იმიტომაც ჰპირდებიან პოლიციელებს მაღალ ხელფასებს, ბინებს და ყველა ამქვეყნიურ სიკეთეს, რადგან იციან, რომ ქართველი ხალხის სიძულვილისაგან მათ მხოლოდ პოლიცია და ჯარი თუ დაიცავს.

მაგრამ, არც ეს **"მხარდაჭერა"** იქნება უსასრულო, რადგან პოლიციელებიც და ჯარისკაცებიც, ბოლოს და ბოლოს, ქართველები არიან და როდისმე ისინიც მიხვდებიან, რომ მათაც ასხამენ თავზე ლაფს ვიღაც მიკირტუმას თანამზრახველი გადამთიელები და საკუთარ ხალხს ამოუდგებიან მხარში!

აი, მერე, მაგათ რომ საქმე დაემართებათ, მართლაც **"მტრისას"**...

**"ილორი"**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლხური კოშკის წიგნთსაცავში

*"ეპისკოპოსი მეუფე ბენედიქტე (ბეჯითი ჯალაღონია) 1971 წელს ექვსი თვის მანძილზე მუშაობდა მამაჩემის პირად მდივნად და ჩაწქერილი იყო ჩვენს ბინაზე კოლხურ კოშკში. მამაჩემი მას ახასიათებდა როგორც პატიოსან, შრომისმოყვარე და ერუდირებულ კაცს. იგივე შემიძლია დავადასტურო მეც".*
**ზვიად გამსახურდია.**

(გაზ. **"კოლხური კოშკი"**, 1996 წლის 13 თებერვალი, **"წერილი ვახტანგ ესვანჯიას"**, 1979 წ. ედიშერ გიორგაძის გამოცემა).

წიგნთსაცავში, მწერლის პირად მდივნად მუშაობისას, 1971 წელს, ხშირად მხვდებოდა კონსტანტინე გამსახურდიას სახელზე მოსული წიგნები სამახსოვრო წარწერებით. ახლად მოძღვნილები კი ჯერაც **"დავით აღმაშენებლის სიგრძე მაგიდაზე"** ელაგა. ერთი მათგანი, **"საადის უკანასკნელი გაზაფხული"** გადაშლილი ედო წინ. წიგნებისა და ავტოგრაფების ავტორები არიან მწერლები, მეცნიერები, რედაქტორები...

ნასახსოვრები წიგნებ მრავალმხრივ მიმზიდველია: სამახსოვრო წარწერები ხომ ავტოგრაფებია და მათი ერთი ნაწილი სხარტად გამოთქმული რეცენზიაა კ. გამსახურდიას პიროვნებასა და მისი შემოქმედების მისამართით. ნასახსოვარ წიგნებში უხვად გაბნეულია გამსახურდიასეული შენიშვნები, რომელიც ეხება წიგნის თუ მისი ცალკეული ადგილების ავ-კარგიანობას. სასოებით იხსენებენ მირანდას, მწერალს შემოქმედებით მეუღლეობასაც რომ უწევდა და ა.შ.

აი, ორმოცი წლის წინანდელი ავტოგრაფი: **"ამხ. კონსტანტინე გამსახურდიას! მე ვაფასებ თქვენში დაუშრეტელ ენერგიას და ქართული სიტყვის სიყვარულს. თქვენი ოსტატობითა და თქვენი პრინციპიალობით მწერალთა შორის თქვენ უთუოდ მოწინავე ხართ. კარლო. 28. 03. 1933. ტფილისი"**. პოეტ კარლო კალაძის სიტყვებია ეგ. ორმოცი წლის შემდეგ, კ. გამსახურდია უფრო გაზრდილა და ამას მოწმობს ახალი ავტოგრაფი, ორტომეულისათვის რომ გამოუყოლებია და რაც თვით კ. გამსახურდიამ გამოაქვეყნა (ჟურნალი **"დროშა"**, 1970, კარლო კალაძე).

**"ქართული პროზის მამაღმერთს, კონსტანტინე გამსახურდიას მისი სეხნიასაგან. 05. 10. 70. თბილისი"**. – იწერება კონსტანტინე ლორთქიფანიძე, თავადაც წონიანი მწერალი, ვისთვისაც **"პროზის მამაღმერთი"**, მწერალთა შორის **"საყვარელი"** ყოფილა და გარწმუნებთ, მონაძღვნი წიგნით: **"ქართული სიტყვის დიდოსტატს, ჩემს საყვარელ მწერალს"**-ო.

**"ქართული სიტყვის გამოჩენილ ოსტატს, მეგობარს, უფროს ამხანაგს კონსტანტინე გამსახურდიას, დიდი პატივისცემით. ვ-ტორი. 1962."** – სერგი ჭილაია.

**"ძველ მეგობარს კონსტანტინე გამსახურდიას ძველთა დროთა მოსაგონებლად, ავტორისაგან. 18. III. 1958"** – ეს აკაკი შანიძეა და უფრო ადრინდელ მინაძღვნში ასე ეხმიანება: **"ძვირფას კ. გამსახურდიას, შიგ "მარცხენა თვალით" ხანდახან ჩასაჭვრეტად. ა. შანიძე. 03. XI. 1931"**.

გზა და გზა, მიძღვნილი წიგნები გვამცნობს ოჯახის ნათლიებსაც: **"ძვირფას მირანდას და კონსტანტინე გამსახურდიას, ძმური სიყვარულით, ზვიადის ნათლიისაგან. აკაკი გაწერელია. 13. X. 53. ტფილისი"**. ამ წარწერითაა წიგნი **"ქართული კლასიკური ლექსი"**. აკაკის თვით ნათლულისათვისაც უძღვნია გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული: **"ძვირფას ზვიად გამსახურდიას, სიყვარულით, მისი ნათლიასაგან. ა. გაწერელია. 31. III. 59. თბილისი"**.

**"ჩემს პატარა კონსტანტინეს (მეორეს) კოცნით და სიყვარულით. შ. ყაუხჩიშვილი, უღირსი ნათლია"**-ო აწერია წიგნს **"ბიზანტიური ლიტერსტურის ისტორია"** (ერთხელ ზვიადმა თქვა: ჩემს წერილში **"კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა"**, ფიქრად მქონდაო შენი **"წიგნთსაცავის"** ამ ამონაწერთა გამოყენება).

გზა და გზა, ვეცნობით ოჯახის წევრთა შერქმეულ სახელებსაც: **"ჩემს ძვირფას იადას, ბაბუკას, თაგიდას და ბუაჩის დიდი სიყვარულით. მილო ახობაძე. 1968 წელი, იანვრის 25"**. (იადა – მირანდას ბავშვობის ჟამამდელი სახელი ყოფილა, ბაბუკა – ბატონი კონსტანტინეა, თაგიდა – თამარი-ო, მიხსნის კოკოს ბებია).

**"კონსტანტინე გამსახურდიას ძმური ძღვენი რედაქტორისაგან. 03. VIII. 1940"** – ეს სიმონ ჯანაშიაა.

**"ჩვენს დიდოსტატს კონსტანტინე გამსახურდიას ღრმა პატივისცემით, დიდი სიყვარულით. ირაკლი აბაშიძე. 1963. IX"**.

**"ჩემს ძმას და მეგობარს კონსტანტინე გამსახურდიას, ბრწყინვალე მწერალს, გულითადის სიყვარულით და ერთგულებით, პავლე ინგოროყვა. 30. III. 1955"**.

უკრაინულად გამოცემულ **"დიდოსტატის მარჯვენას"** მთარგმნელის ოლექსა სინიჩენკოს მიერ შესრულებული ქართული წარწერა ამშვენებს: **"ქართული მწერლობის დიდოსტატს კონსტანტინე გამსახურდიას, ღრმა პატივისცემით, მთარგმნელისაგან. კიევი, 1971 წლის 4 თებერვალი"**. ეს წიგნი ნებში მოიქცია **"ბაბუკამ"** და თქვა: **"რაღაც მემცრობაო"**. (იქვე ვიყავით ზვიადი და მე).

კონსტანტინე გამსახურდიაში ხედავენ: **"ქართული მხურვალე სიტყვის მშვენებას"** (შ. ნუცუბიძე), **"ქართული ეროვნული საქმის დიდ მოამაგეს"** (ა. ზურაბიშვილი), **"ქართული ერის დიდებას და სიამაყეს"** (კ. დანელია), **"საყოველთაოდ ცნობილ რომანისტს"** (ჰ. აბაშიძე), **"ქართველი ხალხის მედროშეს"** (დ. კაპანაძე).

მესახსოვრეებიდან ზოგ ავტორს თვით კ. გამსახურდიასაგან ჰქონების **"შეპირება"**-ო. გავიხსენოთ: **"მე პირადად რამდენიმე ქართველ პოეტს... კ. ჭიჭინაძეს, ალექსანდრე აბაშელს, კ. ლორთქიფანიძეს, სიმონ ჩიქოვანს და სხვებს დავუთქვი ასეთი შეპირება: თქვენი წიგნი რომ გამოვა და გამომიგზავნით, მე მას სათანადო შეფასება მივცემ-მეთქი"** (კ. გამსახ. რვატომეული, ტომი VII, გვ. 359).

ზოგს მიუძღვნია **"ავტორის დავალებით"**. ანა ნატროშვილის დავალებით ორი წიგნი მოურთმევია კიტა აბაშიძეს. ერთი მათგანია **"მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი"**, ასეთი წარწერით: **"ავტორის დავალებით, კონსტანტინე გამსახურდიას, მეგობრული სიყვარულით ვუძღვნი ამ წიგნს. კ. აბაშიძე. 06. 02. 25 წელი"**.

ზოგი უძღვნის როგორც **"კარგად მოსაგონარ სიყრმის ამხანაგს"**. ვიქტორ ნოზაძეს სანტიაგო დე ჩილედან გამოუგზავნია **"ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება"**. მისგანვეა **"ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება"** წარწერით: **"კ. გამსახურდიას, წიგნთსაცავისათვის"**.

საფრანგეთიდან მიუღია ჟურნალი **"ბედი ქართლისა"**-ს 25-ე **"საზეიმო"** ნომერი, ცოლქმრის ნინო ქურციკაშვილისა და კონსტანტინე სალიასაგან ავტოგრაფით: **"დიდად ძვირფას ბატონ კონსტანტინეს ეგზავნება ქართველოლოგიის ორგანო "ბედი ქართლისას" საზეიმო ნომრის პირველი ეკზემპლარი უმანკო, პატარა ქართველი გოგონა თამარ თენეიშვილის ხელით. უღრმესი პატივისცემით, ნინო სალია, კ. სალია. პარიზი, 05. VIII, 1968"**.

და ბევრის მთქმელია თუნდაც ასეთი ავტოგრაფები: **"ჩემს მდიდარ და საყვარელ მეზობელს, ცხოვრებაში, მწერლობაში"** (ვიქტორ გაბესკირია). **"ზვიად გამსახურდიას და, ირიბად, ბატონ კონსტანტინეს, მოკრძალებით"** (გაბრიელ ჯაბუშანური).

კ. გამსახურდიას გვერდით არაერთი მესახსოვრე (ანა კალანდაძე, ა. გაწერელია, ა. ვაჩნაძე, ე. ვირსალაძე, მ. ლორთქიფანიძე) – სიყვარულით იხსენებს მირანდას. ნეტა თავათ განახათ ხელწერა გურამ დოჩანაშვილისა! რა უბრალოებითა და მღელვარებით ჩაუწერია მას თავისი **"ნაბიჯის"** ფურცელში საკუთრივ მირანდასადმი მიძღვნა: **"ჩვენს საყვარელ, ლამაზ, კეთილ, კარგ ქალბატონ მირანდას შვილური სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით. გ. დოჩანაშვილი"**.

მესახსოვრეთა შორის არიან ი. ჯავახიშვილი, თ. სახოკია, ი. აბულაძე, ნ. კეცხოველი, ვ. ბერიძე, შ. ჩხეტია, ი. დოლიძე, ვ. დონდუა, ა. აფაქიძე, ა. ცანავა, დ. ქობულაშვილი, ქ. გრიგოლია, გ. წერეთელი, ა. დავითიანი, დ. კალანდაძე, მ. კახაძე, ნ. აგიაშვილი, ა. მაყაშვილი, ე. ახვლედიანი, მ. დავითაშვილი, დ. კობახიძე, ი. სურგულაძე, ხ. ბერულავა.

რიცხობრივად ყველაზე ბევრია ს. ყაუხჩიშვილისა და ა. შანიძის მიძღვნილი წიგნები. გ. ჩუბინიშვილის **"ქართული ოქრომჭედლობის ალბომიც"** წარწერიანია: **"ბუნებისმეტყველებისა და ისტორიკოსთა საბჭოსაგან"**.

ვინ არ იცის მწერლის **"გარდაუვალი ვნება ცხენოსნობისადმი"**, ტრფიალი მისი **"გემმებისა და ნადირობისადმი"**. უძღვნიათ კიდევაც: **"ცხენოსნობის პრინციპები"**, **"საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემმები"**, **"ქართული სამონადირეო ეპოსი"**.

წიგნთსაცავში ჰყოლია **"თავხედი"** მომძღვნელებიც. ასეთია გ. ვერმიშევი თავის **"ამირსპასალარით"**. (რევაზ ჯაფარიძის წერილში **"რაც მტრობას დაუნგრევია"**, რომელიც შესულია მის წიგნში **"აწონილი სიტყვა"**, ვერმიშევი და მისი წიგნი მიწაშია ჩამარხული). აი, რა უთქვამს **"ბაბუკას"**: **"ვინმე ვერმიშევმა მოჩმახა მართლაც გაუგონარი ამბავი თამარის წინააღმდეგ და მას თავხედობა ეყო ჩემთვის გამოეგზავნა თავისი უბადრუკი გალიმათია. ეს იგივეა, კაცს დედა შეაგინო და იმავე დღეს საკუთარი ფოტოსურათი გამოუგზავნო"**.

გამსახურდიასეული შენიშვნები?

გადავფურცლოთ კარლო კალაძის **"უჩარდიონი"**, 1933 წლის გამოცემა: **"სადღეგრძელოს"** სამ სტროფს 64-ე გვერდზე ახლავს შენიშვნად: **"ძალიან კარგია"**. იქვე, მე-19-ე გვერდი: **"სწევდნენ თამბაქოს და გაზეთებით, თემაღმსაკომის კიბეზე ისხდენ"**, სტრიქონებიდან პირველის ბოლოს შენიშნულია: **"რუსიც"**, მეორის ბოლოს – ქართულად: **"არ ვარგა!"** კ. კალაძისვე ორტომეულის I ტომში, ლექსი, **"მხედრულის"** ბოლო ნაწილს (გ. 30) ფურცლის კიდეზე ჩამოსმული აქვს ხაზი, ხაზსა და ლექსს შორის კი ჩაწერილია: **"კარგია"**.

ამ სიტყვითაა მოწონებული წიგნის სხვა სტროფები 376, 378, 397-ე გვერდებზეც – ამ წიგნშივე, სხვადასხვა მნიშვნელობის ჩანანიშნებს ვპოულობთ 17,19, 37, 39, 46, 56, 61, 63, 65, 69, 71, 80-81, 358, 361, 363, 371, 383, 392 და 404 გვერდებზე. არც ამ ჩანანიშნებს, არც ზემორე ამოწერილს, კ. კალაძის ორტომეულის მიმომხილველ წერილში (იხ. მითითება აქვე, მესამე აბზაცი) არ უმჟღავნებია თავი.

ნასახსოვარი წიგნების მნიშვნელობა აქამდე თქმულით არ ამოიწურება. ავტოგრაფებისა და გამსახურდიასეული შენიშვნებისაგან შედგენილი ფოტო-ალბომი უკეთ და უფრო მეტსაც იტყოდა, რაც განზრახულია და რაზედაც ზვიად გამსახურდიამ თქვა: ეგ კარგი ჩანაფიქრია.

**ეპისკოპოსი ბენედიქტე**
**(ბეჯითი ჯალაღონია),**
**1971, გაზ. "კოლხური კოშკი", 1996.**
**(ედიშერ გიორგაძე),**
**გაზეთი "დარჩელი", 2001, (ანტონ არნანია).**

# რატომ დადის კოკო გამსახურდია ვანო მერაბიშვილის მანქანით



ლადო სადღობელაშვილმა და სანდრო ბრეგაძემ გასული წლის ივნისში კონსტანტინე გამსახურდიას პარტია **„თავისუფლება"** დატოვეს. მათ პარტიიდან წამოსვლის მიზეზებზე არაერთხელ ისაუბრეს, რასაც პარტია **„თავისუფლების"** ლიდერის აღშფოთება მოჰყვა.

როგორც ამავე პარტიის ყოფილი წევრი, ამჟამად მოძრაობა **„მამული, ენა, სარწმუნოების"** ლიდერი ლადო სადღობელაშვილი საქინფორმთან საუბარში ამბობს, კონსტანტინე გამსახურდია მის დაპატიმრებას პირადად ვანო მერაბიშვილს სთხოვს.

ლადო სადღობელაშვილი: **„კოკო გამსახურდიას საპარლამენტო მოღვაწეობა არასდროს შეესაბამებოდა იმ ეგრეთ წოდებულ ვალდებულებას, რომელიც მან პარლამენტში შესვლის დროს აიღო თავის თავზე. საქმე ეხება ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოების გამოძიებას. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ კოკოს გაჩინოვნიკების შემდეგ მისი დამოკიდებულება რადიკალური ოპოზიციის მიმართ აბსოლუტურად შეიცვალა. ეს ჩანდა მის არაერთ საეჭვო განცხადებაში, რომ არ მიიღებდა მონაწილეობას ქუჩის აქციებში. მისმა გადახრამ ხელისუფლებისკენ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ცოტნე გამსახურდიას დაკავებაზეც კი ვერ ან არ ამოიღო ხმა. სხვათაშორის, ცოტნე გამსახურდიამ მას ციხიდან წერილი მისწერა, სადაც სთხოვდა სტრასბურგში პრესკონფერენციის ჩატარებას მისი გათავისუფლების თაობაზე, თუმცა ბატონმა კოკომ ეს კონფერენცია არ ჩაატარა და მიზეზად უსახსრობა დაუსახელა. კონფერენცია 2000-3000 ევრო ჯდებოდა და მას ეს თანხა არ აღმოაჩნდა".**

– თქვენთან ერთად პარტია **„თავისუფლება"** სანდრო ბრეგაძემაც დატოვა...

– პარტია დატოვეს სანდრო ბრეგაძემ და კიდევ რამდენიმე წევრმა. სხვათაშორის, სანდროს წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ეს ამბავი იყო, თუმცა პარტიაში განხეთქილების მიზეზი მხოლოდ ეს არ ყოფილა; მძაფრად შეიმჩნეოდა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ტენდენციები. მაგალითად, ადგილობრივი არჩევნების შემდგომ მისი ცოლის ძმის, კარლო ბარდაველიძის, დანიშვნა კონტროლის პალატაში, ასევე, პარტიის მუშაკის, კრიმინალური პიროვნება მალხაზ გორგასლიძის ფიქტიური დანიშვნა მარეგულირებელ კომისიაში ქუთაისში 2000-ლარიანი ხელფასით, მაშინ, როცა ეს პიროვნება ქუთაისში სულ ორჯერაა ნამყოფი. ჩემი ინფორმაციით, ამ ხელფასის ნახევარიც კოკოს ჯიბეში მიდიოდა. ასევე, მისი არჩევნებში მონაწილეობა, გამიზნული დამარცხება და **„კარდაკარის"** 100 000 ლარის ჩაჯიბვა. მოვითხოვ, რომ ეს ფაქტი გამოძიებულ იქნეს და დაანგარიშდეს კერძო აუდიტით. თუ ასე არ არის, რასაც ვამბობ, მაშინ მიჩივლოს ცილისწამებისთვის. გარწმუნებთ, რომ ყველაფრის დამტკიცება შემიძლია. ეს არის კორუფციული დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც უნდა დაისაჯოს. მინდა, საზოგადოებას ისიც ვუთხრა, რომ ყოველწლიურად პარტია **„თავისუფლებას"** 70 000 ლარი ერიცხება, რომელიც მხოლოდ კოკოზე იხარჯება.

**– ანუ ის ამ ფულს არა პარტიის ხარჯებისთვის, არამედ საკუთარი თავისთვის იყენებს?**

– ეს თანხა, წესით, უნდა მოხმარდეს პარტიის განვითარებას. აბა, მითხარით, რომელ განვითარებასა და სრულყოფაზეა ლაპარაკი, როცა ამ პარტიაში სულ 5 კაცია, არ აქვთ ოფისი და არანაირი ხარჯი... სად მიდის ეს ფული, თუ არა კოკოს ჯიბეში?

პირდაპირ ვაცხადებ, რომ კოკო ბატონს პარლამენტის 317-ე და 318-ე ოთახებში გახსნილი აქვს ფულის კეთებისა და **„ნაციონალური მოძრაობის"** ჩინოვნიკებთან სამათხოვრო ჯიხური, დიახაც, სამათხოვრო! და ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მისი ხვეწნა-მუდარა შვეიცარიაში ან ავსტრიაში ელჩობაა. ყოველივე ჩემ მიერ თქმულისა და მისი უმსგავსობის ფარდის ახდის შემდეგ ბატონი კონსტანტინე დაიბოღმა და არაერთხელ სცადა კიდეც სამაგიეროს გადახდა.

მაქვს უტყუარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი პირადად სთხოვდა ვანო მერაბიშვილს ჩემს დაპატიმრებას, შემდეგ კი თავისი ხელისბიჭის, პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრის, ლუკა მაჭუტაძის დახმარებით, ვაკე-საბურთალოს პოლიციაში განცხადება დაწერეს ჩემ საწინააღმდეგოდ. სხვათაშორის, ამავე ლუკას დახმარებით პარტიის არაერთი წევრისთვის, კერძოდ, მიხეილ ამისულაშვილისთვისაც მოუწყვიათ პროვოკაცია, რომელმაც ჩემთან ერთად დატოვა ეს პარტია.

არ ეკადრება დიდი კონსტანტინესა და ზვიადის შთამომავალს მსგავსი კაცთგაწირვა, თუმცა რა გასაკვირია, ამ პიროვნებამ საკუთარი ძმის – ცოტნე გამსახურდიასა და მეგობრის – სანდრო ბრეგაძის გათავისუფლების წერილის მოთხოვნასაც არ მოაწერა ხელი.

– ლადო, არაერთი ლანჩხუთელის თქმით, ლელოზე – თამაშზე ლანჩხუთსა და შუხუთის საზღვარზე, რომელიც, ტრადიციულად, აღდგომა დღეს იმართება, კონსტანტინე გამსახურდია ვანო მერაბიშვილთან ერთად მისულა და მთელი თამაშის განმავლობაში გვერდიგვერდაც მსხდარან. რას გვეტყვით ამის შესახებ?

– არაფერი მიკვირს, რადგან ეგ პარტია, თავის ლიდერთან ერთად, არის წითელი, რომელსაც არც სინდისი აქვს და არც ნამუსი.

**საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი"**

## ბირი

ჟი თუნცუ დო თუდო
ჭვენცუ,
გვალასუ კინე გვალა მობუ,
შქასუ ენოძუ გინძასუ უჩა
წკვარამია დიდი რობუ.
გიმე ინგირი მისირთინ-
უნორჩი
მობურსუნცუ გვალო ყალა,
ქვიშათ ოჩქვანცე კირდეში
ჭუასუ
წყურგილეფიშ ნაჩხარჩხ-
ალა.
მელენი კირდე მუნორთელი
ცარიანტაშე გიმეჯინე,
გოიკვირდუ თიში სისქვამე
ქადეკვირე ქიგიჭინე.
თუდო ჯინჯისი გუთურჩხ-
უნცუ
ინგირი ტყორტყოში ჟვეპუ-
რითუ,
ნირსი ეხორცქუ ჩე თუმა-
ჯგუა
თიში რგილი ყებურითუ.
მორძგვიშე ნესკრა გაკათოუ
ბჟეწყარეფიში ნაჭნარჭ-
ვალა,
საპონიში თქვეთქვი ჯგურა
ირემიში გითანჭვალა.
უკული წელცუ გოფაჩუნქუ
ხაიშურასუ ქიკათუა,
მიკახორცქუქუ მელე-მოლე
ირფელცუ ართო ურგინ-
ჯუა.
ვაიჩქუ გვალა, ვაიჩქუ რზენი
ირფელცუ ოკო ენირზენი,
შონეში გვალა გეგმარჩხი
დო
ზღვა თურქეთსა გემიშ-
არზენი.

**მურმან ფიფია-მახარიელი**
**2003 წელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მოვიგოთ არჩევნები

*(ანუ პოლიტიკური იმიჯის ფორმირება საარჩევნო კამპანიის პერიოდში)*

**ვაგრძელებთ პუბლიკაციებს ბეჭდვას ახალგაზრდა ქართველი პოლიტოლოგის ზურაბ ჯამბურიას ამავე სახელწოდების წიგნიდან.**

კანდიდატის იმიჯი ყველა პარამეტრებში უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების მოლოდინს, ამ შემთხვევაში მთავარია არა პოპულარობა. არამედ უპასუხოს დროის მოთხოვნებს, შეფასებებს და წარმოდგენებს.

კანდიდატის იმიჯი მისი სურათია ამომრჩეველთა თვალში, რომელიც რიგ შემთხვევაში კანდიდატზე მნიშვნელოვანი ხდება, რადგანაც არჩევნებში ირჩევენ იმიჯს და არა კონკრეტულ პიროვნებას. ამომრჩეველი არასოდეს გადაეღობება პირისპირ კანდიდატს, პრაქტიკულად არ იცნობს მას, მაგრამ ის აუცილებლად შეეჯახება მის იმიჯს, რადგან მასობრივ ცნობიერებას მრავალ პარამეტრებთან მუშაობა არ შეუძლია, ამიტომ, კანდიდატს აღიქვამს, როგორც იმიჯს, რომელიც მოქცეულია ორი-სამი მახასიათებლის ჩარჩოში.

პროფ. მ. მაცაბერიძე გამოყოფს იმიჯის რამდენიმე პარამეტრს:

– იმიჯი პოლიტიკოსთან ერთად თანაარსებობს და მას განასახიერებს, თუმცა შეიძლება იგი შეიცვალოს, პიროვნება კი არ იცვლება;

– იმიჯი იდეალური სახეა, მისი საჯაროობა რეალურობას განაპირობებს, თუმცა იგი არ არის რეალური, ის მხოლოდ წარმოდგენაა;

– იმიჯი უნდა შეესაბამებოდეს პიროვნება-პროტოტიპს, რადგან საზოგადოებისათვის უფრო მეთად დამაჯერებელი გახდეს;

– იმიჯი აპელირებს გრძნობებთან, ამიტომ იგი უნდა იყოს პირველ რიგში გამომხატველი და შემდეგ უკვე კონკრეტული მიზნისკენ მიმართული;

– იმიჯს პოლიტიკურ სუბიექტთან შედარებით სიმარტივე ახასიათებს.

პოლიტიკური სუბიექტის იმიჯი არის მასობრივი შეგნების აუცილებელი კომპონენტი, რომელიც კომუნიკაციის საშუალებით შეტყობინების ყველაზე ეფექტური სახეა. იგი **„იწრთობა“** უნდობლობის და უყურადღებობის ფილტრების გავლის შემდეგ (გზით), რომელიც ახასიათებს მასობრივ შეგნებას და ყალიბდება მასზე დადებითი დამოკიდებულება (აზრი, შეხედულება).

პოლიტიკური იმიჯი მასებზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. ზემოქმედება ხორციელდება **„შეყვარება“-„მოწონების“** სტრატეგიით. აქ ძალდატანებას ადგილი არ აქვს. იმიჯის არსებობა იმის მანიშნებელია, რომ საზოგადოება მასზე დადებითად რეაგირებს. უარყოფით და კონფლიქტურ იმიჯს არავინ არ ქმნის, მისი გამოუყენებლობიდან და უმიზნობიდან გამომდინარე. მაგრამ აგრესიული ლიდერის იმიჯს სპეციალურად აყალიბებენ, რომელიც ხდება სცენური სატყუარა, მანამდე, სანამ საზოგადოებას მასზე უარყოფითი დამოკიდებულება არ ჩამოუყალიბდება. მაგ. ანალოგიურად მოხდა მიხეილ სააკაშვილის იმიჯის ჩამოყალიბება: იგი იყო **„უკომპრომისო“** კორუფციასთან და უსამართლობასთან ბრძოლის საქმეში, **„ებრძოდა“** დანაშაულებრივ რეჟიმს. მისი ემოციური (აგრესიული) გამოვლინებანი ხალხის თვალში **„უსამართლობასთან მებრძოლი რაინდის“** იმიჯის დანერგვას ემსახურებოდა.

პოლიტიკოსის იმიჯი არის საზოგადოებისადმი ნამდვილი პატივისცემის გამოხატულება, რომლის დროსაც გათვალისწინებულია აუდიტორიის მოთხოვნა და მოლოდინი. ეს არის პოლიტიკოსის მოქმედების თავისებური კორექცია. ყოველივე ამას დიდ ყურადღებას აქცევდნენ ყველა დროის საშინელი დიქტატორებიც კი. მაგ. ჰიტლერი, დასავლელი ლიდერების მსგავსად, აუდიტორიის (ხალხის) წინაშე სათვალით არასოდეს გამოდიოდა, თუმცა იგი ძალიან სჭირდებოდა, რომლის შესახებაც ინფორმირებული იყო სულ რამდენიმე კაცი, მისი უახლოესი გარემოცვიდან. ამ მიზეზის გამო მისი გამოსვლის ტექსტებს დიდი ასოებით ბეჭდავდნენ.

პოლიტიკური იმიჯის მიზნის მისაღწევად კანდიდატზე პირადი ინფორმაციის წარმოშობა და მასობრივ შეგნებაში დანერგვა აუცილებელია. კანდიდატისა და ამომრჩევლების ურთიერთობის დროს, ეს უკანასკნელნი იგებენ უფრო სხვა ინფორმაციას, გარდა სიტყვიერისა. რადგან კანდიდატის ქცევის მანერა, ჩაცმის სტილი, ადამიანებთან ურთიერთობის უნარი და ა.შ. ხშირად უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა მასზე. ამიტომ აუცილებელია კანდიდატის იმიჯის დახვეწა, კორექტირება.

პოლიტიკური იმიჯი ზემოქმედებს მასობრივ შეგნებაზე, რადგანაც ეს უკანასკნელი ინდივიდის ცნობიერებისგან განსხვავებით მარტივ ხასიათს ატარებს და გაცილებით ინერტული და უყურადღებოა, ვიდრე ცალკე აღებული ადამიანი. მასობრივი შეგნება არ უღრმავდება იმიჯის არსს. უფრო მეტიც, მას დამატებით მახასიათებლებსაც მიაწერს, რის გამოც ზღვარი რეალურსა და სიმბოლურს შორის ქრება და კანდიდატი (მისი იმიჯი) საზოგადოების თვალში იდეალის სახით წარმოჩინდება.

მასობრივი შეგნების „დაპყრობა“ პოლიტიკოსის სახის ***მითოლოგიზაციითაც*** ხორციელდება. ამ დროს მასობრივ შეგნებაში აირეკლება მკაფიო სურათი და ხორციელდება სიმბოლური ინტერპრეტირება, რომელიც აღქმის პროცესს ხელს უწყობს, რის შემდეგაც გასაგები ხდება პოლიტიკოსი, მისი იმიჯი.

მითოლოგიზაციისას, სიმბოლური ინტერპრეტაციის პროცესში ხორციელდება ნეგატივთან ან პოზიტივთან კანდიდატის სახის დაახლოება, გაიგივება, რომელიც მასობრივ შეგნებაში იოლი ფორმით გადადის. მაგ. ედუაერდ შევარდნაძე **„თეთრი მელა“**, ასლან აბაშიძე **„აჭარის ლომი“**, აშშ ექს-პრეზიდენტი ბილ კლინტონი **„ეშმაკი ბილი“** და ა.შ.

ცნობილია, რომ მასობრივ შეგნებაში სპეციალურად ჩამოყალიბებული (გავრცელებული) მითი, სიმბილიზმი ხელს უწყობს ინფორმაციის, კანდიდატის იმიჯის უკეთ გაგებას, აღქმას ან საზოგადოების „დაპყრობას“. იმიჯიდან მითზე გადასვლა ერთი იმიჯის მეორე იმიჯთან შეხამებით ხორციელდება. მასობრივ შეგნებაში იგი გააზრებულად უნდა იქნას წინასწარ კოდირებული. ისევე როგორც ეს ხდებოდა 2003 წლის 2 ნოემბრის წინასაარჩევნო კამპანიის დროს და რევოლუციის შემდგომ პერიოდში ნინო ბურჯანაძეს მიმართ. თითქოს იგი **„ჰგავდა“** თამარ მეფეს და ამიტომ გახდებოდა **“ერის ლიდერი“** მეფე-თამარის მსგავსად და **„გადაარჩენდა“** საქართველოს. მისი შედარება თამარ მეფესთან, იმ მეფესთან, რომელიც ერის სათაყვანებელი და სიწმინდის სიმბოლოა, ხელს უწყობდა ნინო ბურჯანაძის შესახებ მსჯელობის დაწყებას და მისი პიროვნებით დაინტერესებას. რეალურად კი თამარ მეფე გმირი მეფეა, მაგრამ ნინო ბურჯანაძე წარსულში არც გმირი ყოფილა და არც უცდია, რომ გამხდარიყო. თუმცა ამ მეთოდმა იმუშავა და იგი საზოგადოებაში მაღალ რეიტინგსაც ინარჩუნებდა, გარკვეული დროის განმავლობაში.

პოლიტიკოსის იმიჯი ემყარება პირად მახასიათებლებსაც: ოჯახი, ბავშვები, წარსული, ჰობი, ცხოველები და ა.შ. აქ მთავარი პოლიტიკური რეალიები არ არის, რადგან საზოგადოებას არ აინტერესებს პოლიტიკოსი – მხოლოდ აბსტრაქტული ობიექტი, არამედ ცოცხალი ადამიანი, რომელსაც ანდობს თავის ბედს, ამიტომ მასზე ყველანაირი ინფორმაცია აინტერესებს.

ამრიგად, საარჩევნო კამპანიის დროს კანდიდატის (პარტიის) პოზიტიური იმიჯის ფორმირება და გამოყენება არჩევნებში წარმატების მიღწევის და ელექტორატის მოზიდვის განმსაზღვრელი ფაქტორია, რადგან ამომრჩეველთა უმეტესობა არ იცნობს კანდიდატებს, არა აქვს მასთან პიროვნული ურთიერთობის შესაძლებლობა, რის გამოც ისინი (ამომრჩევლები) ამ უკანასკნელთა სიმბოლურ წარმოდგენებზე, ანუ შექმნილ იმიჯზე რეაგირებენ. ამიტომ, არჩევნებში კანდიდატის წარმატების **„ფორმულა“** სწორად ჩამოყალიბებული იმიჯი ხდება.

## თავი II
## საარჩევნო კამპანიის დაგეგმვისა და წარმოების მეთოდები

საარჩევნო კამპანიის არსის და ფუნქციის გარკვევამდე, საჭიროა ვისაუბრებდეთ და გავარკვიოთ თუ რას წარმოადგენს არჩევნები? და რა დანიშნულება აქვს მას?

### არჩევნები და მისი დანიშნულება

***არჩევნები*** ნებისმიერ სახელმწიფოში დემოკრატიულობის, ხალხის ნების გამოხატვის ინსტრუმენტია. იგი პოლიტიკური პროცესების შემადგენელი ნაწილია, რომელიც საშუალებას აძლევს სუბიექტს, მოსახლეობის მხარდაჭერისა და ნდობის ვოტუმის გამოცხადების შედეგად არჩეულ იქნას აღმასრულებელ, საკანონმდებლო, ადგილობრივი თვითმმართველობის და სხვ. ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო მოქალაქეებს – გამოხატონ საკუთარი ნება ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ.

არჩევნები არის შეთანხმების პროცედურა, ხოლო არჩევნების შედეგები თვითონ შეთანხმება საზოგადოების წევრებს შორის სახელმწიფო მართვა-გამგეობის, მისი კურსისა და ამ კურსის შესრულების შესახებ.

არჩევნების დემოკრატიულობა შედეგებით განისაზღვრება, ანუ მისი შედეგები უნდა იყოს ამომრჩეველთა ნების გამომხატველი. ეს არის უმთავრესი პირობა არჩევნების დემოკრატიულობისა. მაგრამ, გარდა ამისა, არსებობს სხვა პირობები, რომელიც უნდა შესრულდეს. ამერიკელმა მეცნიერმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ჯ. კირკპატრიკმა ჩამოაყალიბა ოთხი მთავარი პირობა, რომელიც დემოკრატიულ არჩევნებს უნდა ახასიათებდეს: ***კონკურენციული, პერიოდული, წარმომადგენლობითი და საბოლოო.***

1. ***კონკურენციულობა*** გულისხმობს ერთსა და იმავე ადგილზე თანამდებობისთვის სხვადასხვა განსხვავებული პროგრამის მქონე კანდიდატების არსებობას. იქნება ეს პრეზიდენტის, დეპუტატის, მერის და სხვა არჩევითი თანამდებობა, რათა მოსახლეობას ჰქონდეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ.

2. ***პერიოდულად*** ჩატარებული არჩევნები სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების რიტმის გამომხატველია. რამეთუ დროის და მოსახლეობის ცვალებადობასთან ერთად იცვლება საზოგადოების შეხედულებები, მიზნები და სურვილები, რაც ხალხის პოლიტიკური ნების შეცვლას იწვევს. საზოგადოებაში ჩნდება პოლიტიკური ცვლილებების გატარებისა და საერთოდ, პოლიტიკური კურსის განახლების მოთხოვნილება. ამიტომ, მუდმივად არჩეული თანამდებობა ეწინააღმდეგება საზოგადოების დემოკრატიულობის პრინციპს. სწორედ ეს განაპირობებს არჩევნების პერიოდულად ჩატარების აუცილებლობას.

3. ***წარმომადგენლობითობა*** დემოკრატიული არჩევნების დამახასიათებელი თვისებაა. ამომრჩეველთა რაოდენობა ფართო უნდა იყოს და მოიცავდეს ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს. მცირე ჯგუფის მიერ თანამდებობის პირის არჩევა არ შეიძლება დემოკრატიულად ჩაითვალოს. არჩევნები ელექტორატის სივიწროვეს არ უნდა განიცდიდეს, როგორც ეს ანტიკური დემოკრატიის ქვეყნებში იყო.

4. ***საბოლოობა*** ეს ის კრიტერიუმია, რომელიც დემოკრატიულ არჩევნებში არჩეულ პირებს აძლევს რეალური ხელისუფლების სადავეებს და არა სიმბოლურ ხელისუფლებას. ისინი ვალდებულნი არიან სახელმწიფო განაგონ კონსტიტუციისა და სხვა კანონების დაცვით.

ამრიგად, არჩევნები დემოკრატიის ღერძია, რომლის მეშვეობითაც თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეები ირჩევენ საკუთარ პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, ხოლო არჩეულ ლიდერებს კი ეძლევათ უფლებამოსილებანი ქვეყნის ეფექტურად სამართავად.

### საარჩევნო კამპანია

დემოკრატიული არჩევნების დროს ამომრჩეველი დამოუკიდებელია თავის არჩევანში და მასზე ძალდატანების უფლება არავის არა აქვს. საარჩევნო სუბიექტს კანონით ეკრძალება აიძულოს ამომრჩეველი, რომ არჩევანი გააკეთოს მის სასარგებლოდ. მაგრამ მას აქვს უფლება დაარწმუნოს ამომრჩეველი მის (კანდიდატის) უპირატესობაში კონკურენტთან შედარებით სხვადასხვა საარჩევნო თუ პოლიტკომუნიკაციათა მეთოდების გამოყენებით. ამ სახის ღონისძიებების ჩასატარებლად კანდიდატს ეძლევა კანონით განსაძღვრული დრო, რომელსაც საარჩევნო კამპანიის პერიოდი ეწოდება.

საარჩევნო კამპანია ეს არის წინასაარჩევნო მიზნები მისაღწევად პარტიების, საარჩევნო გაერთიანებების, და მათი კანდიდატების ერთობლივი მოქმედება. იგი არის პროპაგანდისტულ-სარეკლამო ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელიც სხვადასხვა ხერხებით და საშუალებებით ხორციელდება.

საარჩევნო კამპანია არის მართვის განსაკუთრებული სახე, რომელიც მართვის სუბიექტებისგან და ობიექტებისგან შედგება . მართვის სუბიექტებად გამოდიან: პარტიული ორგანიზაცია, თანამოაზრეთა ჯგუფი, პოლიტკონსულტანტები და ა.შ., რომელთა სათავეში კანდიდატები დგანან, რამეთუ ისინი არიან მთავარნი მოქმედი პირნი, ხოლო, ობიექტების როლში – ელექტორატი, უფრო ზუსტად კი პოტენციური ამომრჩეველი.

საარჩევნო კამპანია არ არის ადვილი და იოლად ჩასატარებელი ღონისძიება. იგი დიდ შრომას, ნათელ გონებას და განჭვრეტის უნარს მოითხოვს მისი ორგანიზატორების მხრიდან. იგი მეცნიერული რეკომენდაციებისა და შემუშავებული გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს, რომელიც შედგება სხვადასხვა ელემენტებისაგან, როგორიცაა პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი და შეფასება, კანდიდატის სუსტი ადგილების განსაზღვრა, კამპანიის სტრატეგია, ტაქტიკა და გრაფიკი, მისი მართვის სტრუქტურა და ბიუჯეტი.

საარჩევნო კამპანიიის მიზანს წარმოადგენს დაარწმუნოს ამომრჩევლები გააკეთონ არჩევანი ერთი კანდიდატის სასარგებლოდ ერთი და იმავე თანამდებობისთვის მებრძოლ სხვადასხვა კანდიდატებს შორის, რომელთაც აქვთ განსხვავებული პროგრამები, მიზნები და შეხედულებები.

ეფექტიანი საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად საჭიროა საკმარისი რაოდენობის რესურსები. უნდა მოხდეს იმ ინფორმაციის შემეცნება და მოპოვება თუ რა ინტერესიც გააჩნიათ ამომრჩევლებს და სწორედ მასზე დაყრდნობით, შესაბამისი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემს კანდიდატებს მიიტანონ საკუთარი პოზიცია ამომრჩევლებამდე, რათა გააკეთებინონ ამ უკანასკნელებს სასურველი არჩევანი.

საარჩევნო კამპანია სამი ძირითადი ეტაპისგან შედგება:

1. **წინასაარჩევნო პერიოდი;**
2. **არჩევნების პროცესი;**
3. **დასკვნითი ეტაპი.**

საარჩევნო კამპანიაში წინასწარ არის განსაზღვრული თითოეული ეტაპის მიზნები და ამ მიზნის მიღწევის მეთოდები.

***წინასაარჩევნო პერიოდის*** დროს ხდება მთელი რიგი მარკეტინგული კვლევების ჩატარება, წინასაარჩევნო სიტუაციის შესწავლა, კანდიდატის პროგრამის ანალიზი, პროპაგანდისტულ ღონისძიებათა ეფექტურობის განსაზღვრა, კანდიდატისათვის მომგებიანი იმიჯის შერჩევა და ა.შ.

***არჩევნების პროცესში*** კანდიდატის (პარტიის) იმიჯის მნიშვნელობა ძალიან დიდია. ამ ეტაპზე ტარდება სარეკლამო პროპაგანდისტული ღონისძიებები. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე ხდება კანდიდატის (პარტიის) იმიჯის ფორმირება, რადგანაც იმიჯი ორიენტირებულია საზოგადოებაზე. ამიტომ მათი მოთხოვნების და მოლოდინის გათვალისწინება აუცილებელია.

***დასკვნითი ეტაპი,*** საარჩევნო კამპანიისათვის მნიშვნელოვანია. ამ ეტაპზე ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს ხმის მიცემის პროცესი და შემდეგ ხმების დათვლის პროცედურის კონტროლი .

საარჩევნო კამპანია შეიძლება ითქვას პოლიტიკური ბაზარია, სადაც მიმდინარეობს **„ყიდვა-გაყიდვის“** ოპერაცია, სადაც **„მყიდველი“** არის საზოგადოება, უფრო ზუსტად კი ამომრჩეველი, ხოლო **„გამყიდველი“** არის პარტია, საარჩევნო ბლოკი თუ კანდიდატი, რადგანაც ისინი ყიდიან საკუთარ იმიჯს, წინასაარჩევნო დაპირებებს, რომელიც საარჩევნო კამპანიის დროს ჩამოყალიბდა, გაცხადდა და ამომრჩევლებისთვის იქნა შეთავაზებული. **„პოლიტიკური ბაზრის“** არსებობა შესაძლებლობას აძლევს საარჩევნო კამპანიაში ჩართულ სუბიექტებს (პარტია, კანდიდატი) მოიპოვონ ამომრჩეველთა ელექტორალური მხარდაჭერა. **„პოლიტიკური ბაზარი“** არის ის სივრცე სადაც მიმდინარეობს ურთიერთგაცვლითი ოპერაცია ამომრჩეველსა და საარჩევნო სუბიექტს შორის. აქ ურთიერთგაცვლა (ანუ **„ყიდვა“-„გაყიდვა“**) ხდება ერთი მეტად მარტივი გზით: **„მყიდველები“** ანუ ამომრჩევლები თავიანთ მხარდაჭერასა და ხმებს ცვლიან საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო პროგრამებზე, დაპირებებსა და იდეებზე.

**ზურაბ ჯამბურია**

*(გაგრძელება იქნება)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაგვასვენეთ ამ პოლიტიკური გვამი-შევარდნაძისგან!

**(თითქმის 8 წელი გავიდა, რაც შევარდნაძემ პოლიტიკურ სანაგვეზე გადაინაცვლა, მაგრამ ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება მაინც უთმობს მას საკმაო დროს და ლამის ყურები გამოგვიჭედონ მისი წარსულის დამსახურებებით. იგი კი კვლავ გვმოძღვრავს, დამრიგებლურად გვესაუბრება და დღევანდელ პრობლემებზე ისე "ბრძნულად" საუბრობს, თითქოს მისი "დამსახურება" არ იყოს, რა უბედურებაც დღეს გვჭირს. სწორედ ამგვარ მარაზმს ამხელს ბორის დავითაიას წერილი)**

ჩემს ირგვლივ ვერ ვიპოვნე ადამიანი, რომელიც გამოხატავდა მადლიერებას კი არა, ადამიანურ თანაგრძნობას იმ კაცის მიმართ, რომელმაც საქართველოში ოცდაათი წელი **"იმეფა"** და უბედურების, დაქცევის, სიკვდილის და ულმერთობის მეტი ვერაფერი დაამკვიდრა.

უკიდურესად პატივმოყვარეს, სახელის მაძიებელს, პოლიტიკურ თამაშებში მონაწილეს და უმთავრესად ხელმოცარულს, უყვარს ძალაუფლება, მაგრამ არა თავგამოდება.

თუ რამეს მიაღწია პირად ცხოვრებაში, კომუნისტური რეჟიმისადმი მონური მორჩილებისა და ერთგული სამსახურის მეოხებით. საბჭოთა წყობის მარიონეტმა მშობლიურ ქვეყანაში, რაც გზად გადაეღობა, აშკარად თუ ფარულად ყველაფერი გაანადგურა. მისთვის არ არსებობს ეროვნული და არასოდეს ანაღვლებდა ქართველი ერის ღირსება.

ახლა, როცა დამოუკიდებლობის მოპოვების ოც წლისთავს აღვნიშნავთ, ძალაუნებურად გახსენდება ის ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიდეს და პირიქით – რომელთაც მათ უმუხთლეს, გასწირეს სამშობლო. ამ მეორეთა **"ბანაკშია"** ედუარდ შევარდნაძე.

წერის ეთიკისა და მკითხველისადმი პატივისცემის გამო, იძულებული ვარ ქვემოთ რამდენჯერმე გავიმეორო **"თეთრი მელას"** გვარ-სახელი, თორემ ტანში ნამდვილად მბურძგლავს!

შინაგანი დემონი მას აიძულებს ცდუნებას აჰყვეს და იტვირთოს გარკვეული როლი, თუნდაც მსოფლიო სპექტრში (საბჭოთა კავშირის დაშლა, გერმანიის გაერთიანება) იგი ტყლიპივით მიეკრა კაცობრიობის მატიანეს. ერთობ ცბიერია საიმისოდ, რომ საკუთარი ავტორიტეტი და როლი დაიფასოს, მაგრამ ხომ ცხადია – ის მხოლოდ ფორმალური მონაწილეა იმ ისტორიული პროცესებისა, რომელიც გარდუვალია და უკვე სხვების მიერ გადაწყვეტილია.

ამ უიდეოსა და ულმერთოს ისტორიამ მისცა შანსი და ძალიან ხანგრძლივად, თანაც დიდი შესაძლებლობანი საკუთარი ერისთვის თავდადება, ზრუნვა, მოამაგეობა დაემტკიცებინა.

მივიღეთ რა?

გაიძვერას სრულფასოვანი სახე – სძულდათ მაშინ, როცა მილიციის მინისტრი იყო და კიდევ უფრო, როცა ცეკას პირველ მდივნად მოღვაწეობდა.

მიჭირს მისი ყველა იმ ავბედითობის გახსენება, თუმცა ძველსა და საშუალო თაობას ხომ ყველაფერი კარგად ახსოვს.

დასტაქრის დანასავით მჭრელია მისი მზერა, აქვს ადამიანის ყურები და მელიის კუდი. როგორც თითლიბაზი, მოქმედებს მხოლოდ საკუთარი თავის სარგებლიანობისათვის.

საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც პოლიტიკურად ქამელეონი, ერის ცივსისხლიანი დამაქცევარი.

იმ ავადმოსაგონარ კომუნისტურ ხანაში ე. შევარდნაძის როლი, რამოდენიმე წინადადებით ასე ჩამოყალიბდებოდა:

ურცხვი ცინიკოსი, შემპარავი დემაგოგი, გულცივი კარიერისტი, რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საკუთარ ხალხს ატყუებდა, პაპუასების სიტუაციაში ამყოფებდა. ამავდროულად, ყოველთვის ახერხებდა თილისმური **"გამჭრიახობით"** ემსახურა თანამდებობრივი ძალაუფლებისათვის და კომუნისტური დიქტატურისათვის.

დამერწმუნეთ, მას არასოდეს გულის კუნჭულში არ უნანია ათობით ჩადენილი მძიმე დანაშაული. მისი სული არ გატოკებულა ხალხის საკეთილდღეოდ.

უფრო ნათლად მაშინ გამოჩნდა მისი მიზნები და მისწრაფებები, როცა საქართველოში დამოუკიდებლობისათვის აქტიური ბრძოლა გაჩაღდა.

ყველაზე უკეთ რევოლუციურ პერიოდში ისინჯება ადამიანის მრწამსი და მიზანსწრაფვა. თვალნათლივ აღიქმება ადამიანის მზაობა ქვეყნისათვის.

როცა ერს ბობოქარი დღეები უდგება, რას აკეთებს შევარდნაძე მაშინ?

საქართველოში დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან, ეროვნულ საქმეს ეწირებიან მერაბ კოსტავა და მისი თანამებრძოლები. საოცარი მზაობა და თავგამოდება დასჭირდა ხალხის სანუკვარი ოცნების – თავისუფლების მოპოვებას.

იგი ჩასაფრებულის მდგომარეობაშია, შხამიანი ქვეწარმავალივით ელოდება სათავისო ნადავლს. როდის ჩაიმუხლებენ, ან ერთურთს წაეკიდებიან. ამ წაკიდებისათვის, ცხადია, გარჯას არ იშურებენ... დადგება მოხერხებული ჟამი და ერთბაშად გამოქანდება მოსკოვიდან, დააცხრება ნადავლს და მიითვისებს!

ეს ნადირული ნდომაა, რომელიც მის არსებასთანაა შესისხლხორცებული და არსდროს ტოვებს.

ყველა ძაფი მის ხელში იყრის თავს, მაგრამ პასუხისმგებლობას კი არ კისრულობს ქვეყანაში მიმდინარე შიდა სამოქალაქო დაპირისპირებების მოსაწესრიგებლად, რომელიც სწორედ მისი ინიცირებითა და დიდი მცდელობით არის გამოწვეული, პირიქით.

ხელები მუდამ სუფთა რომ ჰქონდეს, ლავირებს. მხედრიონისა და ათასი რჯულის შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნას უწყობს ხელს, რომ ქაოსი უფრო გაღრმავდეს და ამ ქაოსში თავად დიდი ხანი დარჩეს ქვეყნის სათავეში.

რა დამავიწყებს, მოსკოვიდან მისი ჩამოსვლის ზუსტად ერთი წლის თავზე, 1992 წლის 7 აპრილს, მთავრობის სახლში გაიმართა შეკრება სამეგრელოს წარმომადგენლებსა და ე. შევარდნაძეს და მის დამნაშავე გარემოცვას შორის. შეხვედრა ეძღვნებოდა იმას, თუ როგორ მოწესრიგებულიყო მდგომარეობა სამეგრელოში. მეც აღმოვჩნდი ამ შეკრებაზე. შესაბამისად, აზრის გამოთქმის საშუალება რომ მომეცა, მოვითხოვე, თუ ხელისუფლებას მართლაც სურს მდგომარეობის ჩაწყნარება სამეგრელოში, ყველაზე გონივრული იქნება საზრიანი და ენერგიული ჟიული შარტავას მივლინება და მისი ხელშეწყობა-თქო. ხელმეორედ მომიწია ამ იდეის დაცვა, რადგან იყო სხვა მიუღებელი წინადადებებიც. ე. შევარდნაძე პირმოკუმული, ცივი თვალებით შემომცქეროდა და სიტყვაც არ დასცდენია. ახლა ვხვდები – გულში ედო არა მდგომარეობის დალაგება ქვეყანაში, არამედ სიტუაციით სარგებლობა და ქვეყნისათვის მართლაც გულანთებული პირველი პრეზიდენტის ვერაგულად მოცილება, რადგან არ მოინდომა, არ ეცადა მდგომარეობის მოწესრიგებას. კანონიერ ქურდ ჯაბა იოსელიანს შეაგროვებინა ნაციხარი, ნარკომანი მხედრიონელები და დააბომბინა, გააპარტახებინა, გააძარცვინა ჭეშმარიტად ერთგული და ყველაზე მედგარი მხარე სამეგრელო.

ე. შევარდნაძეს, როგორც საქართველოს უბედურების **"რეჟისორს"**, კულისებში არ ვხვდები, ერთი მარტივი მიზეზის გამო – არ ვიცნობ მას. მხოლოდ გარეგნული გამოხატულებით ვაფასებ, ერთი გაფიქრება აზრად მომივიდა, იქნებ იგი **"უარყოფითი გენიოსია"**-მეთქი, მაგრამ გენიალურობისა მასში ვერაფერი დავინახე, არც ისეთი ვინმეა, რომ მის სიღრმეს, მის ყოველ წახნაგს თვალი და გონება ვერ ჩავაწვდინო. არც ისეთი **"ნიჭიერი"** მსახიობია, რომ რაიმე დადებითი იპოვნო მასში. თუ ითამაშა, სულ უარყოფითი როლები ითამაშა და ისინი საკმაოდ მოუხერხებლად. სახეცვლილებით კი ნამდვილად გამორჩეულია – თუ 1990 წლამდე თავგადაკლული კომუნისტი იყო, ორი წლის შემდგომ – 1992 წელს ერის **"მხსნელად და დემოკრატიის შუქურად"** მოგვევლინა.

ეს ხომ ცინიკური თამაშია, რომელსაც ბრმაც კი მიხვდება. ვიდრე რამდენიმე წინადადებას ვიტყოდე მის **"დემოკრატიულობაზე"**, აქვე დავსძენ, რომ მთელი 12 წლის მოღვაწეობის შემდეგ ისე გაიშიშვლა თავი, რომ სრულიად დაგვანახა კრემლის მფარველობის გარეშე იგი მართლაც ცოცხალი გვამია, მას არ ძალუძს ქვეყნისათვის თუნდაც ერთი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება.

ყველას ახსოვს 1992-92 წლებში მომხდარი უბედურება საქართველოში, მათ შორის უდანაშაულო ხოზელი ყმაწვილების დახოცვის ფაქტი, ვითომც მაროდიორობის საბაბით. იმ სისხლიან ქმედებებს წინ უძღოდა ამგვარი შემთხვევა: როცა მხედრიონმა მოინადირა, გაფრცქვნა და გაატიალა აბაშა, მარტვილი და სენაკის რაიონები, გავიგეთ, რომ სენაკის ცენტრში ჩასულა შევარდნაძე. რამდენიმე პიროვნება მივედით მასთან და აღშფოთებულებმა ვუთხარით, რომ რასაც მხედრიონი სჩადის, ეს არის ბარბაროსობა და მოუთმენელია. საკუთარ ხალხს ამას არ გაუკეთებს ნამდვილი მთავრობა. მან მარჯვენა ხელი ზეაწია, დაიქნია და თქვა: **"დღეიდან შეწყდება ეს!"** გამოიძახა შინაგან საქმეთა მინისტრი და დაავალა ზომების მიღება. ადგა კვირაია და დამნაშავე მხედრიონელები კი არ დასაჯა, პირტიტველა მოზარდები ჩიტებივით დახოცა.

აი, სახე იმ ადამიანისა, რომელმაც შემდგომ აფხაზეთის საკითხში სრული **"სიბეცე"** გამოიჩინა, თუ გამყიდველობა არა.

ეს ცივსისხლიანი, თხელი აგებულების, ყალხზე თმებშემდგარი პიროვნება დანაშაულს დანაშაუზე სჩადის. ნუ მეტყვით, რომ შეცდომები მოსდიოდა. თითქოს რულმოკიდებული დაბინდული თვალების პატრონს, გონება მუდამ დახშული ჰქონდა, და ერთბაშად გახდა, დაბნეული კი არა, უსუსური, საკუთარი უძლურობის, უინიციატივობისა თუ უავტორიტეტობის სხვაზე გადამბრალებელი.

არა, და ბევრს გვახსოვს რა სიმშვიდით შეხვდა აფხაზეთიდან ქართველების გამოდევნას, სამხედრო ნაწილების მიერ იარაღის დაყრას, ჟიული შარტავას ვერაგულ მკვლელობას. შუბლს თითქოს რაღაც გაუმჭვირვალე უფარავს, მხოლოდ შექმნილი მდგომარეობიდან თავის დახსნის საშუალებებზე ირჯება.

იქნებ მოგაგონდათ, რა ხდებოდა ქვეყანაში მისი მმართველობის ჟამს? ფრთები გაშალა ბენზინის და ფქვილის კონტრაბანდამ, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობამ.

დაშლის პირამდე მივიდა არმია – უმოქმედონი გახდნენ სპეცსამსახურები და პოლიცია. სწორედ ისინი მფარველობდნენ ყოველგვარ უმსგავსოებას ქვეყანაში.

არ არსებობდა უსაფრთხოების პოლიტიკა, თავდაცვის რაიმე რესურსი. დემოკრატია ფეხქვეშ იყო გათელილი.

მეზობელი სომეხი და აზერბაიჯანელი კოლეგების მსგავსად ვერ გამონახა ქვეყნის საერთაშორისო მხარდაჭერის რაიმე საიმედო გზა. როგორც **"ქართაგან ლერწამი"** ირწეოდა რუსეთსა და ევროპას შორის.

ვერ განახორციელა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ვინც გაბედა შემოსვლა, მათ ძაღლებივით იტაცებდნენ და სპეცსამსახურებმა ვერცერთი ეს საქმე ვერ გახსნეს.

კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა მოსახლეობის შუქით მომარაგების, წყლითა და აირით უზრუნველყოფის საქმეში. ცხადია, ეს სფეროები ჯიბის გასქელებისა და ხელის მოთბობის სფეროები გახდა ხელისუფლებისა და პარლამენტის წევრებისათვის.

როცა ე. შევარდნაძეს მიუთითებდნენ ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად ქვეყანა არასწორი გზით მიექანებაო, მხოლოდ ხელებს შლიდა და როგორც სჩვეოდა, მშვიდად დარაჯობდა თანამდებობას.

ხომ საშინელებაა გულცივად ყველაფრის თმენა? ეს მაშინ, როცა ხალხი, პრესა და საინფორმაციო საშუალებები ყოველდღიურად ლანძღავდნენ. ის კი ჯიუტი სიმშვიდით **"დარაჯობდა"** პრეზიდენტის სკამს.

ვიღაცამ მითხრა მასზე **"ცივსისხლიანი მარიონეტიაო"**. მართლაც იშვიათია ადამიანი, რომელსაც სინდისის გრძნობა და პასუხისმგებლობა ერის წინაშე ფეხის ფრჩხილებში ჰქონდეს გადასული.

ჯიუტად საკუთარ ჟინს იკლავდა, მაშინაც კი, როცა მის ირგვლივ შექმნილი იყო ქაოსი და აურზაური. თითქოს სიამოვნებდა მშიერთა, ავადმყოფთა, დავრდომილთა, განწირულთა გმინვა. არ დგამდა არცერთ ნაბიჯს, არ ახორციელებდა არცერთ ღონისძიებას, რათა მათხოვრული პენსია – 7 ლარი ყოველთვე მაინც მიეცა მოხუცებისათვის.

თუ სადმე და რაიმე იყო თაღლითებს ჩაუგდო ხელში, ვგულისხმობ ბანკში შენახულ უკანასკნელი დღისათვის დაგროვილ თანხებს. გაიძვერებს შეაქმნევინა კერძო ბანკები, მოსახლეობამ გაყიდა მანქანები, სახლები, ავეჯი, ჩადეს ბანკებში, რათა შიმშილისაგან გადაერჩინათ ოჯახები. გაიძვერებმა კი მოხვეტეს მილიონები და გაიქცნენ.

რა ზომები მიიღო ე. შევარდნაძემ ხალხის მძარცველების მიმართ? არაფერი!

რა ჰქვია ამას?

მოტყუებული ხალხის დამცირება და აბუჩად აგდება!

იგი შინაგანად თავისუფალია საკუთარი ნამოქმედარის პასუხისმგებლობისაგან. მოვლენათა ცვალებადობაში ისე ლავირებს, რომ ხან ლანქერს გაატაცებინებს თავს, ხანაც ამოცურავს მღვრიე დინებიდან, ჯირკზე ჩამოჯდება და შეისვენებს, რომ მოიფიქროს ათასებით გადაჭედილ დარბაზს როგორ მოაჩვენოს საკუთარი **"თავგანწირვა"**. ზოგჯერ კედლებიც კი ზანზარებენ მისი მაღალი ხმისა და მუქარანარევი ტონისაგან, მაგრა შედეგი რა?

კვლავ არაფერი!

ერის სასარგებლოდ არაფერი მოუმოქმედებია, მხოლოდ საკუთარი მდგომარეობა ადარდებს. როცა რადიკალურად ქანაობდა მისი თანამდებობის სასწორის პინები, დღე და ღამე არ ეძინა, რათა როგორმე გადაერჩინა თავი. მოსყიდულ მომხრეთა დახმარებით მოედანზე დააჩოქა ხალხი, რათა არ წასულიყო...

აქ ჩანს მისი სიმხდალის დამღუპველი ძალა. ჯიუტად მიყავდა ქვეყანა კატასტროფისაკენ, გააცამტვერა ყველაფერი, რაც ადრე შექმნილა.

ამაზრზენი ფაციფუცით, უკიდურესი საშუალებებით, სიყალბითა და თვალთმაქცობით იხანგრძლივებდა არსებობას. გარშემო კი ადამიანთა გატაცება, ძარცვა და განუკითხაობა სუფევდა.

მისი გონება მხოლოდ ერთ რამეზე ფხიზლობდა – როგორმე გადარჩენილიყო და მძარცველი გარემოცვა გადაერჩინა. არ გააჩნდა უნარი, რომ წესრიგი დაემყარებინა, ადამიანების ტანჯული ყოფა შეემსუბუქებინა. როგორც კი შვებას იგრძნობდა, ულიმოდა საკუთარ ორეულს, რომელიც მის ამოუცნობ არსებაში იყო ჩაბუდებული.

მან გახრწნა და დაადამბლავა პოლიტიკური სპექტრი, იმდენად გაათახსირა ახალგაზრდა პოლიტიკოსთა მთელი თაობა, რომ ვერა და ვერ მოხერხდა ამ სფეროს გაჯანსაღება. კატასტროფამდე დაიყვანა ქვეყნის ეკონომიკა, მედიცინა, განათლება, მისი კულტურა და ზნეობა.

როცა დღეს პრესის მესვეურები აძლევენ მას საშუალებას თავი იმართლოს, დაგვარიგოს და რაღაც ნაბოდვარებით გული მოგვილბოს, აუტანელია ამის მოსმენა. დამიჯერეთ, სისხლითა და ტალახით მოსვრილ მის ბუკსა და ნაღარას ახლა გამოძახილი არა აქვს. იგი დღეს აღიქმება მხოლოდ როგორც უხამსობა.

მისი ფერიცვალება თავხედური გარდასახვაა, ამორალურია. ერთიორჯერ შეიძლება დამნაშავის მონანიებაც მოისმინო, მაგრამ როცა შევარდნაძე საკუთარი უდანაშაულობის დამამტკიცებელი **"საბუთების ამოლაგებას"** ცდილობს, მაშინ ადამიანის თმენას ზღვარი ედება, რადგანაც, ღრმად დარწმუნებული ვარ, სასიკეთოს არაფერს ამბობს.

ხელხს რკინის კლანჭები აქვს, საოცარი მეხსიერება და დაფასების უნიკალური ნიჭი.

ერთმა მეგობარმა მირჩია – ყოველივე ისტორიის განაჩენს მივანდოთო. დიახ, მაგრამ ჩვენ, მისგან განაწამებ ადამიანებს, კვლავ რომ ჩაგვესმის მისი ხრიწინა ბოდვა, კვლავ რომ გვიბნევს თავ-გზას და გვაყრის თვალებში ნაცარს? როდემდის უნდა ვითმინოთ?

იქნებ ნაგავის არევამ შემაწუხებელი სუნი დაუყენება იცის, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს მოვუხდი, თუმცა მაინც მინდა ხმამღლა დავიყვირო:

– დაგვასვენეთ ამ პოლიტიკური გვამისაგან!

**ბორის დავითაია,**
**ღირსების ორდენოსანი, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

## შანდორ კოჩიში

დაიბადა 1929 წლის 30 სექტემბერს, უნგრეთში.

თამაშობდა კლუბებში: **"ფერენცვაროში"**, **"ჰონვედი"** (უნგრეთი), **"იანგ ფელოუზი"** (შვეიცარია), **"ბარსელონა"** (ესპანეთი).

შანდორ კოშიჩი გახლდათ მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე შემტევი **"ინსაიდი"**, რომელმაც ჯერ კლუბ **"ჰონვედში"** გამოიჩინა თავი, შემდეგ კი მყარად დაიმკვიდრა ადგილი მეოცე საუკუნის 50-იანი წლების **"უნგრეთის დიდ გუნდად"** წოდებულ საფეხბურთო ნაკრებში. კოშიჩი და მისი პარტნიორი, ლეგენდარული პუშკაში ძირითადად თავდასხმის წინა ხაზზე მოქმედებდნენ და მათ საგოლე პასებით ამარაგებდა ოდნავ უკან დახეული ცერნტრფორვარდი. სწორედ ამის შედეგი გახლდათ, რომ კოშიჩს ეკუთვნის დღემდე მოუხსნელი რეკორდი: ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 68 მატჩში გატანილი 75 გოლი. იგი სამჯერ გახდა უნგრეთის ჩემპიონატების საუკეთესო ფეხბურთელი, 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი საუკეთესო ბომბარდირად დაასახელეს გატანილი 11 გოლით (ეს შედეგი მომდევნო ჩემპიონატზე მოხსნა

ფრანგმა ფონტენმა, რომელმაც 13 გოლი გაიტანა. ეს რეკორდი დღემდე მოუხსნელია). მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა, 1956 წელს, სისხლში ჩაახშვეს უნგრეთში მომხდარი რევოლუცია, შანდორ კოჩიშმა, ფერენც პუშკაშმა და უნგრეთის ნაკრების კიდევ რამდენიმე **"მოღალატე"** ფეხბურთელმა სამშობლო პროტესტის ნიშნად დასტოვეს და დასავლეთის ქვეყნებს შეაფარეს თავი. კოჩიში ესპანეთის **"ბარსელონაში"** აღმოჩნდა, რომლის შემადგენლობაშიც 1960 წელს მოიპოვა ბაზრობათა თასი. ერთი წლის შემდეგ მისი გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალამდე მივიდა, ფინალური მატჩი კი წააგო პორტუგალიის **"ბენფიკასთან"**.

## ნილს ლიდჰოლმი

დაიბადა 1922 წლის 8 ოქტომბერს, შვეციაში.

თამაშობდა კლუბებში: **"ნორჩეპინგი"**, შვეცია, **"მილანი"**, იტალია.

ის, რომ შვეციამ 1948 წლის ოლიმპიურ თამაშებზე შვეციის საფეხბურთო ნაკრებმა დაუბრკოლებლად გაიკვალა გზა ფინალისაკენ და გახდა ჩემპიონი, ნილს ლიდჰოლმის დიდი დამსახურება გახლდათ. იგი გუნდის გამოკვეთილი ლიდერი იყო და მუდამ წინ მიუძღოდა საკუთარი გუნდის თავდამსხმელებს. ეს გახლდათ შვედური ფეხბურთის აღმავლობის პერიოდი. თავიდან ლიდჰოლმი თავდასხმის გარე მარცხენა ფლანგზე თამაშობდა, შემდეგ კი უკან დაიხია და ნახევარმცველის პოზიცია დაიკავა, რათა თავდასხმის წინა ხაზი საგოლე პასებით მოემარაგებინა. იგი გუნდის კაპიტანი იყო 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომლის ფინალში ერთმანეთს შეებრძოლენ შვედები და ბრაზილიელები. მაშინ ნილს ლიდჰოლმმა მატჩის მე-4 წუთზე პირველი ბრწყინვალე გოლი გაუტანა კიდეც ბრაზილიელებს და შვედ ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს გამარჯვების იმედი ჩაუსახა, მაგრამ სკანდინაველებმა მაინც ვერ გაუძლეს დიდი პელეს, განუმეორებელი გარინჩას, დიდის და ვავას მასიურ შეტევებს, საბოლოო ჯამში მატჩი ანგარიშით 5:2 წააგეს და მხოლოდ მეორე ადგილზე გავიდნენ. 1948 წლის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ ნილს ლიდჰოლმი იტალიაში გადავიდა ხელშეკრულებით და **"მილანში"** შექმნა ცნობილი შვედური ტრიო გუნარ გრენთან და გუნარ ნორდალთან ერთად, რაც დიდი წარმატების საწინდარი გამოდგა ამ შესანიშნავი გუნდისათვის. აქ ჩატარებულ 367 მატჩში ლიდჰოლმმა 60 გოლი გაიტანა.

## იოჰანეს (ჰანს) კრანკლი

დაიბადა 1953 წლის 14 თებერვალს, ავსტრიაში.

თამაშობდა კლუბებში: **"რაპიდი"** ვენა (ავსტრია), **"ბარსელონა"** (ესპანეთი), **"ვიენა"** (ავსტრია), **"ბარსელონა"** (ესპანეთი), **"რაპიდი"**, **"ვინერ შპორტკლუბი"** (ავსტრია).

კრანკლი 1978 წლის საფეხბურთო სეზონის დიდი აღმოჩენა გახლდათ – ვენის **"რაპიდის"** შემადგენლობაში თამაშისას მან 41 გოლი გაიტანა და ევროპის საუკეთესო ბომბარდირისათვის დაწესებულ **"ოქროს ბუცს"** დაეუფლა. გარდა ამისა, მან ფეხბურთის სპეციალისტების ყურადღება მიიქცია ამავე წელს არგენტინაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე შედეგიანი თამაშით. მომდევნო 1979 წელს კრანკლი ესპანეთის **"ბარსელონამ"** შეიძინა, რის შედეგადაც ამ გუნდმა პირველივე საფეხბურთო სეზონში ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. სამწუხაროდ, საფეხბურთო ოსტატობის პიკზე მყოფი სერიოზულ ავტოავარიაში მოჰყვა და დიდი დრო დაუთმო მკურნალობას, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახა მის შემდგომ სპორტულ კარიერაზე. მოგვიანებით კრანკლი კვლავ ავსტრიის **"რაპიდში"** დაბრუნდა. დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ კრანკლი ამ გუნდის გენერალური მენეჯერი გახდა და დიდი როლი ითამაშა საერთოდ ავსტრიული ფეხბურთის შემდგომი განვითარების საქმეში. საერთოდ, ავსტრიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში იოჰანეს კრანკლმა 69 მატჩი ჩაატარა და 34 გოლი გაიტანა, რაც ასევე სარეკორდო მაჩვენებელია ამ ქვეყნისათვის. კრანკლი ოთხჯერ იქნა აღიარებული ავსტრიის შიდა ჩემპიონატების საუკეთესო ფეხბურთელად, ხოლო ერთხელ ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულიც მოიპოვა.

გიორგი ჯალაღანია

# იუმორი

* * *

მამა შვილს ტუქსავს:
– რატომ ამოიღე ხურდა ფული ჩემი ჯიბიდან?
– დაანებე თავი ბავშვს, იქნებ მე ამოვიღე ეგ ფული? – გამოესარჩლა დედა.
– ეგ შეუძლებელია, შენ რომ ამოგეღო, იქ არაფერი დარჩებოდა.

* * *

– რა არასასიამოვნო ხმაა! ვინ მღერის?
– ჩემი ქალიშვილი.
– მაპატიეთ, იცით, საქმე მარტო ხმა კი არ არის, სიმღერასაც გააჩნია. საშინელი სიმღერაა. საინტერესოა, ვინ დაწერა?
– მე!

* * *

საავადმყოფოსთან ჩავლილ ჭიჭიკიას გადასძახეს:
– სისხლი გადმოგვისხი, ძამია, კაცი გვიკვდება!
– რას ამბობთ! გადმოსასხმელი კი არა, სახლამდე თუ მიმიყვანს, ისიც არ ვიცი.

* * *

ახალგაზრდა კაცი ეძებს სამსახურს. მივიდა საცნობაროში.
– თქვენი სახელი?
– გგიიოოოორრრრგგგი.
– თქვენ რა, ენაბლუ ბრძანდებით?
– არა, მამაჩემი იყო ენაბლუ და ასე დამარქვა.

* * *

ქმარი – შენ არასოდეს ყოფილხარ ჩემი ერთგული!
ცოლი – ცდები, ძალიან ხშირად.

## „სახელი შენი ცნობილია, გმირობა – უკვდავი!"

2010 წლის 31 ივნისს კრასნოდარის მხარეში, ყირიმის რაიონში, **„ვიშკას"** ბორცვზე, მაძიებელთა რაზმის მიერ ნაპოვნია დიდი სამამულო ომის მებრძოლის, 32-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მე-80 პოლკის სერჟანტის, 1913 წელს დაბადებულის, წარმოშობით გეგეჭკორის (ამჟამად – მარტვილის) რაიონიდან **მიხეილ ლავრენტის ძე გაბისონიას** ნეშტი (მონაცემები მაძიებელთა მიერ აღდგენილია ჯარისკაცის მიერ კომპასზე გაკეთებული წარწერების მიხედვით).

ყველას, ვინც მიხეილ ლავრენტის ძე გაბისონიას თაობაზე რაიმე სმენია, ან ვინც მისი ოჯახის წევრებს იცნობს, ვთხოვთ შეატყობინონ ამის თაობაზე მის ნათესავებს, ან მიმართონ საინფორმაციო-ანალიტიკურ სააგენტო **„საქინფორმს"** (+995-90-830-700), ან ქალაქ კრასნოდარის მაძიებელთა ორგანიზაციას – **„ფარი და მახვილი"**, ალექსეი ვლადიმერის ძე კორეცკის (+7-918-413-53-10).

დაბეჯითებით მოვუწოდებთ საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტსა და ომის ვეტერანთა ორგანიზაციების გაერთიანებულ საბჭოს), მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ხსოვნის წინაშე, – ზემოთ მითითებულ ტელეფონზე დაუკავშირდნენ კრასნოდარის მაძიებელთა ორგანიზაციას – **„ფარი და მახვილი"** და უზრუნველყონ დიდი სამამულო ომის გმირის ნეშტის გადმოსვენების ორგანიზება მის სამშობლოში – საქართველოში.

ომში დაღუპული გმირის ხსოვნის პატივისცემა ყველა მოქალაქის წმინდა ვალია! გთხოვთ გამოიჩინოთ გულისხმიერება!

**საინფორმაციო-ანალიტიკური**

**სააგენტო**

**„საქინფორმი"**

## სპორტი საზღვრებს შლის
## მშვიდობის დესპანი

**ვეფხია ხუბულავა!**

გალის რაიონის სოფელ გაგიდის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, XI-ე კლასელი, დე-ფაქტო აფხაზეთის სასკოლო სპარტაკიადის (18 წლამდე მოზარდებს შორის) გამარჯვებული, სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში.

ვეფხია ხუბულავა, ანუ, უბრალოდ ვეფხო, როგორც ქართველი, ისე აფხაზი თანატოლებისთვის აზროვნებითა და გონიერებით გამორჩეული, ინტელექტუალური სპორტის, ჭადრაკის სახეობაში, ენგურგაღმა საქართველოში წონადი სიტყვის მთქმელი, ბავშვურად გულწრფელი და მოსიყვარულე ჭაბუკია.

ენგურზე ფონით გადმოპარულმა მხოლოდ ერთი დღე დაჰყო თბილისში. გამოცდების ეროვნულ ცენტრში შეხვედრის შემდეგ რამდენიმე წუთით ვნახეთ და ვესაუბრეთ. საფიქრალი კი იმდენი დაგვიტოვა, თითქოს არსად წასულა და თავადაც გამოლმა დარჩა...

ერთხელაც დაგვანახა ვეფხომ, რომ სპორტი ვერ ჰგუობს პოლიტიკურ საზღვრებს და მას არანაირი საზღვარი (არც პირობითი და არც უპირობო) არ გააჩნია.

– ჭადრაკმა შინაგანად თავისუფალი მაქცია, – ამბობს, – სოხუმში ჩასვლისას თავს უცხოდ არ ვგრძნობ, სპორტი შეუძლებელს აკეთებს. იგი უჩუმრად ანგრევს მტრობის ჯებირებს და შლის რასობრივ უთანასწორობას ადამიანებს შორის. ჩემი პარტნიორები: სოხუმელი, გაგრელი, გუდაუთელი აფხაზები არიან, ჩვენს შორის ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემა სუფევს. ზეწოლას რომ განვიცდიდე, ჭადრაკი, სპორტის ისეთი სახეობაა, ვერ ვითამაშებდი. მორალური სიმტკიცის, სიძლიერის მუხტი მოწინააღმდეგე მხრიდან მოდის. მე მიყვარს ისინი! ვეპატიჟები თბილისში, რომელიც მათ ძალიან აინტერესებთ, მაგრამ არასწორი ინფორმაციით, შიშის გრძნობა აქვთ.

ჭადრაკში წარმატებებით ვეფხია ხუბულავა დანგრეულ ხიდებს აღადგენს, ისტორიულ სამურზაყანოდან, გალიდან, მშვიდობის



დესპანად ჩადის სოხუმში. ბუნებრივად, ძალდაუტანებლად იწყებს ახალი თაობა ახალ ურთიერთობებს აფხაზეთში.

თანატოლებთან ერთად, გალის რაიონიდან თბილისში ჩამოსული ვეფხია ხუბულავა აფხაზეთის განათლების სამინისტროში აბიტურიენტად დაფიქსირდა. მისი სურვილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გააგრძელოს სწავლა.

წარმატებები სწავლასა და სპორტში, ვეფხო!

სვეტლანა კვიკვინია

**გაზეთ "ილორის" მკითხველთა საყურადღებოდ!**

გაზეთ "ილორზე" ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმოთ შპს "საქპრესასთან" (ქვეყნის მასშტაბით). ტელ: (832) 518-518 და ს/ს "მაცნესთან" (თბილისის ფარგლებში), ტელ: 14-39-06.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27